# ლელო

№245 (12 315)

17 ოქტომბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. B ჯგუფი
**თბილისი. 17 ოქტომბერი. ეროვნული სტადიონი.21:00**

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| მაკარიძე | გორდონი |
| ხიზანიშვილი | ალექსანდერი |
| ასათიანი | მაკმანუსი |
| სალუქვაძე | უეირი |
| შაშიაშვილი | ნეისმიტი |
| კვირკველია | მელოუნი |
| კანკავა | ფერგიუსონი |
| მენთეშაშვილი | ფლეტჩერი |
| ყენია | პირსონი |
| ჯაკობია | მაკფადენი |
| სირაძე | მილერი |



## ცქიტიშვილს რაღა დაემართა?

## დემეტრაძე დასჯილია

გუშინ საღამოს გადაწყდა, რომ **ლევან ცქიტიშვილი** შოტლანდიასთან ვერ ითამაშებს. "ლევანს კუნთის შიდა მიმზიდველი აქვს დაჭიმული და ტკივილები აწუხებს. შოტლანდიასთან რომ ეთამაშა, შესაძლოა, მისი მდგომარეობა გართულებულიყო, ამიტომ ვამჯობინეთ, არ გაგვერისკა. ტკივილები ცქიტიშვილს იტალიაშიც აწუხებდა. სხვა ფეხბურთელები თავს კარგად გრძნობენ", - გვითხრა საქართველოს ეროვნული ნაკრების ექიმმა **დიმიტრი ზაალიშვილმა.**

ცქიტიშვილის გარდა, ჩვენს გუნდს **გიორგი დემეტრაძეც** ვერ დაეხმარება. იგი დისკვალიფიცირებულია. ამ ციკლში დემეტრაძე მესამე შეხვედრას ტოვებს და ყველა შემთხვევაში განაცხადს მილმა ყვითელი ბარათების ჭარბი რაოდენობის გამო დარჩა. რვა მატჩში გიორგი ექვსჯერ გააფრთხილეს, რაც ნებისმიერი ფეხბურთელისთვის და მით უფრო, თავდამსხმელისთვის, არასახარბიელო მაჩვენებელია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



## კლაუს ტოპმიოლერი

# ვენდობი მაკარიძეს და მის ფეხებს



## მაკლიშის მარტივი გამოსავალი:

# გავიტანოთ მეტოქეზე ერთით მეტი გოლი

მატჩისწინა ამბები 2-4

# FORZA GIORGIA!

## დონადონის საქართველოსი სჯერა: კარგი იქნება, თუ თბილისიდანაც შეგვაშველებენ ხელს

...ასე გაუხდა საქმე იტალიის ნაკრებს - საქართველოსგან სჭირდება დახმარება. 10 წლის წინათ, თბილისში დაკარგული ქულების (0:0) გამო, იტალიელებს საფრანგეთის მუნდიალზე მოსახვედრად რუსეთთან პლეიოფში მოუწიათ თამაში. მაშინ კინაღამ შევიწირეთ "სკუადრა აძურა"...

დღესაც ბევრი რამ არის საქართველოზე დამოკიდებული - ან დავანგრევთ იტალიას, ან ავაშენებთ. დღესვე, მისი მეორე შემადგენლობა სიენაში სამხრეთ აფრიკას ამხანაგურად ეთამაშება. მაგრამ როგორც **რობერტო დონადონიმ** გუშინდელ პრესკონფერენციაზე თქვა, მისი ყურადღება თბილისისკენ იქნება მიპყრობილი. აი, პატარა ფრაგმენტი ამ პრესკონფერენციიდან:

"ცოტა ხნის წინათ, სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა, რომელსაც ახლა ჩვენ ვეთამაშებით, შოტლანდიას სერიოზული პრობლემები შეუქმნა და იმედი მაქვს, ამას საქართველოც მოახერხებს. რა თქმა უნდა, გვირჩევნია, რომ მხოლოდ საკუთარ ძალის იმედად ვიყოთ, მაგრამ კარგი იქნება, თუ თბილისიდანაც შეგვაშველებენ ხელს".

წარმოგვიდგენია, როგორ სკანდირებს მთელი იტალია: FORZA GIORGIA!



# რატომ არ ჩამოვიდნენ ბლატერი და პლატინი? 3

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

EURO2008

17 ოქტომბერი. ეროვნული სტადიონი. 21:00. საქართველო-შოტლანდია





ნუგზარ სულხანიძის ფოტოები

# არ ვარ უკან დამხევი, ვარ ტარტანის დამხევი!

დღეს საქართველო-შოტლანდიაა, ჩვენი უმთავრესი გუნდის ბოლოსწინა თამაში კიდევ ერთ ჩაფლავებულ შესარჩევში.

სქოთი ფანები წვიმიან თბილისს გაბედულად მოედნენ, მათ კილტებით იცნობდით. ამ ხალხმა იცის, თუ როგორ უქომაგოს ეროვნულ გუნდს და მათმა ნაკრებმაც იცის, როგორ გავიდეს ფინალურ ეტაპზე - ამის ტრადიცია და გამოცდილება შოტლანდიას მართლაც აქვს.

კილტი ტარტანისგან იკერება და ამიტომაც უწოდებენ შოტლანდიის ნაკრებს "ტარტანის არმიას". შოტლანდიის ნაკრები ყოველთვის ჰგავდა საჯარისო შენაერთს, რამეთუ იმას თამაშობს, რაც იცის, არაფერს იგონებს, რაშიც ძლიერია იმით გააქვს თავი - სქოთები მაგრად იბრძვიან.

დღეს კი ჩვენში ხშირად გაიგონებთ, ნალდი კაცები ქართველი მორაგბეები არიან, ფეხბურთელები კი ან ფეხებს უფრთხილდებიან ან ტრავმებს იგონებენ. მაგრამ ყველა როდი ფიქრობს იმაზე, რომ თუ ფეხბურთელი ტაქტიკურად გამართულად ვერ თამაშობს, ტაქტიკურად სწორად ვერ ფიქრობს, როგორ უნდა იბრძოლოს ისე, რომ ქომაგს თავი მოაწონოს?

საქართველოს ნაკრებში კი სულ რალაც იცვლება, მუდამ რალაც გაუგებარი რამეები ხდება. საქართველო ვერ თამაშობს იმას, რაც იცის, ვერა და ვერ მოუძებნეს ჩვენს ნაკრებს შესაფერისი კალაპოტი, რაც პირველ რიგში მწვრთნელის მოვალეობაა.

და რა იცის საქართველომ? არითმიული აფეთქებები, უარყოფითი ემოციების დაგროვება ან მათი მყისიერი, სკაბრეზული ამოფრქვევა.

ტოპმიოლერი კი ნაკრების გაახალგაზრდავებას აპირებს და საქმეს აქედანვე შეუდგა - **ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე, გიორგი მაკარიძე...**

ძალიან გვინდა, რომ მათ დღეს ტაში დაუკრას გულშემატკივარმა.

ძალიან გვინდა, რომ ტოპმიოლერმა ახლა მაინც ზუსტად მოარტყას მიზანში და თერთმეტი კაციდან არავისში არ შეცდეს, ყველამ გაუმართლოს.

ძალიან გვინდა, რომ ტოპმიოლერის განვრთნილმა საქართველომ ამ შესარჩევში ერთი მყვირალა გამარჯვება მაინც მოიპოვოს.

ძალიან გვინდა, რომ საქართველომ ფარერების გარდა ლიტვასაც გადაასწროს.

ძალიან გვინდა, დღეს საქართველოს ნაკრებმა დაგვანახოს, რომ რალაც მასაც შეუძლია.

ძალიან გვინდა, რომ Come on scotland საქარ-თვე-ლომ გადაფაროს.

ძალიან გვინდა, რომ დღევანდელმა 90 წუთმა დაგვავიწყოს ყველა ის ცუდი ზნე, რაც ჩვენს ნაკრებს და ჩვენს ფეხბურთს სჭირს.

ძალიან გვინდა, რომ ტოპიმ ერთხელ მაინც დაარტყას "ტოპკა".

და მერე რა, რომ საქართველოს ნაკრებმა არ იცის, რას თამაშობს - ეს ფეხბურთია და რა არ მომხდარა...

**დავით თავართქილაძე**

# ვენდობი მაკარიძეს და მის ფეხებს



დღეს კარს მაკარიძე (მარცხნივ) დაიცავს

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ, საღამოს ხუთ საათზე ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კლაუს ტოპმიოლერმა** პრესკონფერენცია გამართა.

ბრიტანული გუნდები თუ კლუბები ადრეც ჩამოსულან საქართველოში, მაგრამ მათი მედიელები დიდად არ ინტერესდებოდნენ ჩვენი გუნდების თავკაცთა პრესკონფერენციებით. გუშინ კი ოციოდე სქოთი მედიელი მოიყარა დარბაზში და ტოპმიოლერისთვის კითხვების დასმაშიც იაქტიურეს.

პრესკონფერენციის შემდეგ ტოპი მინდორზე გავიდა და შეგირდების წვრთნას შეუდგა. ვარჯიში დახურული იყო და ჟურნალისტებსაც მალევე მოგვიწია იქაურობის დატოვება.

მედიელებთან კი ტოპმიოლერმა თქვა, რომ...

- ეს შესარჩევი ციკლი დასასრულს უახლოვდება. შოტლანდიას აქვს შანსი ფინალურ ეტაპზე გავიდეს. ვეცდებით, თამაში კარგი ვაჩვენოთ და სიურპრიზი შევთავაზოთ მეტოქეს. ფავორიტი შოტლანდიაა, ჩვენ კი საკადრო პრობლემები გვაქვს - დემეტრაძე დისკვალიფიცირებულია, ცქიტიშვილი კი ისეა ტრავმირებული, რომ, ალბათ, ვერ შეძლებს თამაშს. უკვე იცით, რომ გიორგი ლომაია შეკრებიდან გავუშვით, შოტლანდიასთან კარს გიორგი მაკარიძე დაიცავს. ამ შესარჩევში მეკარის შეცდომის გამო რამდენიმე გოლი გავუშვით. მაკარიძე კი ვარჯიშებზე კარგად გამოიყურებოდა. იმედი მაქვს, სტადიონი გაივსება.

**- მაკარიძე გამოუცდელია და თავისი კლუბის პირველ გუნდშიც არ თამაშობს...**

- მთავარია, რომ ის ტალანტია და წინსვლის დიდი პერსპექტივა აქვს. ბევრჯერ მომხდარა, რომ ეროვნულ ნაკრებში 17 წლის ფეხბურთელს უთამაშია.

**- ადრე თქვით, რომ ამ ჯგუფში ფავორიტებად იტალიასა და საფრანგეთს მიიჩნევთ. ახლაც ამ აზრზე ხართ?**

- დიახ, მე ეს ვთქვი და ძნელად წარმოსადგენია, ევროპის ჩემპიონატი მსოფლიოს ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის გარეშე გაიმართოს. თუმცა შოტლანდია ძალიან კარგი გუნდია. თუ ხვალ საქართველო მოიგებს, შოტლანდიას მაინც შეეძლება ფინალურ ეტაპზე გასვლა თუკი ბოლო თამაშში იტალიას დაამარცხებს.

**- მაკარიძეს სათამაშო პრაქტიკა არ აქვს...**

- ფეხბურთელის ნაკრებში გამოძახება დამოკიდებულია მის კლასზე. ცქიტიშვილი სულაც უგუნდოდაა, მაგრამ იტალიასთან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ უთამაშებელი ზურაბ ხიზანიშვილიც. მაკარიძე ორი წლის შემდეგ დიდ გუნდში წავა, შესაძლოა, ეს შოტლანდიასთან თამაშის შემდეგაც მოხდეს. ბუნდესლიგაში რაც კი მეკარეებთან მიმუშავია, ფეხით თამაშით მათ მაკარიძე ყველას ჯობია.

**- შოტლანდიის ნაკრებიდან რომელ ფეხბურთელს გამოყოფდით?**

- ფერგიუსონს, მილერს, ფლეტჩერსა და მაკფადენს. განსაკუთრებით მაკფადენს გამოვარჩევდი - ასეთ მოთამაშეს დიდი სიამოვნებით ავიყვანდი ჩემს გუნდში.

**- მატჩი რომ ფრედ დასრულდეს, კმაყოფილი დარჩებით?**

- ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი თამაში წავა, როგორ გავუმკლავდებით ისეთ მეტოქეს, რომელსაც მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს, რათა შესარჩევის ბოლო მატჩში იტალიასთან ფრეც ეყოს ფინალურ ეტაპზე გასასვლელად.

**- რა ტაქტიკური განლაგებით ითამაშებს საქართველო შოტლანდიასთან?**

- ამას ხვალ ნახავთ.

**დავით თავართქილაძე**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

17 ოქტომბერი. ეროვნული სტადიონი. 21:00. საქართველო-შოტლანდია

EURO2008

ნუგზარ სუარიძის ფოტო



ლომაიამ ამ შესარჩევში არაერთხელ გვიხსნა

# ლომაიას გზა

1999 წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ერთმანეთს რუსეთისა და უკრაინის ნაკრებები შეხვდნენ. რუსები იგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთზე მათი მეკარე **ალექსანდრ ფილიმონოვი** შეცდა, **ანდრეი შევჩენკოს** დარტყმული გაუშვა.

ის მეორე დღეს "მოკლეს" - ნაკრების მწვრთნელებმა, ფეხბურთელებმა, მედიამ და ხელისუფლებამაც კი, ერთი დღით ადრე სათაყვანო მეკარე მიწასთან გაასწორეს.

მას შემდეგ ფილიმონოვი რომელსაც ევროპის გრანდები აკვირდებოდნენ, წელში ვერ გაიმართა. მოსკოვის "სპარტაკიდან" კიევის "დინამოში" წავიდა, მერე "მოსკვაში", ბოლოს **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისში", მაგრამ ის უკვე არ იყო ისეთი, როგორიც ახსოვდათ. ევროპის ერთ-ერთი გამორჩეული მეკარისგან არაფერი დარჩა, გარდა სახელისა.

ეს არის შემზარავი მკვლელობის ისტორია, თუ როგორ შეიძლება მოთამაშეს არა მარტო კარიერა, ცხოვრებაც დაუნგრიონ.

არის მეორე მაგალითიც. თუ გახსოვთ 2003-04 წლების უეფას თასის გათამაშება თბილისის "დინამომ" როგორ დაიწყო. **ირაკლი ზოიძემ** "ბატეს" მეკარე **ალექსანდრ ჟევნოვის** (დღეს "მოსკვაშია") კარიდან დარტყმული გაუშვა.

მაშინ "დინამოს" ხელმძღვანელებს, თანაგუნდელებსა და მედიას ზოიძის ჩაქოლვა არ დაუწყიათ. შედეგად მივილეთ ზოიძის საუკეთესო სეზონი. თუკი "დინამომ" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გააღწია, ეს მისი 35 წლის მეკარის შესანიშნავი თამაშის დამსახურებაც იყო. ის გაამხნევეს, შეცდომა აპატიეს და გაუგეს.

ამ ყოველივეს **გიორგი ლომაიას** გამო ვიხსენებ. ორი აზრი არაა, გიორგიმ იტალიასთან ბავშვური ბურთი გაუშვა. რაც არ უნდა ცრუ მანევრი შეესრულებინა **ლუკა ტონის**, ლომაია ვალდებული იყო **პირლოს** დარტყმული აელო.

ის შეცდა და ნაგებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის.

იტალიის შემდეგ გიორგი ლომაია ნაკრებიდან გაუშვეს. როგორც შევიტყვეთ, ის **ტოპმიოლერს** ესაუბრა და ამის შემდეგ ამჟავებული სახით ბაზა დატოვა.

გიორგი პრესასთან ურთიერთობას გაურბის, ოჯახში გვითხრეს, რომ დეპრესიაშია და თბილისი დატოვა.

გიორგი ან განტევების ვაცად უნდა ვაქციოთ, ან თანადგომით მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ.

იმედია, ნაკრების ხელმძღვანელები მას ამ მძიმე მდგომარეობაში არ გაწირავენ. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ნაკრებმა გენუაში ერთი ხეირიანი მომენტი რომ ვერ შექმნა და დაცვაშიც არაერთი შეცდომა დაუშვა, ლომაიას ბრალი არაა.

არც ისაა მისი ბრალი, უთამაშებელი რომ მიიწვიეს და მეორე მეკარედ გამოუცდელი **მაკარიძე** რომ წაიყვანეს. მაშინ ტოპმიოლერს ჯერ კიდევ ჰქონდა ლომაიას იმედი, მაგრამ თავად აღიარა, რომ ძირითადში არ უნდა დაეყენებინა.

დიახ, ისევე შეცდა, როგორც ერთი წლის წინათ, როდესაც გიორგი იტალიასთან მაშინაც უთამაშებელი, უგუნდო მიიწვია და მეკარემაც **დი ნატალეს** მიერ ცენტრიდან დარტყმული გაუშვა.

თუმცა ჩვენ გვახსოვს სხვაგვარი ლომაიაც, "კარლ ცაისში" თამაშის დროს ნაკრების კარში ღირსეულად იდგა და ყველა ვამბობდით, თურმე მეკარე გვყოლიაო. ამის ნათელი მაგალითია შოტლანდიასთან, ლიტვასა და საფრანგეთთან გასვლითი და უკრაინასთან საშინაო მატჩები.

ვფიქრობთ, არჩევანი მარტივია, ქართული ფეხბურთის დაქცევის მიზეზი ერთი მეკარე ვერ გახდებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ჰერ კლაუს, სად დაკარგეთ ხელსახოცი?

როგორც კი **კლაუს ტოპმიოლერი** საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაცი გახდა, უთხრეს, რომ გუნდში მეკარის პრობლემა უმწვავესია.

ჟურნალისტებთან ტოპი ამბობდა, საქართველოს ურიგო მეკარეები არ ჰყავს და ნატურალიზებული უცხოელი მეკარის მოწვევას არ ვაპირებთო. ტოპმიოლერი ამას იმიტომ ამბობდა, რომ არ უნდოდა გული გასტყდომოდათ ქართველ მეკარეებს - მაინც უცხოელს იწვევენ და ჩვენ რისთვისღა უნდა მოვაწონოთ თავი მწვრთნელსო.

ტოპმიოლერი ყველაფერ ამას ჭვრეტდა და დანამდვილებით ვიცი, უცხოელ მეკარეზეც თავიდანვე ფიქრობდა. მაგრამ სანაკრებო ნატურალიზებას თავისი წესები აქვს და საამისოდ "ნალჩიკის" **ალექსანდრე ჩიხრაძის** გარდა ვერავინ გამონახა (ახლა ჩიხრაძე "ლუჩის" მეკარეა).

ტოპის აქამდე არ ემლებოდა ტაქტი არც ფეხბურთელებთან, არც ჟურნალისტებთან და ალბათ არც არავისთან. ენდობოდა ფეხბურთელებს და ნაკრებში ბევრი რამ სწორედ ნდობაზე ჰქონდა აგებული, რის გამოც არაერთხელ წაიმტვრია ცხვირ-პირი - ცხადია, ნაკრების შედეგებს ვგულისხმობთ.

ფარერებთან თბილისში 3:1 მოგებული, მაგრამ ძალიან უხარისხო თამაშის შემდეგ კი ტოპმიოლერი, ცოტა არ იყოს, შეიცვალა. ხან ჯიუტი, ხან უცნაური, ხან უსამართლო, ხან კი...

იტალიასთან მატჩის შემდეგ ჰერ კლაუსმა **გიორგი ლომაია** სანაკრებო შეკრებიდან გაუშვა - ასე დასაჯა საგოლე შეცდომის გამო.

ტოპმიოლერს შეეძლო, შოტლანდიასთან მატჩისთვის ლომაია არ ეთამაშებინა, სულაც სამატჩო განაცხადში არ შეეყვანა, მაგრამ ასე არ მოიქცა - იტალიასთან მარცხის შემდეგ ხელი ლომაიას შეახოცა და ეს ალბათ არ არის მოსაწონი საქციელი.

უგუნდო და უთამაშებელი ლომაია სწორედ ტოპიმ გაამწესა იტალიასთან და მის შეცდომაზე პასუხისმგებლობა თვითონაც უნდა ეკისრა - ჩვენ ერთი გუნდი ვართ - ამ სლოგანს ხომ ტოპმიოლერიც ახმოვანებს ქართულად...

**დავით თავართქილაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



საბოლოოდ დაუკეტა ტოპმიოლერმა ნაკრების კარი ლომაიას?

გადადებული ვიზიტი

# ბლატერი და პლატინი არ ჩამოვლენ

ფიფასა და უეფას პრეზიდენტების ვიზიტი, რომლებსაც წესით, გუშინდელი და დღევანდელი დღეები თბილისში უნდა გაეტარებინათ, გაურკვეველი დროით გადაიდო. როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, **ნოდარ ახალკაცმა** განაცხადა, ამის მიზეზი ფიფაში დანიშნული საგანგებო თათბირია. რაკი **იოზეფ ბლატერი** და **მიშელ პლატინი** საქართველოში ერთად უნდა ჩამოსულიყვნენ, ამ უკანასკნელის ვიზიტიც ავტომატურად გადაიდო. სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ** გვითხრა, პრეზიდენტების სტუმრობის თარიღი უახლოეს მომავალში დადგინდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



როდის ჩამოვა ზეპ ბლატერი?

## ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადება არგენტინაში, დიეგო მარადონას სამშობლოში

16, 17, 18, 19 წლის ასაკის ფეხბურთელების საყურადღებოდ!!!

მათ, ვისაც სურთ ჯერ აიმაღლონ ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონე არგენტინაში, და შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ იქაური საფეხბურთო კლუბებში, მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში. ფეხბურთელებს მოამზადებს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ამჟამად მწვრთნელი ედუარდო დელგადო.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. ამ პერიოდში ფეხბურთელებს ექნებათ ამხანაგური თამაშები, რომლის დროსა მათზე მოხდება დაკვირვება. სრულყოფილი მომზადების შემდეგ, ედუარდო დელგადო ფეხბურთელებს წარადგენს არგენტინის კლუბებში, სადაც გააგრძელებენ ოფიციალურ თამაშებს.

არგენტინის მხარე მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს. ასევე, არგენტინის ვიზების, მგზავრობის, მომზადებისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მობრძანდით არგენტინის წარმომადგენელთან მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქუჩა თავისუფლების მოედანთან), ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ.

გასაუბრებისთვის მსურველები წინასწარ უნდა ჩაეწერონ არგენტინის წარმომადგენელთან, შემდეგ ტელეფონზე: 899 23 55 20.



დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

17 ოქტომბერი. ეროვნული სტადიონი. 21:00. საქართველო-შოტლანდია

# ქართველებზე ერთით მეტი გოლი უნდა გავიტანოთ

თბილისში, გამთენიისას ჩამოსულმა შოტლანდიელებმა, ნაშუადღევს "შერატონ მეტეხი პალასში" ორი პრესკონფერენცია გამართეს. მედიის წინაშე ჯერ შოტლანდიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, **ჯეიმს მაკფადენი** წარდგა.

- აქაური გულშემატკივარი ერთგული მხარდაჭერით გამოირჩევა და ვიცი, რომ თბილისში ყველა გუნდს უჭირს თამაში. ქართველებთან რთული მატჩი გველის. ჩვენ 3 ქულა გვინდა, მაგრამ მასპინძლებიც წარმატებისთვის იბრძოლებენ...

- ქართველებიდან, უპირველესად შოთა არველაძესა და ზურაბ ხიზანიშვილს ვიცნობ. ასევე ვიცი ქინქლაძე და ნემსაძე. ისინი ფეხბურთს აღარ თამაშობენ, მაგრამ, ალბათ, მათსავით ტექნიკური სხვა მოთამაშეებიც ეყოლებათ ქართველებს.

მაკფადენის პრესკონფერენციის შემდეგ 15 წუთში საქმეში შოტლანდიელთა მწვრთნელი **ალექს მაკლიშიც** ჩაერთო.


ალექს მაკლიში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები


ჯეიმს მაკფადენი

- თბილისში 20 ფეხბურთელით ჩამოვედით. ტრავმირებული ალან ჰატონი გამოგვაკლდება, ისევე როგორც დაშავებული ბრაუნი. მაკკალოხს კი დისკვალიფიკაცია აქვს. ფლეტჩერი ითამაშებს. თბილისში ჩამოსვლამდე შინ უკრაინა დავამარცხეთ და საქართველოში კარგი განწყობით ჩამოვედით. ოთხშაბათის მატჩის მნიშვნელობა ყველა ფეხბურთელს კარგად აქვს გათავისებული...

- მეტოქეს კარგი გუნდი ჰყავს. ქართველებს ბურთის ფლობა კარგად ეხერხებათ და ამ ნაკრებს შეუძლია ყველა გუნდს შეუქმნას პრობლემები. მით უმეტეს, საქართველო შინ, საკუთარი ქომაგის მხარდაჭერით ისარგებლებს...

- ჩვენ მოგება გვინდა და ბუნებრივია შეტევაზე ვიზრუნებთ, მაგრამ საკუთარი კარის უსაფრთხოებასაც არანაკლებ ყურადღებას დავუთმობთ.

**დავით ცაბაძე**

U 19. ევროპის ჩემპიონატი

# მეტოქეებმა შემადგენლობა დაასახელეს

**ხვალიდან საქართველო 19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევი ეტაპის ჯგუფური რაუნდის მატჩებს უმასპინძლებს. ჰაინც ტოპმიოლერმა ჩვენი ნაკრების შემადგენლობა უკვე დაასახელა, ამჯერად კი მეტოქე გუნდების კონტინგენტს გთავაზობთ:**

**I ტური. 18 ოქტომბერი**

12:00 სთ. რუსთავი. ფოლადი
**ნორვეგია-ლატვია**

15:00 სთ. თბილისი. მ. მესხი
**საქართველო-ჰოლანდია**

**ჰოლანდია**

მეკარეები: ერვინ მულდერი (ფეიენოორდი), მელვინ კოეციერი (ტვენტე).

მცველები: ელკო ჰორსტენი, ოლივიე ტერ ჰორსტი (ორივე პსვ ეინდჰოვენი), ჟოსიმირ ლიმა (ვილემ II), ბარი მაგუაიერი (დენ ბოსხი), კევინ ვან დიერმენი (ვიტესი), ვუტ დროსტი (ტვენტე).

ნახევარმცველები: დელი ბლინდი, სიმ დე იონი (ორივე აიაქსი), მარკო მატიჩი (ალკმაარი), ჯორჯიანო ვიინალდუმი, ლერო ფერი (ორივე ფეიენოორდი).

თავდამსხმელები: ჰანე ჰაგარი (ფეიენოორდი), ქსანდრე ბუუტკოოპი (ჰერენვენი), ჟიულ რიმერინკი (ტვენტე), ვინსენტ ვან დერ ბერგი (არსენალი, ინგლისი), ჯენერო ზეფუიკი (პსვ-ეინდჰოვენი).

მთავარი მწვრთნელი
**ვიმ ვან ცვამი**

**ნორვეგია**

მეკარეები: ლარს სტუბჰაუგი (ევერტონი, ინგლისი), ანდრე ჰანსენი (კელსასი).

მცველები: ლარს რამსტადი (რუსენბორგი), ვიდარ ჰენრიკსენი (მიოლდე), ევენ ჰოფლანდი, პერ ეგილ ფლო (ორივე სონგდალი), ამინ ური (ვალერენგა), ტომი ბოილანდი (ბრინი).

ნახევარმცველები: ანდრეას ულანდ ანდერსენი (ვიკინგი), მარტინ ელვესტადი (ფრედიკსტადი), ფრედრიკ კარლსენი (ვალერენგა), მარიუს ბოლდტი (სტრომგოდსეტი), პეტერ ორი ლარსენი (აალესუნდი), ოლა კამარა (სტაბეკი).

თავდასხმელები: ტომას კინდ ბენდიკსენი (რეინჯერსი, შოტლანდია), იო სონდრე აასი, ტომას ვალიო (ორივე რუსენბორგი), არამ ხალილი (სტარტი).

მთავარი მწვრონელი
**ტორ ოლე სკულერუდი**

**ლატვია**

მეკარეები: ედგარს პორტონისი (ბლაზმა), კრისტაპს ძელმე (დაუგავა 90), არტურს ვაიკულისი (რეინჯერსი, შოტლანდია).

მცველები: ანტონს კურაკინსი (ბლაზმა), ტომს მეში (მეტალურგსი), რენარს როდე, სერგეის ტიურიკოვსი, კასპარს დუბრა (ყველა სკონტო), კირილს სეველოვსი (დაუგავა 90), კონსტანტინ შმილსი (მულტიბანკა).

ნახევარმცველები: არტიომს ოსიპოვსი, ალექსანდრ გრამოვიჩი (ორივე ბლაზმა), ნილს სიტენკოვსი, ევგენის კორსაკოვსი (ორივე მეტალურგსი), მიხელის ბერსოვსი, ალენს სინელნიკოვსი (ორივე სკონტო), დმიტრის ვალეგჟანინსი (ოლიმპსი), რისლანს აგაფონოვსი, კრისტაპს პრიედენსი, იურის ხლიბოვსი (ყველა დაუგავა 90), დენის კუზმიცკისი, მაქსიმს პოლევოისი (ორივე მულტიბანკა).

თავდამსხმელები: სერგეის ვისოცკისი (დაუგავა), რაივო კალნინში (მეტალურგსი), გერმანს რაკლინსკისი (მულტიბანკა).

მთავარი მწვრთნელი
**ანდრეის კარპოვსი**

ინტერვიუ ბარი ფერგიუსონთან

# უნდა მოვიგოთ!

**ჯეიმს მაკფადენისა** და **ალექს მაკლიშის** პრესკონფერენციებს შორის, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" შოტლანდიის ნაკრების სამი ფეხბურთელი გამოჩნდა. ისინი თანამემამულე ჟურნალისტებმა "გაინაწილეს" და კითხვებით დაბომბეს. მათთან საუბრის მერე სქოთთა ტრიოში ნაკრების კაპიტანი და "რეინჯერსის" წევრი **ბარი ფერგიუსონი** მოვიხელთეთ და რამდენიმე კითხვა დავუსვით.

**- საქართველოსთან მატჩის წინ რისი თქმა შეგიძლიათ?**

- საქართველოს ნაკრები კარგი გუნდია და ორი აზრი არ არსებობს, ოთხშაბათს დაძაბული და საინტერესო მატჩის მომსწრენი გავხდებით. ქართველებმა გლაზგოში კარგად ითამაშეს და ახლა წარმატებისთვის იბრძოლებენ. მოგება ჩვენც გვინდა, ვნახოთ ვის რას მოუტანს ხვალინდელი საღამო.

**- გენუაში, ახლახან ჩატარებული იტალია-საქართველოს მატჩი თუ ნახეთ?**

- არა, ეს თამაში ჯერ არ გვინახავს.

**- როგორ ფიქრობთ, მაინც რა უნდა იყოს ქართველებისთვის სასურველი შედეგი?**

- ფრე, თუმცა მასპინძელი გუნდი მოგებაზე არასდროს ამბობს უარს.

**- ოთხშაბათის მატჩისთვის შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

- შანსებზე საუბარი გამიჭირდება. საქართველო კარგი გუნდია, ტექნიკური ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ორივე გუნდს დანაკლისი აქვს, მაგრამ ქართველებისთვის ეს უფრო საგრძნობი იქნება. იმედი მაქვს, თბილისიდან გამარჯვებულები წავალთ. აქ თუ მოვიგებთ, იტალიასთან შინ აღარ წავაგებთ და ევროპის ჩემპიონატზე გავალთ. ეს თამაში ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

**დავით ცაბაძე**


ბარი ფერგიუსონი (შუაში)

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უსასრულო სირცხვილი ყაზახეთთან

ყაზახური ფეხბურთი ქართულს ჯობია - ამის სათქმელად უკვე საკმაოზე მეტი არგუმენტი გვაქვს. ზაფხულში "ტობოლმა" და "ასტანამ" "ზესტაფონი" და "ოლიმპი" შეარცხვინეს, გუშინ კი უეფას ახალმა წევრმა ქვეყანამ სანაკრებო ასპარეზზეც მოგვიჩინა ჩვენი ადგილი.

1:4 ის ანგარიშია, რომლის შემდეგაც ვერავინ გაიმართლებს თავს გამოუყენებელი საგოლე მომენტებით, არაობიექტური მსაჯობით, "გასვლითი მატჩების კომპლექსითა" თუ ცუდი კლიმატური პირობებით. ისღა დაგვრჩენია, ერთხელ და საბოლოოდ ვაღიაროთ, რომ ეროვნულის მსგავსად, საქმე ახალგაზრდულშიც ცუდადაა.

ჩვენმა 21-წლამდელებმა ამ ციკლში ერთადერთხელ ითამაშეს მეტ-ნაკლებად გამართულად, როცა პირველ ტურში შინ ესპანეთთან მინიმალური სხვაობით დამარცხდნენ. მას შემდეგ კი ახალგაზრდულს პროგრესისა არაფერი ეტყობა. დიდი ხანია, შეგუებულნი ვართ იმას, რომ რუსეთის, ესპანეთისა თუ პოლონეთის დონის გუნდებთან წარმატების მისხალი შანსი გვაქვს, ახლა კი იძულებულნი ვართ, ყაზახების უპირატესობაც ვაღიაროთ. იმის მტკიცება, რომ წლეულს სამმა ყაზახურმა გუნდმა სამ ქართულ გუნდს დაუმსახურებლად სძლია, სრული სიბრიყვე იქნება.

ბუნებრივია, ამ სამარცხვინო შედეგზე თავისი წილი პასუხისმგებლობა ყველამ უნდა იტვირთოს, პირველ რიგში კი **პეტარ სეგრტმა**, რომელიც იმედია, ამჯერად მაინც აღიარებს, რომ მის გუნდს კატასტროფული შედეგები აქვს და მხოლოდ იმას არ იტყვის, ჩვენთვის მთავარი ეროვნული გუნდისთვის კადრების მიწოდებააო. თუმცა ვითარებას არც ეს შეცვლის, რადგანაც ეს ის ვითარებაა, საიდანაც გამოსავალი, უბრალოდ, არ ჩანს. არადა, ნოემბერში რუსეთის ახალგაზრდულს ვმასპინძლობთ...

მატჩის პერიპეტიების დეტალური აღწერით თავს არ შეგაწყენთ. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ პირველი ტაიმის მიწურულს გუნდური ჩხუბი გაჩაღდა, რომლის აღკვეთაც მხოლოდ სამართალდამცავთა მოედანზე გასვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. მანამდე კი **კენბაევმა** გაილაღა, რომელმაც ქართული დაცვის პოზიციური შეცდომით ორჯერ იხეირა, აქედან ერთხელ **ლორიას** ახლო კუთხეში გაუტანა. **ნურგალიევის** მიერ გატანილმა თერთმეტმეტრიანმა კი ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

იყო მომენტები, როცა ქართველები აქტიურობდნენ, მაგრამ მატჩის გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო. 86-ე წუთზე კი მოედანზე ახალი შესული **რევაზ ბარაბაძე** ყაზახთა მეკარესთან პირისპირ გავიდა და პრესტიჟის გოლი გაიტანა, მაგრამ წერტილი ნურგალიევმა დასვა.

**ყაზახეთი-საქართველო**

**4:1**

**16.10. აქტობე. 3200 მაყურებელი**

1:0 კენბაევი (31), 2:0 კენბაევი (39), 3:0 ნურგალიევი (41. პენ.), 3:1 ბარაბაძე (86), 4:1 ნურგალიევი (88)

ყაზახეთი: დეკხანოვი, ნურგალიევი, საბალაკოვი (59. ნოსკოვი), ჟუმახანოვი (66. შაპურინი), ლოგვინენკო, კისლიცინი, კანბაევი (77. ჩურეევი), კუკეევი, ნურგალიევი, ტაჯიბაიული, ბოროვსკი

საქართველო: ლორია, გ. კაშია, ლობჟანიძე, თომაშვილი, ელბაქიძე (81. ბარაბაძე), ნავალოვსკი, კობახიძე (64. ჩირიკაშვილი), გ. მერებაშვილი (46. დვალიშვილი), კ. მახარაძე, გრიგალაშვილი, ბ. გოცირიძე

გაფრთხილება: გრიგალაშვილი (36), ტაჯიბაიული (44), კუკეევი (62), თომაშვილი (67), ჩურეევი (85),

არბიტრი: გ. მიხაილევიჩი (ჩერნოგორია)

**პოლონეთი-რუსეთი 0:1**

0:1 პრუდნიკოვი (76)

პოლონეთი: ლინკა, რჟენიჩაკი, კოკოჟკა, კოცოტი, პოლჩაკი, გროსიცკი, სოკალსკი (46. იარკა), კუკლეში (58. პავლოვსკი), გლიკი (73. ცველონკი), მაევსკი, იანჩიკი

რუსეთი: ჯანაევი, იატჩენკო, ნაბაბკინი, გრანატი, კუდრიაშოვი (56. ლუკანჩენკოვი), ტარანოვი (82. სამსონოვი), კ. კომბაროვი, ფაიზულინი, დ. კომბაროვი, კაჟაროვი, პრუდნიკოვი (76. კოჟაკოვი)

რუსეთის ახალგაზრდულმა პოლონეთში მინიმალურად, მაგრამ დამაჯერებლად გაიმარჯვა და ფლეი ოფისკენ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ რუსეთისა და ესპანეთის სახით, ჩვენს ჯგუფს ორი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს. შეგახსენებთ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირდაპირ ვერავინ გადის, ფლეი ოფის საგზურს კი ჯგუფის გამარჯვებულები და რამდენიმე საუკეთესო მეორეადგილოსანი მოიპოვებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-0 | 12 |
| 2. ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 3. პოლონეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-5 | 6 |
| 4. ყაზახეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-11 | 3 |
| 5. საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 4-13 | 3 |





ბურთით ჯაბა დვალი

ლეგიონერები

# მოლდოველები ქართველებს ემადლიერებიან

მოლდოვის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი "დაჩია" წლეულს ქართველებით გაძლიერდა. გუნდმა **ვიტალი დარასელია** და **ჯაბა დვალი** შეიძინა. როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობა და მოლდოვური მედიაც მათ შეძენას სწორ ნაბიჯად თვლის.

თავდაპირველად ფიზიკურად მოუმზადებელ ქართველებს "დაჩიას" მთავარი მწვრთნელი **ემილ კარასი** შეცვლაზე ათამაშებდა. მას ახლახან ინტერვიუ ჩამოართვეს და ამ თემაზეც ესაუბრნენ - დარასელიასა და დვალის არყოფნა მოედანზე იგრძნობა და 90 წუთი რატომ არ ათამაშებთო?

*"ფეხბურთელებმა სეზონი სხვადასხვაგვარი მომზადებით დაიწყეს. თუმცა ფაქტია, რომ თითქმის ყველა შეხვედრაში ქართველებმა მოახერხეს ჩვენი შეტევების გამწვავება. ერთადერთი "შერიფთან" ვერ მოგვიტანეს დიდი სარგებლობა, მაგრამ იმ დღეს მთლიანად გუნდი არ მომეწონა"* - განაცხადა ემილ კარასმა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ჩიხრაძის დაბრუნება

ბოლო დროს საქართველოს ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში სელექცია გაოცებას იწვევს. ეროვნული გუნდი საექსპერიმენტო პოლიგონს დაემსგავსა. თინეიჯერები ეროვნულ ნაკრებში ხვდებიან, გამოცდილებს კი პერსპექტივას უწუნებენ.

რა დასამალია და ასეთივე კითხვები გაჩნდა ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული **გიორგი ჩიხრაძის** გამოც. ეს ბიჭი რუსთავის "ოლიმპიდან" მიიწვიეს, რომლის ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ხვდება.

თუკი გულშემატკივარი "თბილისის" თამაშებს ესწრებოდა, იქიდან დაამახსოვრდებოდა ნიჭიერი ცენტრალური მცველი. გიორგიზე "თბილისის" ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ მან გორის "დილასთან" უმძიმესი ტრავმა მიიღო და წელინადნახევარი გაუცდა.

თუმცა სიტყვა "გაუცდა" ჩიხრაძის მაშინდელ მდგომარეობას სრულად ვერ ასახავს. გიორგი ფეხბურთიდან წასვლას აპირებდა. წლეულს ზაფხულში ერთი გაბრძოლებაც სცადა. ამხელა პაუზის შემდეგ ფეხბურთში დაბრუნება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ მან ივარგა, პირველი ლიგის "ოლიმპი 2-ში" გამოჩნდა, ფორმაში შევიდა და როგორც გვითხრეს, მეორე წრიდან ძირითად გუნდში ითამაშებს.

ეს ერთი ფაქტია, რომელიც სანაკრებო სელექციაზე დადებითად მეტყველებს.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



# მადლობა!

ა.წ. 11 ოქტომბერს ზუგდიდში ჩატარდა ამხანაგური-საქველმოქმედო მატჩი ფეხბურთში, სამეგრელოსა და აფხაზეთის ნაკრებ გუნდებს შორის, რომლებმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც ადგილობრივ, ასევე სამეგრელოში დასახლებულ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას შორის.

გვსურს, თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გადავუხადოთ მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის: გენერალურ სპონსორს, საქველმოქმედო ფონდ "ხობის" პრეზიდენტს ბატონ გოდერძი ბუკიას, სპონსორებს - ს.ს. "თელასის" პროფკავშირებს, შ.პ.ს. "გაგრა პლუს სანდორას";

ღირსეული მასპინძლობისათვის - სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციასა და მის პრეზიდენტს, ბატონ სერგო კვარაცხელიას; ზუგდიდის საფეხბურთო კლუბებს - "მგლებსა" და "ბაიას", შესაბამისად, მათ პრეზიდენტებს - ბატონებს, ლაშა დარასელიასა და ზვიად სიჭინავას;

ნაკრებთა შემადგენლობაში აფხაზეთის მკვიდრი ფეხბურთელების მივლინებისათვის, საფეხბურთო კლუბების - თბილისის "დინამოს", "ამერის", "ლოკომოტივის", "ზესტაფონისა" და ბოლნისის "სიონის" ხელმძღვანელებს;

მსაჯობისათვის - ქუთაისის მსაჯთა ბრიგადას, გიორგი კიკაჩეიშვილს, კობა გაბრიაძისა და ნუგზარ რუსიშვილის შემადგენლობით.

*აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია*

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი მწვრთნელი

# ლიპის აჩრდილი დონადონის თავზე

## იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ბოსი დონადონის მოხსნით ემუქრება

**მარჩელო ლიპი** კვლავ უმუშევარია. თუმცა დიდი მაესტრო ფეხბურთისგან შორს არ დგას: თამაშებსაც ესწრება, ტელევიზიითაც უყურებს და ერთ-ერთი საფეხბურთო გადაცემის ექსპერტიც გახლავთ. როდის დაბრუნდება და სად იმუშავებს? ეს არის კითხვა, რომელზეც პასუხი ჯერ არავის აქვს, მათ შორის, არც თავად ლიპის. არის მხოლოდ ვარაუდები. ბოლო პერიოდში ისიც კი თქვეს, მარჩელო, შეიძლება, "სკუადრა აძურაში" დაბრუნდესო. შესაძლოა, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია მართლაც მიუბრუნდეს ამ საკითხს, თუ **რობერტო დონადონიმ** გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გაიყვანა. არადა, მსგავსი პერსპექტივა სავსებით რეალურია.

ლიპიმ კომენტარი არ დააყოვნა. ის შეწუხებულია იმით, რომ მისი სახელის ნაკრების კონტექსტში ხსენებამ, შესაძლოა, დონადონიზე ნეგატიური გავლენა იქონიოს. "დონს" ახლა ურთულესი დროება უდგას. მსოფლიო ჩემპიონი, შეიძლება, ევროფორუმზე ვერ მოხვდეს, რასაც მას იტალიის საფეხბურთო საზოგადოება ნამდვილად არ აპატიებს. ასეთ შემთხვევაში, ლიპი ერთადერთ რეალურ ალტერნატივად მოჩანს.

*"არ მინდა ამ თემაზე საუბარი და საერთოდ, არც მჩვევია მსგავს სპეკულაციებზე რეაგირება. დიახ, ამ დღეებში ვთქვი, რომ იტალიის ნაკრებში დაბრუნებას არ გამოვრიცხავდი, მაგრამ ხალხმა ეს ისე გაიგო, თითქოს ამისთვის უკვე ვემზადები. სულ ტყუილად იქცა ეს დღის მთავარ ინფორმაციად. არსადაც არ ვბრუნდები! დონადონის, ან ზოგადად სხვა ჩემი კოლეგის საქმიანობაში ჩარევას არ ვაპირებ, ეს არ არის ჩემი სტილი. მე მჯერა დონადონის და მისი გუნდის. მან მხოლოდ ერთი თამაში ჩააგდო, მაგრამ ასე ყველას ემართება. მინდა მოვუწოდო რობერტოს, რომ მშვიდად იმუშაოს".*

ლიპიმ კომენტარი გააკეთა შოტლანდიასთან მომავალ თვეში გასამართი გადამწყვეტი მატჩის თაობაზეც: *"არ იქნება იოლი თამაში და მგონი, ეს ყველას ესმის. გასათვალისწინებელია, რომ შოტლანდიაში არასოდეს მოგვიგია, მით უმეტეს, ეს ურთულესი ამოცანა იქნება ახლა, როცა ჩვენი მეტოქე ძალიან ძლიერია. თან არ დაგვავიწყდეს, რომ ამ შესარჩევში სკოტებმა ფრანგები ორჯერ დაამარცხეს".*

საყურადღებოა ინფორმაცია, რომელიც გუშინ გავრცელდა. როგორც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** განაცხადა, თუ "სკუადრა აძურა" ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდება, დონადონის დაუყოვნებლივ გადააყენებენ. მართალია, მწვრთნელის კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულში იწურება, მაგრამ იქვეა პუნქტი, რომელიც წარუმატებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების ვადამდელ შეწყვეტას ითვალისწინებს.

დავუბრუნდეთ ლიპის. მის მომავალთან დაკავშირებით სპეკულაციები ამით არ ამოიწურება. კვლავ რეალურია "ჩელსის" ვარიანტი. რაკი **გუუს ჰიდინკმა** რუსეთის ნაკრებში დარჩენა უკვე გადაწყვიტა, "არისტოკრატთა" სამომავლო დამრიგებლის პოსტზე ის ახლა ყველაზე ძლიერი კანდიდატურაა. ინგლისიში არავის სჯერა, რომ **აბრაამ გრანტი** "ჩელსიში" დიდხანს დარჩება. მეტიც, ბრიტანული პრესა დარწმუნებულია, რომ მისი ლონდონური "ეპოქა" ზაფხულს არ გასცდება. ლიპისთვის კი ივნისამდე მოცდა პრობლემა არ უნდა იყოს.



დაბრუნდება მარჩელო ლიპი?






რიკელმესა და შევჩენკოს მომავალი შეიძლება ამ ზამთარსვე გადაწყდეს

ტრანსფერები

# რიკელმეც და შევჩენკოც?

## მზადება ბაზრისთვის. გრანდებმა კონტურები მოხაზეს

**ზამთრის სატრანსფერო ბაზარი მალე ამოქმედდება. დარჩა 76 დღე. ახლა დაკვირვების პერიოდია. გრანდები და შედარებით მოკრძალებული კლუბებიც უკვე ამუშავებენ გაძლიერების გეგმებს. ვინ სად წავა და რომელი გუნდი რომელ ფეხბურთელზე აკეთებს აქცენტს? ამასთან დაკავშირებით, "გაძეტა დელო სპორტმა" გუშინდელ ნომერში ვრცელი მიმოხილვა გააკეთა...**

### ანდრეი შევჩენკო (ჩელსი)

**ჟოზე მოურინიოს** წასვლამ **ანდრეი შევჩენკოს** საქმეები ვერ გამოასწორა. ჯერჯერობით, უკრაინელ ფორვარდს დიდად არც **აბრაამ გრანტი** სწყალობს. შეგახსენებთ, **რომან აბრამოვიჩმა** ის 42 მილიონ ევროდ შეიძინა. მაგრამ ახლა მისი ფასი გაცილებით ნაკლებია. "მილანი" კვლავ რჩება იმ ერთ-ერთ კლუბად, რომელსაც შევჩენკოზე ხელი არ აუღია. **სილვიო ბერლუსკონი** სწორედ ამ ზამთარს ეცდება "უძღები შვილის" დაბრუნებას.

### ხუან რომან რიკელმე (ვილიარეალი)

ესპანურმა გამოცემა "ელ მუნდომ" მას "ვილიარეალის" მწვრთნელ **მანუელ პელეგრინის** "პირადი ტყვე" უწოდა. შევასი არ იყოს, "მილანის" თვალთახედვის არეში **ხუან რომან რიკელმეცაა**, განსაკუთრებით მას მერე, რაც ფეხბურთელმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა ეროვნულ ნაკრებში (დუბლი ჩილესთან). მიუხედავად იმისა, რომ ის "ბოკაში" დაბრუნებაზე ოცნებობს, სადაც გასული სეზონი გაატარა, არც იმის წინააღმდეგი იქნება, თუკი რომელიმე ძლიერი ევროპული კლუბი გაუღებს კარს. "ვილიარეალთან" კონტრაქტი მას 2009 წლის ივნისში ეწურება. ამ ზაფხულს მას ცოტა დააკლდა, რომ "ატლეტიკოში" გადასულიყო. "ვილიარეალის" ხელმძღვანელობას უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ თუ სარფიანი შეთავაზება იქნა, არგენტინელი "ტყვეობიდან" გაათავისუფლოს. რიკელმე 15 მილიონი ევრო ღირს.

### ლუკას პოდოლსკი (ბაიერნი)

მას მერე, რაც მიუნხენურმა გრანდმა **ფრანკ რიბერი, ლუკა ტონი** და **მიროსლავ კლოზე** იყიდა, **ლუკას პოდოლსკიმ** აქტუალობა დაკარგა. **ოტმარ ჰიტცფელდისთვის** ის დღეს მხოლოდ ერთი რიგითი ტალანტია, ტალანტი, რომელიც რალაც მიზეზების გამო ბოლომდე ვერ გაიხსნა და სკამს მიეჯაჭვა. რეალურია, რომ ამ ზამთარს ის ტრანსფერზე დააყენონ. არ არის გამორიცხული, "პრინცი პოლდი" რომელიმე საშუალო იტალიურ კლუბში მოხვდეს, მაგალითად, "ატალანტაში", სადაც უკვე ასაკოვანი **რიკარდო ძამპანია** შეიძლება შეცვალოს.

### პიტერ კრაუჩი (ლივერპული)

გასაყიდ ფეხბურთელთა სიაში აყლაყუდა **პიტერ კრაუჩი** ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა. **რაფაელ ბენიტესი** მისგან ვერ იღებს იმ შედეგს, რასაც ელოდა. ამ ზაფხულს, "ლივერპულის" შეტევითი პოტენციალი **ფერნანდო ტორესით, ანდრეი ვორონინით, იოსი ბენაიუნითა** და **რაიან ბაბელით** გაძლიერდა. კრაუჩი კი სკამს ხეხავს. მისი ფასი 12 მილიონ ევრომდე დაეცა.

### ანდრეს დ'ალესანდრო (სარაგოსა)

"სარაგოსას" "ვოლფსბურგიდან" მისი წაყვანა 3.5 მილიონი ევრო დაუჯდა. როცა **რიკარდო ოლივეირასა** და **დიეგო მილიტოს** უკან **პაბლო აიმარი** თამაშობს, **ანდრეს დ'ალესანდროს** ძირითადში აღარაფერი ესაქმება. ასეთი მიდგომაა "სარაგოსაში". ერთ დროს მომავლის ტალანტი კონკურენციას ვერ უძლებს. არაგონელებს ის გასაყიდთა სიაში ჰყავთ შეყვანილი.

### ერნესტო ხავიერ ჩევანტონი (სევილია)

ის იყო "ლეჩეში", მერე გადავიდა "მონაკოში", ახლა კი მეორე სეზონია, "სევილიის" ღირსებას იცავს. ურუგვაელის ანდალუსიური კარიერა მხოლოდ 8 გოლს (4 ჩემპიონატში და ამდენივე უეფას თასზე) ითვლის. ამ ზაფხულს **ხავიერ ერნესტო ჩევანტონი** "რეკრეატივოში" აპირებდა გადასვლას, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა. სერია A-ში მასზე პრეტენზიას "ლაციო" აცხადებს. შესაძლოა, ეს ტრანსფერი იანვარშივე განხორციელდეს.

### ეიდურ გუდიონსენი (ბარსელონა)

მისი ბარსელონური დღეები დათვლილია. **ფრანკ რაიკაარდს** ახლა **ტიერი ანრიც** ჰყავს, ჰორიზონტზე კი ამომავალი ვარსკვლავი **ბოაინ კრკიჩიც** გამოჩნდა. ასე რომ, 29 წლის **ეიდურ გუდიონსენი** ამ კამპანიაში სრულიად ზედმეტია. ფაქტია, რომ "ბარსა" მასში ნამდვილად ვერ აიღებს იმ 12 მილიონ ევროს, რაც თავის დროზე "ჩელსის" გადაუხადა. როგორც ამბობენ, გუდიონსენი "სიენაში" შეიძლება აღმოჩნდეს.

### მარსელო გალიარდო (პსჟ)

ერთ დროს ის "იუვენტუსის" მთავარი სამიზნე იყო, "ახალ მარადონასაც" ასაღებდნენ, მაგრამ მისი ვარსკვლავი, კარგა ხანია, ჩაესვენა. 31 წლის გამთამაშებელი "პარი სენ ჟერმენის" ძირითადშიც ვეღარ ხვდება. პარიზული კლუბი **მარსელო გალიარდოს** 5 მილიონ ევროდ აფასებს. შეიძლება, იანვარში მან რომელიმე მოკრძალებულ იტალიურ კლუბში ამოყოს თავი. ამას გარდა, არც ისაა გამორიცხული, ესპანეთს მიაშუროს და **შოთა არველაძესთან** ერთად "ლევანტეში" გააგოროს ბურთი.

### მიგელ ანხელ მისტა (ატლეტიკო)

29 წლის ფორვარდის კარიერა "ვალენსიიდან" წასვლის შემდეგ დაინგრა. **სერხიო აგუეროსთან, დიეგო ფორლანთან, სიმაო საბროსასა** და **ხოსე ანტონიო რეიესთან** კონკურენციაში **მიგელ ანხელ მისტა** ვერაფერს გახდა. მისი კარიერის პიკი იყო 2003/04 წლების სეზონი, როცა პრიმერა დივიზიონში 19 გოლი გაიტანა და "ვალენსიის" ჩემპიონობაში ლომის წილი დაიდო. მაშინ, "ატლეტიკომ" "ღამურებს" 4 მილიონი ევრო გადაუხდა. შესაძლოა, ფეხბურთელი "ბილბაოში" გადავიდეს.

### დანიელ ვან ბუიტენი (ბაიერნი)

**ოტმარ ჰიტცფელდმა** დაცვის ცენტრალურ ზონაში აქცენტი **ლუსიო-მარტინ დემიკელისის** წყვილზე შეაჩერა, შესაბამისად, **დანიელ ვან ბუიტენს** სკამზე უწევს ჯდომა. მასში 10 მილიონია გადახდილი. ვარაუდობენ, რომ ბელგიელი მცველი იანვრის სატრანსფერო ბაზარზე აუცილებლად გამოჩნდება. "ჰამბურგში" მისი დაბრუნდება თითქმის გამორიცხულია, გაცილებით რეალურ ვარიანტებად "ვერდერი", "ასტონ ვილა" და მოსკოვის "სპარტაკი" განიხილება.

### იტალიური გრანდების სამიზნეში: აკვილანი და ინტერი, ჟილბერტო და იუვე, ალექსი და მილანი

იმის გარდა, რაც ზემოთ მოგახსენეთ, "გაძეტა" იტალიური გრანდების მიერ დაგეგმილ სხვა სატრანსფერო ოპერაციებზეც ავრცელებს ინფორმაციებს. პოპულარული გამოცემის ვერსიით, "მილანს" დაცვის ცენტრის გაძლიერება სურს, "იუვენტუსს" თვალი ძლიერ საყრდენ ნახევარმცველზე უჭირავს, ასევე "ინტერს", რომელიც ახალგაზრდა შუახაზელს ეძებს, "რომა" და "ფიორენტინა" კი ცენტრფორვარდებზე ფიქრობენ...

კარგა ხანია, "მილანის" სამიზნეში მოხვდა "ჩელსის" ბრაზილიელი მცველი **ალექსი**. ვისი ალტერნატივა შეიძლება იყოს ეს ფეხბურთელი? ალბათ, **პაოლო მალდინის**, რომელიც კარიერას ამ სეზონის დასრულებისთანავე დაუსვამს წერტილს. თუ ტრანსფერი შედგა, ალექსი დაცვის ცენტრში **კახა კალაძესა** და **ალესანდრო ნესტას** დაემატება, რაც კონკურენციას ორმაგად გაამძაფრებს. ბრაზილიელი მცველი 15 მილიონ ევროდ ფასობს. ალექსის მოსვლა ზაფხულისთვის იგეგმება.

"ინტერი" **ალბერტო აკვილანიზე** ოცნებობს. "რომას" 23 წლის ნახევარმცველმა "ნერაძურიში" **ოლივიე დაკური** ან **პატრიკ ვიეირა** უნდა შეცვალოს. აკვილანი 20-დან 30 მილიონ ევრომდე ღირს. ეტყობა, **რობერტო მანჩინი** უკვე მომავალზე ფიქრობს. მის სიაშია ასევე უდინელი **ანდრეა დოსენაც**, რომელსაც დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში.

როგორც კი "მანჩესტერ სიტიში" წასულმა **როლანდო ბიანკიმ** სამშობლოში შესაძლო დაბრუნებაზე ჩამოაგდო სიტყვა, მისი შეძენის სურვილი "რომამ" გამოთქვა. ბიანკის სავარაუდო ფასი 15-20 მილიონი ევროა. **ლუჩანო სპალეტი** ფიქრობს, რომ **ფრანჩესკო ტოტის** წინა ხაზზე ძლიერი მეწყვილე სჭირდება. ბიანკი **მირკო ვუჩინიჩის** ალტერნატივად სახელდება.

"ფიორენტინამ" კი თვალი 24 წლის **დანიელე კაჩას** დაადგა. კაჩა სერია B-ში მოასპარეზე "პიაჩენცის" ღირსებას იცავს და უკვე მიიპყრო სხვა ელიტური კლუბების ყურადღება. მისი ფასი 4.5 მილიონი ევროა. "იები" "პიაჩენცას" ფეხბურთელზე თანამფლობელობის ხელშეკრულების გაფორმებას სთავაზობენ.

"იუვენტუსს" **ჟილბერტო სილვა** მოუნდა. "არსენალის" ბრაზილიელ საყრდენს "ვალენსიაც" ეპატიჟება. თუ "სანს" დავუჯერებთ, "იუვეს" წარმომადგენლები უკვე ბრძანდებოდნენ ლონდონში და "მეთოფეებს" 5 მილიონი გირვანქაც შეაძლიეს. **კლაუდიო რანიერის** დაცვაშიც აქვს პრობლემები, მაგრამ ეტყობა, საშურ საქმედ ნახევარდაცვის მოწესრიგებას მიიჩნევს. ამ ზაფხულს მოყვანილი **სერხიო ალმირონი** და **ტიაგო მენდეში**, ჯერჯერობით, იმედებს ვერ ამართლებენ. დრო კი არ იცდის. ჟილბერტო სილვა 31 წლისაა. "არსენალთან" ხელშეკრულება მას 2009 წლის ივნისში ეწურება.

განახლდა საუბრები **რაფაელ ვან დერ ვაარტზეც**. "ბებერი ქალბატონი" ეცდება, საქმე ზაფხულისთვის აღარ გადადოს და ჰოლანდიელი ტურინში ამ ზამთარსვე გადაიყვანოს. "იუვე" მის ყიდვას აგვისტოშიც გეგმავდა, მაგრამ "ჰამბურგს" ფასზე ვერ მოურიგდა. ვან დერ ვაარტის ფასი 10 მილიონი ევროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევრო 2008. შესარჩევი მატჩები

### A ჯგუფი

**17 ოქტომბერი**

ყაზახეთი-პორტუგალია
აზერბაიჯანი-სერბეთი
ბელგია-სომხეთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 20-10 | 24 |
| 2. პორტუგალია | 11 | 5 | 5 | 1 | 21-9 | 20 |
| 3. ფინეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 11-6 | 20 |
| 4. სერბეთი | 11 | 4 | 5 | 2 | 13-8 | 17 |
| 5. ბელგია | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| 6. სომხეთი | 9 | 2 | 3 | 4 | 4-8 | 9 |
| 7. ყაზახეთი | 11 | 1 | 4 | 6 | 9-18 | 7 |
| 8. აზერბაიჯანი | 9 | 1 | 2 | 6 | 4-19 | 5 |

### B ჯგუფი

**17 ოქტომბერი**

საქართველო-შოტლანდია
უკრაინა-ფარერები
საფრანგეთი-ლიტვა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შოტლანდია | 10 | 8 | 0 | 2 | 20-8 | 24 |
| 2. იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 17-7 | 23 |
| 3. საფრანგეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 21-3 | 22 |
| 4. უკრაინა | 9 | 4 | 1 | 4 | 11-12 | 13 |
| 5. ლიტვა | 9 | 3 | 1 | 5 | 7-11 | 10 |
| 6. საქართველო | 10 | 2 | 1 | 7 | 14-17 | 7 |
| 7. ფარერები | 10 | 0 | 0 | 10 | 3-35 | 0 |

### C ჯგუფი

**17 ოქტომბერი**

ბოსნია-ნორვეგია
თურქეთი-საბერძნეთი
მალტა-მოლდოვა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 9 | 7 | 1 | 1 | 17-9 | 22 |
| 2. თურქეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 22-9 | 18 |
| 3. ნორვეგია | 9 | 5 | 2 | 2 | 20-8 | 17 |
| 4. ბოსნია | 10 | 4 | 1 | 5 | 16-19 | 13 |
| 5. უნგრეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 10-17 | 12 |
| 6. მოლდოვა | 10 | 1 | 3 | 6 | 6-17 | 6 |
| 7. მალტა | 9 | 1 | 2 | 6 | 7-19 | 5 |

### D ჯგუფი

**17 ოქტომბერი**

გერმანია-ჩეხეთი
ირლანდია-კვიპროსი
სან მარინო-უელსი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 9 | 7 | 2 | 0 | 31-4 | 23 |
| 2. ჩეხეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 19-4 | 20 |
| 3. ირლანდია | 10 | 4 | 3 | 3 | 14-11 | 15 |
| 4. სლოვაკეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 27-20 | 13 |
| 5. კვიპროსი | 9 | 4 | 1 | 4 | 16-17 | 13 |
| 6. უელსი | 9 | 3 | 1 | 5 | 14-16 | 10 |
| 7. სან მარინო | 10 | 0 | 0 | 10 | 1-50 | 0 |

### E ჯგუფი

მაკედონია-ანდორა
რუსეთი-ინგლისი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 10 | 8 | 2 | 0 | 25-4 | 26 |
| 2. ინგლისი | 10 | 7 | 2 | 1 | 21-2 | 23 |
| 3. რუსეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 14-4 | 18 |
| 4. ისრაელი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-11 | 17 |
| 5. მაკედონია | 9 | 2 | 2 | 5 | 7-11 | 8 |
| 6. ესტონეთი | 10 | 1 | 1 | 8 | 3-18 | 4 |
| 7. ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 2-36 | 0 |

### F ჯგუფი

**17 ოქტომბერი**

შვედეთი-ჩრ. ირლანდია
ლიხტენშტაინი-ისლანდია
დანია-ლატვია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 9 | 7 | 1 | 1 | 20-4 | 22 |
| 2. ესპანეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 19-8 | 22 |
| 3. ჩრ. ირლანდია | 9 | 5 | 1 | 3 | 14-11 | 16 |
| 4. დანია | 9 | 4 | 2 | 3 | 14-8 | 14 |
| 5. ლატვია | 9 | 3 | 0 | 6 | 9-11 | 9 |
| 6. ისლანდია | 10 | 2 | 2 | 6 | 10-21 | 8 |
| 7. ლიხტენშტაინი | 10 | 1 | 1 | 8 | 5-28 | 4 |

### G ჯგუფი

**17 ოქტომბერი**

ლუქსემბურგი-რუმინეთი
ჰოლანდია-სლოვენია
ალბანეთი-ბულგარეთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 9 | 7 | 2 | 0 | 18-5 | 23 |
| 2. ჰოლანდია | 9 | 6 | 2 | 1 | 11-3 | 20 |
| 3. ბულგარეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 14-6 | 18 |
| 4. სლოვენია | 10 | 3 | 2 | 5 | 9-12 | 11 |
| 5. ალბანეთი | 9 | 2 | 4 | 3 | 8-7 | 10 |
| 6. ბელარუსი | 10 | 2 | 1 | 7 | 11-20 | 7 |
| 7. ლუქსემბურგი | 10 | 1 | 0 | 9 | 2-20 | 3 |

რუსეთი VS ინგლისი

# მაკლარენი არისტოკრატების გარეშე დარჩა

## თამაში, რომლის მოგება ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდება...

თუ ინგლისი რუსეთს დაამარცხებს, ევროპის ჩემპიონატზე გავა. გაირკვევა E ჯგუფიდან მეორე ფინალისტის ვინაობაც. ხორვატები, ინგლისელების მსგავსად, ვადაზე ადრე გაინაღდებენ ფინალური ეტაპის საგზურს. მაგრამ მოსკოვში მოგება ადვილი რომ არ იქნება, ეს სტატისტიკიდანაც ჩანს. ინგლისმა რუსეთის დედაქალაქში უკანასკნელად 34 წლის გაიმარჯვა. ეს 1973 წელს მოხდა. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სტუმრებმა საბჭოთა ნაკრებს 2:1 სძლიეს. იყო კიდევ ერთი გამარჯვება მაშინდელი საბჭოეთის ტერიტორიაზე - 1986 წელს, თბილისში: ინგლისმა ამხანაგური მატჩი ერთადერთი გოლით მოიგო.



გუშინ საღამოს ჯონ ტერის საკითხი ჯერ ისევ ჰაერში იყო გამოკიდებული

**სტივ მაკლარენი** იმ შემთხვევაშიც კმაყოფილი იქნება, თუ "ლუჟნიკიდან" ერთ ქულას წაიღებს. მასპინძლებს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს. მაგრამ რუსების თავკაცი **გუუს ჰიდინკი** საკლუბო და სანაკრებო დონეზე ინგლისელ მეტოქესთან გამარჯვებას აგერ უკვე ცხრა თამაშია, ვერ ახერხებს. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჰიდინკის ჰოლანდიამ **ტერი ვენეიბლზის** ინგლისთან 1:4 წააგო. მოგეხსენებათ, დღეს ვენეიბლზი ინგლისელთა მეორე მწვრთნელია. დღევანდელი ტურის წინ ჯგუფს 26 ქულით ხორვატია ლიდერობს. ინგლისს 23 ქულა აქვს და მეორეა. რუსეთს 18 ქულით მესამე ადგილი უკავია, თუმცა მეტოქეებზე ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

დღეს ევერტონელი მცველი **ჯოლეონ ლესკოტი** ინგლისელთა ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. ის **ეშლი კოულის** ადგილს დაიჭერს. "ჩელსის" ფეხბურთელს სამთვიანი შვებულება ემუქრება. კოული ესტონეთთან შაბათის შეხვედრაში (3:0) მძიმედ დაშავდა. გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა "არისტოკრატების" კიდევ ორი ვარსკვლავი - **ფრენკ ლემპარდი** და **ჯონ ტერი**. ისინი გუნდთან ერთად არიან და სრული დატვირთვით ვარჯიშობენ. მაკლარენს ძირითადი შემადგენლობა მოსკოვში გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ უნდა აერჩია. საკადრო პრობლემები აქვთ მასპინძლებსაც. ვერ ითამაშებენ გარემარბი **ვლადიმირ ბისტროვი** და თავდამსხმელი **ივან საენკო**.

### სავარაუდო შემადგენლობები

**რუსეთი:** გაბულოვი, ვასილი ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ალექსეი ბერეზუცკი, ანიუკოვი, ჟირკოვი, ბილიალეტდინოვი, ზირიანოვი, სემშოვი, არშავინი, კერჟაკოვი.

**ინგლისი:** რობინსონი, რიჩარდსი, რიო ფერდინანდი, სოლ კემპბელი (ან ჯონ ტერი), ლესკოტი (ან ფილ ნევილი), ბერი, ლემპარდი, ჯერარდი, ჯო კოული, რუნი, ოუენი.

**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

ახალგაზრდა ვარსკვლავი

# ყოჩაღ, ინგლისი ამაყობს შენით!

## რატომ უყვართ გულშემატკივრებს შონ რაიტ-ფილიპსი ასე ძალიან?



ინგლისელი ფანების კერპი, შონ რაიტ-ფილიპსი

**შონ რაიტ-ფილიპსი, ვინც ოქტომბრის ბოლოს 26 წლის სრულდება, ინგლისში დღემდე აღიქმება, როგორც ახალგაზრდა, იმედისმომცემი ფეხბურთელი. რატომ? ალბათ, იმ მიზეზით, რომ მან ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ გამოავლინა საკუთარი პოტენციალი. თუმცა წლეულს პროგრესი შეინიშნება: შონი გარდაისახა საკუთარ თავში დარწმუნებულ ვარსკვლავად და თავად დევიდ ბექჰემს შეუქმნა საფიქრალი ნაკრებში ძირითადში მოხვედრასთან დაკავშირებით. "გარდიანი" გვიყვება იმ მიზეზებზე, თუ რატომ უყვართ სამშობლოში ეს ფეხბურთელი ასე არანორმალურად.**

სექტემბერში, მაშინ როცა ინგლისმა ისრაელს 3:0 მოუგო, **იან რაიტი** ბრიტანეთის კუნძულებზე ერთადერთი ამაყი მამა არ იყო. მისი გოლით ამაყობდა ყველა ინგლისელი დედ-მამა, ასევე ყველა მომავალი დედ-მამა. აი, ასეთი ბიჭია შონი. ის ყველა თანამემამულეში მშობლის ინსტინქტს აღვიძებს.

ნუთუ არის მეორე მოთამაშე ინგლისურ ფეხბურთში, ვინც ასე ძალიან უყვართ? მას ეთაყვანებიან არა მხოლოდ საფეხბურთო ოსტატობის, არამედ პიროვნული ხიბლის გამოც. ის სულითა და გულით ფეხბურთელია, თანაც დაუჯერებლად მორიდებული, თითქმის მორცხვი. და მას შემდეგ, რაც მან ნაკრებში შთამბეჭდავი თამაშების სერია ჩაატარა, სამშობლომ თავის გმირს ქედი მოუხარა.

კუნძულზე ყველა პოპულარულ ფეხბურთელს მეტსახელი აქვს. ყველაზე ხშირად გვარს გრძელ ი-ს ამატებენ ხოლმე. ზოგიერთი ფეხბურთელის გვარი ისედაც ი-ზე მთავრდება. ამაზე გულშემატკივრები ამბობენ, თავად ღმერთმა ინება, რომ მათი გვარები ასე ყოფილიყო და ამაზე ჩვენ აღარ გვეზრუნაო. რაც შეეხება იმ ფეხბურთელებს, რომლებიც უბრალოდ უყვართ, მაგრამ არ აღმერთებენ, ისინი "კმაყოფილდებიან" იმ გვარით, რაც ბუნებამ უბოძა - **რიო ფერდინანდი** რჩება ფერდინანდად და ვერაფრით იქცა ფერდიდ, **გარი ნევილი** ნევიდ, **ოუენი** ოუნიდ. ეს უკანასკნელიც კი ვერ გადაიქცა სათაყვანებელ პერსონად, ეროვნულ ნაკრებში გატანილი ათეულობით გოლის მიუხედავად.

ფეხბურთის სამშობლოში იშვიათად რგებიათ პატივი, რომ არაუბრალოდ გვარის, არამედ სახელის ალერსობითი ფორმით მიემართოს ხალხს. არსებობს სახელი სტივი. წარმოთქვით და ყველა მიხვდება, თუ ვიზეა საუბარი. რა თქმა უნდა, ასეთი პატივით **სტივ ჯერარდი** სარგებლობს. სტივის მსგავსი სიყვარული ხალხისგან მხოლოდ **რაიტ-ფილიპსმა** დაიმსახურა. ლივერპულელს აღმერთებენ მისი სამაგალითო ადამიანობის, კლასიკური ინგლისური ჯენტლმენური მანერების გამო. შონის სიყვარული ცოტა სხვაგვარია. ჯერარდი, ესაა უფროსი ძმა, ოჯახის ბურჯი, ვინც თავის ბუდეს არასოდეს მიატოვებს, შონი - უმცროსი ძმა, რომელიც მუდამ იბრძოდა თავისი თავის დამკვიდრებისთვის, ეცემოდა, მაგრამ არ ნებდებოდა. ის არ იცნობდა საკუთარ ბიოლოგიურ მამას, ის არ აიყვანეს "ნოტინგემ ფორესტში" იმის გამო, რომ ძალიან დაბალი იყო, მას შეურაცხყოფას აყენებდნენ რასისტულ ნიადაგზე. "სიტიში" პირველი თამაშებისას გულშემატკივარი მას უფრო გუნდის თილისმად აღიქვამდა, ვიდრე ფეხბურთელად. პატარა (166 სმ), მუდამ მომღიმარი, წვრილზე წვრილი ფეხებით... განა შეიძლებოდა არ შეგყვარებოდათ?

მაგრამ მისი ნიჭის თაყვანისმცემლები ტანმორჩილობის გამო მას წარსულის ისეთ ლეგენდებს ადარებდნენ, როგორებიც იყვნენ **ჟუნინიო, ჯანფრანკო ძოლა, დენის უაიზი, ბილი ბრემნერი**. იმ დროს, როცა მისი თანატოლი ნიჭიერი ფეხბურთელები საფეხბურთო აკადემიებიდან პროფესიულ გუნდებში დაუბრკოლებლად გადადიოდნენ, რაიტ-ფილიპსს უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუწია, რომ ეს გზა გაევლო. "სიტიში" მან მხოლოდ პირველი სეზონის მიწურულს გაამართლა იმედები. ამ დროს მისი გუნდი ქვედა დივიზიონში თამაშობდა. პრემიერლიგაში დაბრუნების შემდეგ ისტორია განმეორდა. შონს გაუჭირდა შესაძლებლობების დემონსტრირება. ნაკრებში პირველივე თამაშში გოლი გაიტანა, მაგრამ მას შემდეგ დიდი ხნით დაივიწყეს.

ერთ დღესაც ის "ჩელსიში" 21 მილიონ გირვანქად გადაბარგდა და პირველ ხანებში, ყველა ლაპარაკობდა, რომ ეს ფული წყალში იყო გადაყრილი. მას არაფერი გამოსდიოდა - მოედანზე ვერც ზუსტ პასებს არიგებდა, ვერც საგოლე გადაცემებს ასრულებდა და თითქმის ყველა ბრძოლას აგებდა. ძნელი საყურებელი იყო პროცესი, თუ როგორ ეკარგებოდა საკუთარი თავის რწმენა ახალგაზრდა ფეხბურთელს. მან ვერ ნახა საკუთარი ადგილი ვერც "ჩელსიში" და ვერც ნაკრების რიგებში. პრემიერლიგის ვარსკვლავიდან ის ჩვეულებრივ ფეხბურთელად გადაიქცა. **მოურინიო** შუა მატჩისას ცვლიდა ხოლმე იმის მიუხედავად, რა დონეზე მისდიოდა თამაში.

შონის მამობილი, ლეგენდარული იან რაიტი ამბობდა ხოლმე, ჩემს შვილს მცირედ ხელის წაკვრა, მცირედ შექება, შეგულიანება და გვერდში დგომა სჭირდებაო. საუბრობდნენ, რომ შონი "ვესტ ჰემში" გადადიოდა ან ამაზე უარესი, ბრუნდებოდა იქ, საიდანაც ლონდონში მოვიდა - "მანჩესტერ სიტიში". ეს კი უკვე ფეხბურთელის მარცხს ნიშნავდა. მაგრამ არა... ჩვენი გმირი თავდახრილი მუშაობდა და იბრძოდა იმისთვის, რაც ასე ძალიან უნდოდა.

დაბოლოს, დიდი დაბრუნება შედგა - ნამდვილი შონი მინდორს დაუბრუნდა. ის ისევ ძველებურად, დაუნდობლად უსწორდება მეტოქეებს. ორი წლის განმავლობაში მისი საკლუბო კონკურენტები იყვნენ **არიენ რობენი, დემიენ დაფი, ჯო კოული**. ნაკრებში **აარონ ლენონი**. ვერაფერს იტყვი, შესანიშნავი სიაა. ამბობენ, თუკი ყველაფერი ასევე გაგრძელდა, **დევიდ ბექჰემი** კიდევ დიდი ხანი დაელოდება თავის მეასე სანაკრებო მატჩსო. ყველაზე შთამბეჭდავი კი ისაა, რომ ჩვენს ეპოქაში ის ძველ, პატარა, დაუჯერებლად მორიდებულ, თითქმის მორცხვ ადამიანად დარჩა.

ყოჩაღ, შონ, სამშობლო ამაყობს შენით!

### დელ პიერო და იუვე შეთანხმდნენ

"იუვენტუსის" ტიფოზები თურმე ტყუილად ნერვიულობდნენ. "ბებერი ქალბატონის" სიმბოლოდ წოდებული **ალესანდრო დელ პიერო** არსადაც არ მიდის. გუშინ ის და "იუვეს" უფროსობა შეთანხმდნენ, რომ მათ შორის თანამშრომლობა კიდევ 3 წლით გაგრძელდება. გაირკვა, რომ 2009 წლამდე ალექსი წლიურად 4 მილიონ ევროს მიიღებს, ბოლო სეზონისთვის კი 3.5 მილიონს. დარჩა მხოლოდ ამ შეთანხმების ოფიციალურად გაფორმება, რაც ამ დღეებში მოხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეკულაციები

# ჟოზე მოურინიო ინგლისის ნაკრებში?

## თუ მაკლარენი მოსკოვში წააგებს თუ ინგლისი ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩება, საფეხბურთო ასოციაციამ, შეიძლება, პორტუგალიელი მწვრთნელის კანდიდატურა განიხილოს...

**ჟოზე მოურინიომ**, შეიძლება, ინგლისის ნაკრები ჩაიბაროს. თუკი ალბიონელები მოსკოვში დამარცხდებიან, **სტივ მაკლარენის** პოზიციები გვარიანად შეირყევა. "ჩელსისთან" კონტრაქტის გაწყვეტის ერთ-ერთი პირობა ის იყო, რომ მოურინიოს სეზონის ბოლომდე პრემიერლიგის სხვა კლუბში არ უნდა ემუშავა. მიმომხილველთა ვარაუდით, სწორედ ამ პუნქტის გამო ვერ დაინიშნა ჟოზე "ტოტენჰემში". მაგრამ "ჩელსისთან" შეთანხმებაში ნაკრები ნახსენებიც კი არ არის. "დეილი მეილი" ამიტომაც მიიჩნევს მოურინიოს რეალურ კანდიდატად.

"ლუჟნიკიზე" წაგების შემთხვევაში ინგლისელები საგრძნობლად გაიუარესებენ მდგომარეობას. მათ ერთი თამაშიღა დარჩებათ ჩასატარებელი - შინ ხორვატიასთან. რუსეთი ისრაელს ეწვევა და შემდეგ ანდორას უმასპინძლებს. ცხრა ქულის დაგროვების შემთხვევაში, რუსები ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრებიან. ინგლისი-ხორვატიის მატჩი კი აზრს დაკარგავს. ამიტომ სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ მაკლარენის შეგირდებმა მოსკოვიდან ერთი ქულა მაინც წაიღონ. ეს მნიშვნელოვანია ნაკრებისა და პირადად მწვრთნელისათვის.

მოსალოდნელ ცვლილებებს ეხმაურება "თაიმსიც". ავტორიტეტული გამოცემა ვარაუდობს, რომ საფეხბურთო ასოციაცია მწვრთნელზე მხოლოდ შესარჩევი ტურნირის შემდეგ იმსჯელებს. გამორიცხული არაა, საკითხის არაფორმალური განხილვა ამ კვირაშიც გაიმართოს - მოსკოვური მატჩის წაგების შემთხვევაში, რასაკვირველია.

მიმომხილველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მოურინიო ერთ-ერთი პრეტენდენტი იქნება. მას შთამბეჭდავი შედეგები უმაგრებს ზურგს - როგორც კონტინენტზე, ისე ბრიტანეთში. "ჩელსიში" გატარებულ სამ წელიწადში ჟოზემ ხუთი ტიტული მოიპოვა - ორჯერ ინგლისის ჩემპიონობა, ორჯერ ლიგის თასი და ასოციაციის თასი. მას არა ერთხელ უთქვამს, რომ სანაკრებო დონეზე ძალების მოსინჯვა სურს.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი **ბრაიან ბარვიკი** მაკლარენს სრულ მხარდაჭერას უცხადებს. სტივის კონტრაქტი 2010 წელს იწურება, მაგრამ თუ ინგლისი ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდება, წარმოუდგენელია, მწვრთნელმა სამსახური შეინარჩუნოს. უკანასკნელი დიდი საფეხბურთო ტურნირი, რომელმაც ინგლისელების გარეშე ჩაიარა, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი იყო. ალბიონელთა თავკაცმა **გრემ ტეილორმა** თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. მაგრამ არსებობს სრულიად განსხვავებული პრეცედენტიც. ათი წლით ადრე **ბობი რობსონმა** ინგლისი ევროპის პირველობაზე ვერ გაიყვანა, მაგრამ თანამდებობაც შეინარჩუნა და ნაკრებს კიდევ ექვსი წელი უხელმძღვანელა. რობსონის სახელს უკავშირდება ინგლისელთა მეორე საუკეთესო შედეგი მუნდიალების ისტორიაში - 1990 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები მაკლარენის შემთხვევაში.

მანჩესტერ იუნაიტედი

# მეორე ტევესიც ოლდ ტრეფორდზე?

## გიგზისა და ვან დერ სარის ახალი კონტრაქტები, კერჟაკოვი და მომავალი ვიზიტი კიევში

**რაიან გიგზმა** "მანჩესტერ იუნაიტედთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. 33 წლის უელსელი ნახევარმცველი "მენიუში" 2009 წლის ივნისამდე დარჩება. ის "იუნაიტედში" 1991 წელს გადავიდა და მას შემდეგ 727 მატჩი ჩაატარა. რაიანმა ამ ხნის განმავლობაში 18 ტიტული მოიპოვა, მათ შორის ცხრა საჩემპიონო ტიტული.

**ედვინ ვან დერ სარის** საკითხი გადაწყვეტილია. "მანჩესტერ იუნაიტედი" მასთან თანამშრომლობას ერთი წლით გააგრძელებს. 36 წლის გოლკიპერი "ეშმაკების" ყველაზე მხცოვანი ვარსკვლავია, მაგრამ ასაკის მიუხედავად შთამბეჭდავ სეზონს ატარებს. მან ყველა ტურნირზე შვიდი შეხვედრაში შეინახა კარი მშრალად. სტატისტიკა მრავლისმეტყველია. სერ ალექს ფერგიუსონს ეჭვი არ ეპარება, რომ ჰოლანდიელი გოლკიპერი მომავალ სეზონშიც უმაღლეს დონეზე ითამაშებს. ედვინს კვირაში 35 ათას გირვანქას გადაუხდიან. ფერგიმ ასეთი კომენტარი გააკეთა: "ის (ვან დერ სარი) უკვე სამი წელია, ჩვენთანააა, მაგრამ დიდი ხნით ადრე უნდა მეყიდა. ედვინის ტრანსფერს 1999 წელს ვგეგმავდით. ფეხბურთელი ხელიდან გაგვისხლტა. ის ნამდვილი პროფესიონალია. ვან დერ სარს ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო შენაძენად მივიჩნევ." გოლკიპერს ფეხის ტრავმის გამო "იუნაიტედის" ბოლო ორი შეხვედრა გაუცდა. ის უკვე გამოჯანმრთელდა და მომავალ უქმეებზე "ასტონ ვილასთან" თამაშს აპირებს.

"მენიუმ" **კარლოს ტევესის** ძმას **მიგელს** დაადგა თვალი. მიგელ ტევესი 17 წლისაა. ის შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს. ტევესი-უმცროსმა "იუნაიტედში" ორკვირიანი სინჯები გაიარა. **კარლოს კეიროშმა** სერ ალექსს ამ ბიჭთან კონტრაქტის გაფორმება ურჩია. ფერგიუსონს მიგელი ძალიან მოეწონა, მაგრამ უცნობია, აიყვანს თუ არა მას. ფეხბურთელი სახელოვანი ძმის მაგალითს მისდევს და "ბოკა ხუნიორსში" თამაშობს. მას "პატარა აპაჩის" უწოდებენ. მიგელ ტევესი არგენტინული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა.

"ეშმაკებმა" სევილიელ თავდამსხმელ **ალექსანდრ კერჟაკოვსაც** დაადგეს თვალი. ეს ინფორმაცია რამდენიმე კვირის წინაც გავრცელდა. შემდეგ ხმაური მინელდა. გუშინდელმა "სანმა" კერჟაკოვის საკითხი კიდევ ერთხელ წამოსწია. "იუნაიტედი" თავდასხმის გაძლიერებას ცდილობს. ის იანვრის ფანჯრისათვის ემზადება, მაგრამ რუსი ფორვარდის ტრანსფერი შეიძლება მხოლოდ ზაფხულში შედგეს. "მენიუმ" კიდევ ერთ ახალგაზრდა ფორვარდს დაადგა თვალი - პარტიზანელ **შტევან იოვეტიჩს**. 17 წლის იოვეტიჩი ჩერნოგორიელია. მისი სანაკრებო დებიუტი უნგრეთთან ამხანაგურ მატჩში შედგა. შტევანმა "პარტიზანის" შემადგენლობაში 54 მატჩი ჩაატარა და 18 გოლი შეაგდო. მასზე არაერთი ევროპული გრანდი აცხადებს პრეტენზიას. იოვეტიჩი "რეალსა" და "აიაქსს" სურთ. "მანჩესტერი" მზადაა, იანვრის ტრანსფერებისას 10 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ბელგრადული კლუბის ხელმძღვანელობა გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. მას სურს, ფეხბურთელი მიმდინარე სეზონის ბოლომდე შეინარჩუნოს.

დასასრულს, მომავალი კვირის გეგმების შესახებ. ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურში "იუნაიტედი" კიევის "დინამოს" ესტუმრება. ფერგიუსონმა გადაწყვიტა, უკრაინის დედაქალაქში თამაშამდე ორი დღით ადრე ჩავიდეს. კიევამდე "ეშმაკებმა" თითქმის ხუთი საათი უნდა იფრინონ. მწვრთნელს დიდი მანძილი და ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემები აფიქრებს. "იუნაიტედმა" ზედიზედ ორი თამაშის მოიგო. კიევში გამარჯვების შემთხვევაში, მანჩესტერელები ფაქტობრივად გაინაღდებენ ფლეი ოფის საგზურს. საინტერესოა ისიც, რომ "იუნაიტედი" კიევში საკუთარი მზარეულითა და დიეტოლოგთა მთელი რაზმით ჩავა.



იოახიმ ლიოვი

**გერმანიის ნაკრები პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი გუნდია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია და მასპინძლების, ავსტრიისა და შვეიცარიის შემდეგ, ევრო 2008-ზე თამაშის უფლება მოიპოვა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბუნდესგუნდი საბოლოოდ გამოფხიზლდა? სამი წლის წინათ, გერმანელები ეროვნული ნაკრებით ვერ ამაყობდნენ, რადგან ბუნდესგუნდი გულშემატკივრების იმედებს ველარ ამართლებდა. ამის დასტურად თუნდაც 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე განცდილი კრახი გამოდგება, რის შემდეგაც ბუნდესგუნდს სათავეში იურგენ კლინსმანი ჩაუდგა, ხოლო მისი თანაშემწე კი იოახიმ ლიოვი გახდა...**

**კლინსმანის** დროს გერმანიის ნაკრებმა უდიდესი პროგრესი განიცადა, რაც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს მედლებით დაგვირგვინდა. გერმანელი ექსპერტები ჯერ კიდევ მაშინ ამბობდნენ, ნაკრების ტაქტიკა-სტრატეგიის შემუშავება **ლიოვის** მოვალეობაა, ასე რომ, ამ კაცს გარკვეულწილად, კლინსმანზე ნაკლები როლი როდი აქვსო. მუნდიალის შემდეგ კლინსმანი წავიდა, ბუნდესგუნდი კი იოგის დარჩა, რასაც ექსპერტთა უმრავლესობამ თავიდან კრიტიკულად შეხედა. მაგრამ ნახეთ, იოგის ხელში გერმანია ისეთი წარმატებულია, როგორიც დიდი ხნის მანძილზე აღარ ყოფილა. 47 წლის ლიოვი მთელ ქვეყანას შეუყვარდა და თანაც ისე, რომ ეს უკანასკნელი ამ სიყვარულში კლინსმანს სერიოზულ კონკურენციას უწევს. გერმანელები ამბობენ: ჩვენ გვყავდა გულახდილი **რუდი ფიოლერი** და ჭკვიანი კლინსმანი, მაგრამ ლიოვი, გერმანიის ნაკრების ყველა მწვრთნელზე "კარგი ტიპიაო".

იოგი წარმოშობით ბადენელია და მისი ერთადერთი ნაკლი (თუ შეიძლება, რომ ეს ნაკლად ჩაეთვალოს) ის გახლავთ, რომ ლიტერატურულ გერმანულს არ საუბრობს (!). არა, იოახიმი წმინდა წყლის გერმანელია, მაგრამ მისი საუბრის კილო დიალექტური გახლავთ: ბადენური. მაგალითად, "ჰოხსთე დისციპლინის" ნაცვლად იტყვის: "ჰოგშდე დისციპლინ", "ოიროპამაისტერის" (ქართულად: ევროპის ჩემპიონი) ნაცვლად "ოიროპამაიშდერ" და ა.შ. მაგრამ ამის გამო არავინ უბრაზდება.

ევროპის ჩემპიონატის ირლანდიაში მოპოვებული საგზური მთელმა გერმანიამ ხმაურიანად აღნიშნა, ბუნდესმწვრთნელმა კი უხმაუროდ, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე: სასტუმროში, **ანდრეას კიოპკესთან** ერთად რამდენიმე ჭიქა ღვინო მიირთვა და მალევე დაწვა დასაძინებლად. *"ჩვენ მიზანს მივაღწიეთ და ევროპის ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ. ძალიან კარგი! ახლა მომდევნო მიზნისთვის ბრძოლას ვიწყებთ,"* - ამბობს იოგი და კითხვაზე, თუ რა არის მომდევნო მიზანი, ტრადიციულად, ბადენურად პასუხობს: "ოიროპამაიშდერ".

მაინც რას წარმოადგენს იოახიმ ლიოვი, მწვრთნელი, რომელმაც კლინსმანის დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელა და ბუნდესნაკრები კვლავ ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად აქცია? გამოცემა "ბილდმა" იოგი, ასე ვთქვათ, თავიდან ფეხებამდე დაახასიათა და ჩვენც ყველა დეტალს გთავაზობთ.

■ ■ ■

ოჯახური მდგომარეობით დავიწყოთ: იოახიმი 1986 წლიდან **დანიელაზეა** დაქორწინებული. წყვილმა ერთმანეთი სასწავლებელში გაიცნო. შვილები ჯერ არ ჰყავთ. ლიოვების ოჯახი ფრაიბურგში ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ ფრაუ ბუნდესმწვრთნელი გერმანულ მედიაში დღემდე არ გამოჩენილა, რადგან მაქსიმალურად ცდილობს, რომ ყურადღების ცენტრში არ მოექცეს. ამას წინათ, "უემბლიზე" ინგლისისა და გერმანიის მატჩს დაესწრო, მაგრამ ჟურნალისტებმა ვერსად მიაგნეს. დანიელა ლიოვი ბუღალტერია და მანქანების გაქირავების ფირმაში მუშაობს. იოახიმს მამა 1997 წელს გარდაეცვალა, დედა **ჰილდეგარდი** კი ერთადერთი ადამიანია, ვინც ბუნდესმწვრთნელს იოახიმს ეძახის. სხვებისთვის ის იოგია.

პორტრეტი

# უბრალოდ, კარგი ტიპი

## მწვრთნელი, რომელმაც გერმანიას კლინსმანი მალე დაავიწყა...

ლიოვი თანამედროვე ადამიანია და გულდასმით მისდევს მოდას, უპირატესობას კი **უგო ბოსს** ანიჭებს და მუდმივად შავებშია გამოწყობილი. საინტერესოა ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დროს კლინსმანს ტანსაცმელს სწორედ ლიოვი ურჩევდა. იოახიმისთვის ჩაცმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რასაც თუნდაც ეს ფაქტი მოწმობს: 1988 წელს მან მოდის სახლთან კონტრაქტი გააფორმა და რეკლამაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ სანაცვლოდ არა ფული, არამედ ტანსაცმელი მოითხოვა. 18 წლის ასაკში მარცხენა ყურზე საყურეს ატარებდა, მაგრამ მას მერე საყურე აღარ გაუკეთებია. როგორც ამბობს, თინეიჯერული ასაკიდან მალევე გამოვიდა და საყურისკენ აღარც კი გაუხედავს.

სალამოობით, ვახშამზე, დიდი სიამოვნებით სვამს ღვინოს, უპირატესობას იტალიურ "ტიანელოს" ანიჭებს. უყვარს ფრენა და ბავშვობაში სწორედ მფრინავის პროფესიაზე ოცნებობდა. რელიგიურია და რელიგიის ისტორია ძალიან აინტერესებს. ამჯერად ბუდიზმის ისტორიას ეუფლება. თავისუფალ დროს, მისი უპირველესი ჰობი სირბილია, რასაც დიდი სიამოვნებით უთავსებს მთაზე ცოცვას (ნამყოფია კილიმანჯაროზე). იოგი არ განეკუთვნება იმ კატეგორიას, ვისაც ღამის თენება უყვარს. არაერთხელ უთქვამს, ადრე დაძინება ჯანმრთელობისა და კარგ ხასიათზე ყოფნის გარანტიაა, მინიმუმ 8 საათი უნდა მეძინოსო. სწორედ ჯანმრთელობისა და მუდმივად კარგ ხასიათზე ყოფნის გარანტიისთვის დაანება თავი მოწევასაც (სექტემბერში). ძალიან ბევრს არც მანამდე ეწეოდა: ერთი კოლოფი "მალბორო ლაითი" ორი, ხანდახან სამი დღეც ჰყოფნიდა.

უყვარს მანქანით სწრაფი სიარული, ჰყავს "მერსედეს E 500". მართვის მოწმობა უკვე ოჯერ დაკარგა და ორივეჯერ სისწრაფის გადაჭარბების გამო - 2006 წლის მუნდიალის დაწყებამდე, 100-ის ნაცვლად, 134 კმ/სთ-ით მგზავრობდა, მუნდიალის შემდეგ კი, სისწრაფეს კიდევ ერთხელ გადააჭარბა (100-ის ნაცვლად 128 კმ/სთ). *"პირველი შემთხვევა კლინსმანის ბრალი იყო, ის მაჩქარებდა..."* - სიცილით ამბობს ბუნდესმწვრთნელი.

აქტიური სპორტული კარიერა ბრწყინვალე არ ჰქონია, იყო "აინტრახტის", "ფრაიბურგის", "შტუტგარტის", "კარლსრუესა" და "შაფჰაუზენის" თავდამსხმელი. ბუნდესლიგაში 52 მატჩში 7 გოლი გაიტანა, გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში კი ოდენ 4 მატჩს მოუყარა თავი. სამწვრთნელო კარიერა კი უფრო შთამბეჭდავი აქვს: 1997 წელს "შტუტგარტს" გერმანიის თასი მოაგებინა, 2002 წელს კი "ტიროლს" ავსტრიისა. იყო "ფენერბაჰჩეს" და ვენის "აუსტრიის" დამრიგებელიც. 2006 წლის ივლისიდან კი გერმანიის ნაკრებს ხელმძღვანელობს და გადაწყვეტილია, რომ ამ პოსტზე 2010 წლამდე დარჩება. გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **თეო ცვანციგერის** თქმით, მნიშვნელობა არა აქვს, რას მიაღწევს ბუნდესგუნდი ევროპის ჩემპიონატზე - ლიოვთან კონტრაქტი მანამდე გაგრძელდება.

ყველაფერთან ერთად, იოგის დადებითი შარმი აქვს და უფრო კარგი მსმენელია, ვიდრე მოლაყბე. ამბობს, სხვა ადამიანების პრობლემებს მოსმენით უფრო გავიგებ, საკუთარზე კი ბევრი საუბარი არ მიყვარსო. ეს იოახიმის ფსიქოლოგიური ტრიუკია: მას უნდა, რომ სხვების სუსტი მხარეები გაიგოს და საკუთარი დამალოს. ამიტომაც, ცოტას ლაპარაკობს, მეტწილად სხვებს უსმენს. ეზიზღება სიმკაცრე და დაუნდობლობა, ვერ იტანს, როცა ადამიანმა მოქცევა არ იცის.

ზემოთაც ვთქვით, რომ ლიოვი მორწმუნე ადამიანია, კათოლიკე და ხშირად იხსენებს რომის პაპ იოანე პავლე II-ის უკანასკნელ სიტყვებს, რომელიც მან სიკვდილის წინ წარმოთქვა: *"მე მიხარია, გიხაროდეთ თქვენც!"* ლიოვი ამბობს, როცა ეს განცხადება მოვისმინე, ტანში ჟრუანტელმა დამიარაო.

ლიოვის, როგორც ბუნდესმწვრთნელის შემოსავალი საკმაოდ დიდია. არსებული კონტრაქტით, მისი ხელფასი ყოველწიურად 2 მილიონი ევრო გახლავთ, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ახალი ხელშეკრულებით ის წელიწადში 2.5 მილიონს მიიღებს. აქციები არასდროს შეუძენია, ფულს კონსერვატიულად იყენებს. გასულ ზაფხულს, დანიელასთან ერთად სარდინიაზე დაისვენა.

რაც შეეხება ბადენურ დიალექტს, ლიოვი ამ მხრივ არაფრის შეცვლას არ აპირებს. *"რა თქმა უნდა, შემიძლია, რომ ლიტერატურული გერმანულით ვისაუბრო, მაგრამ ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც ჩემს დიალექტს უნდა ვუღალატო,"* - აცხადებს იოგი, რომელიც შვარცვალდში, ბადენ-ვიურტემბერგის ქალაქ შიონაუში დაიბადა.

დაბოლოს, ლიოვის საფეხბურთო ფილოსოფია. სწრაფი ტემპი ყველაზე მნიშვნელოვანია, ლიოვი ბურთთან ერთ, მაქსიმუმ ორ შეხებას ითხოვს. ბურთი მიიღე? მაშინვე პასი გააკეთე და თანაგუნდელს ისევ გაეხსენი - ეს არის მისი ფილოსოფია. *"ფეხბურთელმა გზა ყოველთვის წინ უნდა ეძებოს და არა უკან! უმჯობესია, რისკზე წახვიდე, ვიდრე უკან გააკეთო პასი. აგრესიული თამაში ჩემთვის მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაშია დასაშვები. აუცილებელია ტოტალური კონცენტრაცია, ვერ ვიტან, როცა ფეხბურთელს შეცდომა სიზარმაცის გამო მოსდის. უმთავრესია პროფესიონალიზმიც - ნებისმიერი ფეხბურთელი თავის სხეულზე თვითონ აგებს პასუხს,"* - ამბობს ბუნდესმწვრთნელი. მისი ტაქტიკა თითქმის ყოველთვის 4-4-2-ია, მონაგარი კი ასეთი: 12 მოგება, 2 ფრე, 1 მარცხი...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფრანკ რაიკაარდთან

# მესი ბარსელონის ლიდერი გახდა

## ჰოლანდიელი სპეციალისტი კატალონიური გრანდის პროგრესს პასუხისმგებლობის გამძაფრებით ხსნის

სანაკრებო შეხვედრების გამო პრიმერა დივიზიონში შესვენება გამოცხადდა. ფრანკ რაიკაარდს საშუალება მიეცა, რამდენიმე დღით სამშობლოში ჩასულიყო. "ბარსელონის" დამრიგებელმა ჟურნალისტებს ჰოლანდიაშიც ვერ დააღწია თავი. იქაურმა პრესამ ის პრესკონფერენციაზე დაიბარა და ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. საუბარი მრავალ საინტერესო საკითხს შეეხო. ობიექტური მიზეზების გამო თქვენს სამსჯავროზე მხოლოდ ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს გამოვიტანთ.

**- სეზონი არასახარბიელოდ დაიწყეთ, თუმცა მომდევნო ტურებში თამაშის ხარისხი მნიშვნელოვნად გამოასწორეთ და ყველა დაარწმუნეთ, რომ "ბარსელონა" დღესაც ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. საინტერესოა, როგორ მოახერხეთ მცირე დროში პრობლემების დაძლევა.**

- პირველ ყოვლისა, მსურს მოგახსენოთ, რომ პრობლემები ბოლომდე ჯერაც არ მოგვიგვარებია. თუმცა ფაქტია, ახლა უფრო კარგად ვთამაშობთ, ვიდრე სეზონის დასაწყისში. ბიჭებმა პასუხისმგებლობა იგრძნეს და უფრო დიდი შემართებით თამაში დაიწყეს. პრიმერა დივიზიონში ჩატარებული შეხვედრებით დავრწმუნდით, რომ წელს გაცილებით უფრო დიდი კონკურენცია გვექნება. მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე კლუბები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გვიპირისპირდებიან, თითქოს "ბარსასთან" მატჩი ფინალი იყოს. მაგალითად, გეტყვით, რომ "რასინგი" და "ოსასუნა" მთელი 90 წუთის განმავლობაში შეუპოვრად გვებრძოდნენ. ფეხბურთელები წამითაც არ ჩერდებოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ბურთი დიდხანს არ გაგვეკონტროლებინა. არ დაგიმალავთ, მათი ასეთი თამაშით გაკვირვებული დავრჩი, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სანტანდერელები და პამპლონელები ასეთი შემართებით მხოლოდ გრანდების წინააღმდეგ იბრძვიან. შეუძლებელია, სეზონის 38-ივე პაექრობა ერთსა და იმავე რიტმში ჩაატარონ. მოკლედ, "ბარსა" ერთია და მას უამრავი მეტოქე ჰყავს.

**- გეთანხმებით, მაგრამ დავინახეთ, რომ "რასინგთან" და "ოსასუნასთან" განცდილი წარუმატებლობის შემდეგ გუნდი ფანტასტიკურად ათამაშდა. ზედიზედ 4 გამარჯვება იზეიმეთ, არადა, ვერავინ იტყვის, რომ "სარაგოსა" ან "ატლეტიკო" ისეთივე ჟინით არ გეთამაშნენ, როგორითაც "რასინგი" და "ოსასუნა"...**

- ყოველთვის ასე ხდება ხოლმე. სეზონის დასაწყისში ფეხბურთელებს შესაძლებლობების გამომჟღავნება უჭირთ. დროთა განმავლობაში კი ფორმაში შედიან და უკეთ თამაშობენ. საბედნიეროდ, ჩემმა შეგირდებმა პასუხისმგებლობა ბოლომდე გააცნობიერეს და საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი.

**- "სარაგოსას" ისე მოუგეთ, თითქოს არაგონელებს პატარა ბიჭების გუნდი გამოეყვანათ. გულწრფელად გეტყვით, ჩემთვის დღემდე უცნობია, როგორ მოახერხეთ ამდენად დიდი უპირატესობის მოპოვება?**

- ტაქტიკურ მონახაზში გარკვეული ცვლილებები განვახორციელეთ. ანდრეს ინიესტას ძირითად შემადგენლობაში თამაშის შესაძლებლობა მივეცით. დამეთანხმებით, ის ფანტასტიკურად გამოიყურებოდა. ზოგადად, რომელიმე ერთი ფეხბურთელის ღვაწლის გამოყოფა არ მიყვარს, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ ანდრესის ღვაწლი ძალიან დიდი იყო. ჩემი აზრით, "სარაგოსასთან" ნახევარდაცვამ უდიდესი სამუშაო შეასრულა. მათ შეძლეს და მოწინააღმდეგეს ბურთი დაუმალეს.

**- ლეო მესის ღვაწლზე ხაზგასმა ხომ არ დაგავიწყდათ? მიმომხილველთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ "ბარსელონის" გამოცოცხლება სწორედ არგენტინელის დამსახურებაა...**

- მესის ჯადოქრობას ყველა ხედავს. ღმერთმა მას უდიდესი ნიჭი აჩუქა, მაგრამ ლეოს პროფესიონალიზმი იმაში გამოიხატება, რომ თავდაუზოგავად შრომობს. მან შესანიშნავად იცის, ბევრს თუ არ ივარჯიშებს, მხოლოდ ნიჭით ვერაფერს გახდება. "სარაგოსასთან" მესი მართლაც შეუდარებელი იყო, მაგრამ ის მატჩი გამონაკლისი არ გახლავთ. გეთანხმებით, ლეო წლევანდელი "ბარსელონის" ლიდერი გახდა.

**- რონალდინიოსთან კონფლიქტი მართლა არ გქონიათ?**

- ამ თემაზე ძალიან ბევრჯერ ვისაუბრე. კონფლიქტი არ დაიმალება. უბრალოდ, რონალდინიომ ტრავმა მიიღო და რამდენიმე მატჩი გამოტოვა. მისი მნიშვნელობა არასოდეს დაგვიკნინებია. ბრაზილიელი დღესაც "ბარსას" ერთ-ერთი ლიდერია.

**- ტიერი ანრის გოლების გატანა უჭირს. მართალია, მან "ლევანტეს" სამი ბურთი შეუგდო, მაგრამ ვალენსიელების სისუსტის გათვალისწინებით, შემიძლია მოგახსენოთ, რომ ეს დიდი მიღწევა არ არის. როგორ ფიქრობთ, რა სჭირს თქვენს შეგირდს?**

- არაფერი. რატომ გგონიათ, რომ ანრი ცუდად თამაშობს? ვფიქრობ, ის არასოდეს ყოფილა სხვის მიერ შექმნილი მომენტების დამაგვირგვინებელი ფორვარდი. ტიერი თავად ქმნის მომენტებს. ამისათვის ის ძალიან ბევრს მოძრაობს. ალბათ, ხშირად შეგიმჩნევიათ, რომ ანრი საკუთარ საჯარიმომდეც კი ჩამოდის, მეტოქეს ბურთს ართმევს და შეტევას იქიდან იწყებს. მისი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. ცხადია, ვერც იმას ვიტყვი, რომ ჩვენი ფრანგი ვარსკვლავი შესაძლებლობებს ბოლომდე ამჟღავნებს. ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. სხვას მის ადგილზე კიდევ უფრო გაუჭირდებოდა, მაგრამ ტიერი უდიდესი გამოცდილების მქონე ფორვარდია და საქმე მნიშვნელოვნად უადვილდება.

**- მართალია, გასული სეზონის დასრულების შემდეგ, დიდი დრო გავიდა, მაგრამ ჩვენ ამ საკითხზე ჯერაც არ გვისაუბრია. წინა სეზონი რატომ ჩააგდეთ?**

- მანამდე ორი-სამი წლის განმავლობაში "ბარსა" ტიტულებს ტიტულებზე იგებდა. რა თქმა უნდა, ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ საქმეში ჩახედულ ადამიანებს მოეხსენებათ, რომ ალმაფრენას ყოველთვის დაღმასვლა მოსდევს. შეუძლებელია, პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში ერთდროულად გამარჯვების შემდეგ, მცირე პრობლემა მაინც არ შეგვექმნას. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ფეხბურთელები მაინც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. მათ მაქსიმუმს მიაღწიეს. მოტივაციის ხელახლა პოვნა კი საკმაოდ გაუჭირდათ. სულაც არ მიკვირს, რადგან ანალოგიურ პრობლემებს მეც ვაწყდებოდი. "მილანი" უდიდესი გრანდი გახლდათ, მაგრამ დიდი გამარჯვების შემდეგ ახალ სეზონს მძიმედ ვიწყებდით. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ვერ ვიტყვი, რომ შარშან კატასტროფულად ვასპარეზობდით. "რეალი" ჩემპიონი ისე გახდა, რომ ერთი ქულითაც ვერ გაგვასწრო. ყველაფერთან ერთად, იღბალმაც ზურგი გვაქცია. თუნდაც "ბეტისთან" და "ესპანიოლთან" მატჩები გავიხსენოთ. ბოლო წუთებზე გოლები რომ არ გაგვეშვა, პირველობას ისევ ჩვენ დავისაკუთრებდით.

**- გასული ზაფხულის განმავლობაში ბევრს საუბრობდნენ, რომ რონალდინიო და ეტოო "ბარსას" დატოვებდნენ. სხვათა შორის, კონკრეტული დაინტერესებების შესახებაც იწერებოდა, მაგრამ საბოლოოდ, ორივე "კამპ ნოუზე" დარჩა. ხომ არ გაგვიმხელთ, მათი შენარჩუნება ვისი ინიციატივა იყო?**



ფრანკ რაიკაარდი

- აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა, როცა ეტოოსა და რონალდინიოს კლასის ფეხბურთელებს მსოფლიო გრანდები იწვევენ. მათ ფანტასტიკური წინადადებებით მიმართეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროცესი ჩვენ მიერ იყო პროვოცირებული. პირიქით, ბრაზილიელისა და კამერუნელის შესანარჩუნებლად ყველაფერი გავაკეთეთ. საბედნიეროდ, კატალონიიდან წასვლის სურვილი არც მათ ჰქონდათ. ერთი სიტყვით, ეტოოსა და რონალდინიოზე უარი არასოდეს გვითქვამს. აჟიოტაჟი პრესის მიერ იყო ინსპირირებული.

**- წლევანდელ ტრანსფერებზეც მინდა გკითხოთ. რატომ მაინცდამაინც მილიტო, ანრი, აბიდალი და ტურე?**

- მიზეზი მარტივია - ჩვენ იმ ამპლუის ფეხბურთელები გადმოვიბირეთ, რომლებიც ყველაზე მეტად გვჭირდებოდნენ.

**- ვერ დამაჯერებთ, რომ "ბარსელონას" კიდევ ერთი სუპერფორვარდი სჭირდებოდა. ეტოოს ტრავმა რომ არა, დიდი დილემის წინაშე აღმოჩნდებოდით და დღე და ღამეს იმაზე ფიქრში გაატარებდით, ვინ დაგეყენებინათ ძირითად შემადგენლობაში სამუელი თუ ტიერი. კაცმა რომ თქვას, ყველაფერი წინ გაქვთ. ეტოო მალე გამოჯანმრთელდება...**

- კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ანრი უდიდესი გამოცდილების მქონე სუპერფორვარდია. მის შეძენას ადრეც ვცდილობდით, მაგრამ საწადელს მხოლოდ ახლა მივაღწიეთ. ბედნიერი ვარ, რომ ტიერი "ბარსას" საკუთრებაა. შემადგენლობასთან დაკავშირებულ თავსატეხს რაც შეეხება, გთხოვთ, ნუ ინერვიულებთ. გადაწყვეტილებას მარტივად და უმტკივნეულოდ მივიღებთ.

**- მილიტომ რითი მოგხიბლათ?**

- გაბი წლებია პრიმერა დივიზიონში თამაშობს. მთელი ამ დროის განმავლობაში მისი კვალიფიკაცია ეჭვქვეშ არასოდეს დამდგარა. ჩვენმა ცხოვრებამ არაერთხელ გამოააშკარავა, რომ სწორედ მილიტოს დონის ცენტრალური მცველი გვჭირდებოდა. ჩიკი ბეგირისტაინმა მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზე წარმართა და მსოფლიო დონის მოთამაშე მისაღებ ფასში შეიძინა.

**- აბიდალი გენიალური მცველია, მაგრამ მას ხშირად საყვედურობენ, რომ შეტევებში კარგად ვერ ერთვება.**

- აბსოლუტურად უსაფუძვლო ბრალდებაა. პირიქით, აბიდალი საკმაოდ მწვავე იერიშებს უყრის საფუძველს. მას ალბათ იმიტომ საყვედურობენ, რომ დამაგვირგვინებელ ეპიზოდებში არ მონაწილეობს. ამისათვის "ბარსელონას" სხვა ფეხბურთელები ჰყავს. თერთმეტივე მოთამაშე მოწინააღმდეგის საჯარიმოში ვერ შეჯგუფდება, ეს ხომ ბანალური ჭეშმარიტებაა. ერიკით უზომოდ კმაყოფილი ვარ. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მისი მოსვლის შემდეგ "ბარსას" დაცვა ერთი-ორად გაძლიერდა.

**- ტურეზეც გვითხარით ორიოდ სიტყვა. მისი შეძენა რატომღა გადაწყვიტეთ?**

- მოგეხსენებათ, "ბარსელონის" ნახევრადაცვაში წლების განმავლობაში ტანმორჩილი ფეხბურთელები თამაშობდნენ. ბუნებრივია, ჩავის, ინიესტასა და დეკუს მიმართ სასაყვედურო აბსოლუტურად არაფერი გვაქვს. ისინი თავიანთ საქმეში სულსა და გულს აქსოვენ. უბრალოდ, თანამედროვე ფეხბურთს საკუთარი მოთხოვნები აქვს და ჩვენ მას გვერდს ვერ ავუვლით. სამწუხაროდ, ედმილსონს უიღბლობა დასჩემდა. ის ხშირად იღებდა ტრავმებს. სხვათა შორის, ივნისშიც დაშავდა და ექიმებმა გვითხრეს, რომ რეაბილიტაციას ხუთი ან ექვსი თვე დასჭირდებოდა. ამის გამო იძულებულებული გავხდით ახალი კაცის შეძენაზე ფიქრი დაგვეწყო. შევთანხმდით, რომ ტურეზე უკეთეს საყრდენ ნახევარმცველს ვერ ვიპოვნიდით. მოლაპარაკებები ამ მიმართულებითაც წარმატებული აღმოჩნდა. იაიასგან მომავალში კიდევ უფრო მეტს ველით.

**- სხვათა შორის, დეკუს წასვლაზეც ხშირად საუბრობდნენ...**

- "ბარსას" დირექტორატში ყველამ იცის, რომ დეკუს ასე იოლად არ შეველევი. შეუძლებელია მისი ღვაწლი ერთი და ორი სიტყვით გადმოსცე.

**- ალბათ, გესმით, რომ ამ კითხვას გვერდს ვერ ავუვლი. ჩვენი თანამემამულის ვესლი სნეიდერის თამაშს როგორ შეაფასებდით?**

- სნეიდერი "აიაქსის" სკოლის ტრადიციების გამგრძელებელია. ამსტერდამულ კლუბში მან უდიდესი ცოდნა და გამოცდილება შეიძინა. შემდეგ კი მსოფლიო ფეხბურთის გრანდში გადაბარგდა. ეჭვი არ მეპარება, ვესლი "რეალს" მრავალ სიკეთეს მოუტანს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

## ლამი მალე დაბრუნდება

"ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ **ოტმარ ჰიტცფელდს** სულ მალე საკადრო პრობლემები აღარ ექნება. **მიროსლავ კლოზემ** ვარჯიში უკვე განაახლა და ბუნდესლიგის მომდევნო ტურში აუცილებლად ითამაშებს. ლაზარეთიდან სულ მალე დაბრუნდება მარცხენა მცველი **ფილი ლამიც**, რომელიც სექტემბრის დასაწყისში დაშავდა. *"მოედანზე დაბრუნებას მოუთმენლად ველი. მომდევნო კვირაში სრული დატვირთვით ვარჯიშს განვაახლებ, ორი, მაქსიმუმ სამი კვირის შემდეგ კი მოედანზე გასვლის უფლებაც მექნება,"* - აცხადებს ლამი და იქვე ამატებს, - *"ძალიან მიხარია, რომ "ბაიერნმა" სეზონი შესანიშნავად დაიწყო. ჩვენი იმედები გამართლდა: გაძლიერებული რეკორდმაისტერი გერმანიის ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატია. ვიცი, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასაბრუნებლად დიდი ბრძოლის გადატანა მომიწევს, რადგან გუნდში უდიდესი კონკურენციაა. მარსელ იანსენი თავის მოვალეობას ძალიან კარგად ასრულებს."* ლამთან ერთად, ლაზარეთიდან დაბრუნებისთვის ემზადება მარჯვენა მცველი **ვილი სანიოლიც**, რომელსაც ექვსთვიანი იძულებითი პაუზა ჰქონდა.

ამასობაში, ცენტრალურმა მცველმა **დანიელ ვან ბუიტენმა**, რომელიც მიმდინარე სეზონში მუდმივად სათადარიგოთა სკამს ხეხავს, განაცხადა, რომ "ბაიერნის" დატოვებაზე არ ფიქრობს და რომ რეკორდმაისტერში თავისი ადგილის დაბრუნება უნდა. *"მიუხედავად იმისა, რომ ოტმარ ჰიტცფელდი არ მენდობა, გუნდის გამოცვლაზე არასდროს მიფიქრია. მიუნხენში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მწვრთნელის ნდობა დავიმსახურო,"* - აღნიშნა ვან ბუიტენმა. როგორც იცით, ამ ფეხბურთელის გადაბირების სურვილი დორტმუნდის "ბორუსიის" ხელმძღვანელებმა გამოთქვეს, მაგრამ როგორც ხედავთ, ვან ბუიტენი BVB-ს უარს უთვლის...

## მადრიდული ამბები

მადრიდის "რეალი" უარყოფს ინფორმაციას ვალენსიელი **დავიდ ვილიათი** დაინტერესების შესახებ. სამეფო კლუბმა ატეხილ აჟიოტაჟს უსაფუძვლო უწოდა. პრესაში გაჩაღებული სპეკულაციების შემდეგ "ვალენსიამ" მადრიდელებისაგან ახსნა-განმარტებები მოითხოვა. "რეალმა" დაარწმუნა მეტოქე, რომ ვილიასთან საიდუმლო მოლაპარაკებების გამართვა აზრად არ მოსვლია და რომ მას ყველა ესპანურ კლუბთან საუკეთესო ურთიერთობის შენარჩუნება სურს. ამასობაში, **რუუდ ვან ნისტელროიმ** განაცხადა, რომ კარიერის დასრულებას "რეალში" აპირებს. მისი კომენტარი იმას ნიშნავს, რომ მადრიდელებისაგან საპასუხო ნაბიჯს ელის. საპასუხო ნაბიჯი ფეხბურთელისათვის ახალი კონტრაქტის შეთავაზება იქნებოდა. მოლაპარაკებების ჯერ არ დაწყებულა. "რეალის" ხელმძღვანელობა ვან ნისტელროის კომენტარს არ გამოხმაურებია. **რობინიოს** კი მოთმინების ფიალა ევსება. ბრაზილიელ თავდამსხმელს შეზღუდული სათამაშო პრაქტიკა არ აკმაყოფილებს. რობინიოს მიაჩნია, რომ ახალ სეზონში მისი პროგრესი შეწყდა. მიზეზი ისაა, რომ ფეხბურთელი დროის უმეტეს ნაწილს თადარიგში ატარებს. მის უკმაყოფილებას ისიც ემატება, რომ უახლოესი მეგობრები - **რობერტო კარლოსი** და **სისინიო** "რეალში" აღარ თამაშობენ. არაა გამორიცხული, იანვრის ტრანსფერებისას რობინიომ ტრანსფერზე დაყენება მოითხოვოს. კიდევ ერთ ბრაზილიელ ლეგიონერ **მარსელოს** მასა და რობერტო კარლოსს შორის მუდმივად პარალელების გავლება მობეზრდა. მას სურს, ქომაგების მეხსიერებაში მისი საკუთარი სახელით დარჩეს: *"მარსელო მარსელოა და არა რობერტო კარლოსის მემკვიდრე,"* - თქვა ფეხბურთელმა.

სენსაციური ტრანსფერები

# ერთი ნაბიჯი სიყვარულიდან სიძულვილამდე



მიხაელ ბალაკი

იყო პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი, ეს ხშირად დიდი ბედნიერება როდია. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა, რასაც მუდამ თან სდევს იმის შიში, რომ ერთხელაც იმავე პუბლიკისთვის მსოფლიოში ყველაზე ამაზრზენი ადამიანი გახდები. მაგრამ ეს ისევ და ისევ მოთამაშეზეა დამოკიდებული. განა ლუიშ ფიგუს "ბარსელონიდან" "რეალში" გადასვლას ვინმე აძალებდა? ცხადია, ეს თვითონ ფეხბურთელის სურვილი იყო და ამრიგად, ფიგუმ საკუთარი თავი თვითონ გაწირა იმისათვის, რომ ერთ დროს "კამპ ნოუს" უსაყვარლესი გმირისთვის, "ბარსას" გენიალური სტადიონის ტრიბუნებიდან ღორის თავი ესროლათ. ეს ფიგუს არჩევანი იყო. ფრანჩესკო ტოტი "ლაციოს" მაისურით წარმოგიდგენიათ? პაოლო მალდინი "ინტერის" შავ-ლურჯ ფერებში? დღეს იმ ფეხბურთელებზე მოგითხრობთ, რომლებმაც სიყვარულიდან სიძულვილამდე არსებული ის ერთი ნაბიჯი თავისი სურვილით გადადგეს...

## 1. ლოთარ მათეუსი (გლადბახიდან ბაიერნში, 1984)

1984 წლის 31 მაისი: გერმანიის თასის ფინალში ერთმანეთს დაუძინებელი მტრები, მიუნხენის "ბაიერნი" და მიონხენგლადბახის "ბორუსია" ხვდებიან. 23 წლის **ლოთარ მათეუსი** "გლადბახის" ფეხბურთელია და უკვე რამდენიმე კვირა გავიდა მას მერე, რაც გაირკვა, რომ "დიდი ლოთარი", "ბორუსიის" ფანების უსაყვარლესი ფეხბურთელი "ბაიერნში" გადადის. შესაბამისად, ეს მატჩი მათეუსისთვის, "ბორუსიის" ფეხბურთელის რანგში უკანასკნელია. ლოთარი დღესაც ამბობს ხოლმე, ეს ყველაზე რთული თამაში იყო ჩემს კარიერაშიო. თუნდაც იმიტომ, რომ როცა ტრანსფერი გაცხადდა, მიონხენგლადბახელმა გულშემატკივრებმა მას "იუდა" შეარქვეს.

ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, გამარჯვებული ვერც დამატებულმა ორმა ტაიმმა გამოავლინა და დაინიშნა პენალტების სერია. პირველი თერთმეტმეტრიანი მათეუსმა უნდა დაარტყას! კარისკენ მიმავალს უდიდესი ნერვიულობა ეტყობა, არადა, ლოთარი შესანიშნავად ასრულებს პენალტებს. გამორბენი, დარტყმა და... ბურთი კარს ასცდა!

"ბორუსიამ" ის ფინალი წააგო და ცხადია, რომ ეს მარცხი მოღალატე მათეუსს დაბრალდა, რის შემდეგაც ის მიონხენგლადბახში პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს...

## 2. ანდრეას მიოლერი (დორტმუნდიდან აინტრახტში, 1990)

როცა **ანდრეას მიოლერი** ამოიკითხეთ, ალბათ იფიქრეთ, რომ იმ სკანდალურ ტრანსფერს ვიხსენებდით, როცა ეს უკანასკნელი "დორტმუნდიდან" ამ გუნდის მოსისხლე მტერ "შალკეში" გადავიდა. არა, ამჯერად სხვა ტრანსფერზე გვაქვს საუბარი, კერძოდ, 1990 წელს შემდგარ გარიგებაზე, რომლის შემდეგაც ანდი "დორტმუნდიდან" ფრანკფურტის "აინტრახტში" გადაბარგდა. ორი თვის განმავლობაში არ წყდებოდა სპეკულაციები იმის შესახებ, რომ მიოლერი დორტმუნდიდან ფრანკფურტში გადადიოდა, მაგრამ ერთ-ერთი მატჩის შემდეგ, ანდიმ მიკროფონი მოითხოვა და გულშემატკივრებს უთხრა, ჩემი გული BVB-ს ეკუთვნის და ნუ ნაღვლობთ, არსად არ მივდივარო. მაგრამ ფეხბურთელის დაპირება დაპირებად დარჩა - 4 დღის შემდეგ ის "აინტრახტის" ფეხბურთელი გახდა და მთელი დორტმუნდი გაოგნებული დატოვა.

## 3. მო ჯონსტონი (სელტიკიდან რეინჯერსში, ნანტის გავლით, 1989)

**მო ჯონსტონი** პირველი ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელი იყო, რომელსაც გლაზგოს "სელტიკში" ჰქონდა ნათამაშები და "რეინჯერსის" ფეხბურთელი გახდა. ჯონსტონი კათოლიკურ "სელტიკში" 1984-დან 1987 წლამდე ასპარეზობდა და ამ გუნდის მაისურით 55 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ ის ფრანგული "ნანტის" ფეხბურთელი გახდა, სადაც 2 წელი დაყო და 1989 წელს ისევ "სელტიკში" დაბრუნება მოისურვა. მან გლაზგოში სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც განაცხადა: *"სელტიკი" ერთადერთი გუნდია, სადაც თავს კარგად ვიგრძნობ!"*

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მან ყველასათვის მოულოდნელად, კონტრაქტი "რეინჯერსთან" გააფორმა, რითაც მთელი გლაზგო შოკში ჩააგდო. "სელტიკის" ფანები ჯონსტონს მოსაკლავად დასდევდნენ და თავად განსაჯეთ, მას "რეინჯერსის" პროტესტანტი ფანებიც ვერ იტანდნენ - პირველ რიგში იმის გამო, რომ "სელტიკში" ჰქონდა ნათამაშები, მეორე მხრივ კათოლიკე იყო და თანაც, მოღალატე გახლდათ. "რეინჯერსის" ფანები ბობოქრობდნენ, მერე რა, რომ ჩვენთვის საძულველ გუნდ "სელტიკს" უღალატა, მოღალატე ყოველთვის და ყველგან მოღალატეაო. პირველი 9 თვის განმავლობაში ჯონსტონს პირადი მცველები იცავდნენ...

## 4. ლუიშ ფიგუ (ბარსელონიდან რეალში, 2000)

**ლუიშ ფიგუმ** "ბარსელონაში" 6 წელი დაყო, გუნდის კაპიტანი გახდა და არცაა გასაკვირი, "კამპ ნოუს" პუბლიკის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი რომ იყო. მაგრამ დიდი სიყვარული 2000 წელს ენით აუწერელ სიძულვილად გადაიქცა - ფიგუმ, იმ დროისათვის რეკორდული ფასის, 56 მილიონი დოლარის სანაცვლოდ, მადრიდის "რეალს" მიაშურა. არადა, პორტუგალიელი მთელი ზაფხული ამტკიცებდა, "რეალის" ფორმას არასდროს მოვირგებო. კატალონიელთათვის ფიგუ ნომერი პირველი მტერი გახდა, "ბარსას" ფანებმა მაშინვე შექმნეს სპეციალური ვებ-გვერდი (AntiFigo.com) ლუიში პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს.

მოღალატე ფიგუ "რეალის" ფეხბურთელის რანგში ბარსელონაში 2002 წელს ჩავიდა და ის მატჩი კინაღამ ჩაიშალა, რადგან "ბარსას" ფანები მოედანზე სხვადასხვა საგანთან ერთად ვისკის ბოთლებს ისროდნენ და ერთ ეპიზოდში მინდორზე ღორის თავიც დაეცა! 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში (პორტუგალია-საბერძნეთი), მოედანზე "ბარსელონის" ცნობილი ფანი **ჯიმი ჯამპი** შევარდა და ფიგუს "ბარსას" დროშა ესროლა...

## 5. სებასტიან დაისლერი (ჰერტადან ბაიერნში, 2002)

"ჰერტას" ფანების უსაყვარლესი ფეხბურთელი **სებასტიან დაისლერი** 2002 წელს ბერლინელი ქომაგებისთვის საძულველი მოთამაშე გახდა. ერთ-ერთი მატჩის წინ, გამოცემა "ბილდმა" გამოქვეყნა სტატია, რომელშიც ეწერა, რომ დაისლერი "ბაიერნისგან" ჯიბის ფულის სახით 20 მილიონ ევროს მიიღებდა, "ჰერტა" კი 9.2 მილიონს. მანამდე არავინ იცოდა, რომ დაისლერი მიუნხენში მიდიოდა. სებას ბერლინელი ქომაგები სტვენით შეხვდნენ და ითხოვდნენ, რომ მას "ჰერტას" მაისურით აღარასოდეს ეთამაშა - არადა, ტრანსფერი მხოლოდ სეზონის ბოლოს უნდა შემდგარიყო. მაგრამ დაისლერმა მალე მძიმე ტრავმა მიიღო და მართლაც ვეღარ მოირგო "ჰერტას" ფორმა. არადა, დღესაც ამბობს, ძალიან მინდოდა, ბერლინელებისთვის დამემტკიცებინა, რომ დარჩენილ შეხვედრებში "ჰერტასთვის" ბოლომდე დავიხარჯებოდიო.

## 6. მიხაელ ბალაკი (ბაიერნიდან ჩელსიში, 2006)

**მიხაელ ბალაკის** ტრანსფერის შემდეგ ცხადია: "ბაიერნის" ფეხბურთელი ლონდონის "ჩელსიში" არასდროს აღარ უნდა გადავიდეს, თორემ მიუნხენში სიძულვილის ობიექტი გახდება. ბალას ტრანსფერზე სპეკულაციები ჯერ კიდევ 2005 წელს დაიწყო და ერთი წლის განმავლობაში არ წყდებოდა. რეკორდმაისტერმა მიხაელს ახალი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა, მაგრამ გერმანიის ნაკრების კაპიტნისგან უარი მიიღო. ამის გამო, "ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** მას კარგი, მაგრამ ფულზე ორიენტირებული ფეხბურთელი უწოდა. ბალაკი **ეფენბერგის** ნახევარიც არ არისო, ამბობდა ული. სეზონის ბოლოს კი, რეკორდმაისტერის პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** თქვა, მიხაელი თავს უფრთხილდება, რათა "ჩელსიში" ტრავმირებული არ გადავიდესო. მას მერე "ბაიერნის" ქომაგები ბალაკს ვეღარ იტანენ...

## 7. ეშლი კოული (არსენალიდან ჩელსიში, 2006)

გასული წლის ზაფხულის შემდეგ, **ეშლი კოული** "არსენალის" ფანებისთვის Cashley Hole გახდა. 2005 წელს, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა მცველი საიდუმლოდ შეხვდა იმხანად "ჩელსის" თავკაც **ჟოზე მოურინიოს** და გუნდის აღმასრულებელ დირექტორ **პიტერ კენიონს**. იმის გამო, რომ "ჩელსიმ" "არსენალს" ამ შეხვედრის შესახებ არაფერი აცნო, "არისტოკრატებს" დიდი ფულადი ჯარიმა დაეკისრათ. კოულის მრჩეველს კი, ლიცენზია 18 თვით ჩამოართვეს. თვითონ ფეხბურთელმა კი "არსენალთან" კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა. მაგრამ 2006 წელს მან მაინც დატოვა "მეთოფეები", თანაც, ძალიან სკანდალურად. კოულმა ავტობიოგრაფიული წიგნი გამოაქვეყნა, სადაც წერდა, რომ მომხდარი მხოლოდ და მხოლოდ "არსენალის" ხელმძღვანელების ბრალი იყო. თანაც, ინგლისელი კიდევ ითხოვდა ხელფასის გაზრდას (კვირაში 60 000 ფუნტი ჰქონდა). ამის გამო "არსენალმა" კოული ბოლოს და ბოლოს "ჩელსის" დაუთმო. ტრანსფერის შემდეგ, ეშლიმ თქვა, "არსენალს" ყველაფერი ვაპატიეო, სამაგიეროდ, "მეთოფეების" ფანებმა არ აპატიეს მას...

**გოტფრიდ ლენცი**

---

ინტერვიუ მირკო სლომკასთან

# მეორე გოლეადორი გვჭირდება!



მირკო სლომკა

**"შალკემ" წინა კვირას ცივი შხაპი მიიღო: გელზენკირხენელები საკუთარ მოედანზე "კარლსრუესთან" 0:2 დამარცხდნენ, რაც, რბილად რომ ვთქვათ, მოულოდნელი შედეგი იყო. "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში "ხუმარების" მთავარი მწვრთნელი "შალკეში" შექმნილ ვითარებაზე საუბრობს.**

**- ჰერ სლომკა, სეზონის ერთი მეოთხედი უკვე გავიდა და საინტერესოა, როგორ შეფასებას მისცემდით მას?**

- ის, რაც "შალკემ" პირველ მეოთხედში გააკეთა, არც მეტი, არც ნაკლები, დამაკმაყოფილებელია. საკუთარ მოედანზე ორი ძალიან გულდასაწყვეტი მარცხი განვიცადეთ: "კარლსრუესთან" (0:2) და "ვალენსიასთან" (0:1). "კარლსრუესთან" განცდილი მარცხით გაფუჭებული საქმის გამოსწორება შეიძლება, რადგან წინ სეზონის მთელი სამი მეოთხედია, მაგრამ "ვალენსიასთან" წაგებით, კი ისეთი შეცდომა დავუშვით, რომლის გამოსწორება ძალიან ძნელი იქნება.

**- "კარლსრუესთან" წაგება თქვენმა შეგირდებმა გადაღლილობას დააბრალეს. იქნებ, როტაციისთვის უნდა მიგემართათ?**

- ჩემი აზრით, კევინ კურანიმ ძალიან კარგად თქვა, ჯერ მხოლოდ სეზონის მეოთხედი გავიდა და თუ ახლავე გადაღლილები ვართ, ესე იგი რაღაც ვერ არის წესრიგშიო.

**- ანუ, რაღაც ვერ არის წესრიგში?**

- არა მგონია, რომ ასე იყოს. პირიქით, გუნდი ეს ესაა შეთამაშდა და მატჩიდან მატჩამდე უმატებს.

**- მაგრამ ფეხბურთელები ამბობენ, რომ გადაღლილები არიან...**

- რაკი წააგეს, ახლა ალიბის ძებნაში არიან და ეს ამიტომაც თქვეს. მატჩის წინ არცერთ მათგანს არ უთქვამს, დაღლილები ვართო, ფიზიკური სისუსტე არც ვარჯიშზე ემჩნეოდა ვინმეს. მიუხედავად ამისა, მომავალში როტაციას უფრო ხშირად მივმართავ და ფეხბურთელებს აღარ მივცემ იმის უფლებას, თქვან, დაღლილები ვართო.

**- თქვენი აზრით, რა არის ამ ყველაფრის მიზეზი?**

- მოუთმენლობა! "შალკე" უნდა მიეჩვიოს იმას, რომ თუ 85-ე წუთამდე ანგარიში არ გახსნილა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თამაშის მოგება შეუძლებელია. ამასთან, საგოლე მომენტების გამოყენების უფრო დიდი პროცენტული მაჩვენებელი უნდა გვქონდეს. "ვალენსიასთან" თამაში ამ პრობლემის გამოვლინების საუკეთესო მაგალითი იყო. ჩვენ ვუტევდით, მომენტებს ვქმნიდით, გოლი კი მაინც მეტოქემ გაიტანა...

**- თავდასხმაში თამაში მხოლოდ კევინ კურანის აქვს გარანტირებული. მისი მეწყვილე კი მუდმივად იცვლება. რატომ გიჭირთ მეორე თავდამსხმელის შერჩევა?**

- სანამ ტრავმას მიიღებდა, კურანის საუკეთესო მეწყვილე ჯერალდ ასამოა იყო და თავის საქმეს თავს ჩინებულად ართმევდა. ფაქტი ის გახლავთ, რომ ჩვენ გვჭირდება თავდამსხმელი, რომელიც კურანის დარად გოლის გარანტი იქნება და რომელიც სეზონში მინიმუმ 10-ზე მეტ გოლს გაიტანს.

**- ასამოა გოლეადორი არასდროს ყოფილა...**

- მართალია, მაგრამ ამ სეზონში, 7 შეხვედრაში 3-ჯერ გამოიჩინა თავი. მე იმ გოლსაც ვათვლი, რომელიც წესების სრული დაცვით გაიტანა და უკანონოდ არ ჩაუთვალეს.

**- აი, ჰალილ ალთინთოფი კი, ერთ დროს ბომბარდირული ნიჭით გამოირჩეოდა...**

- სამწუხაროდ, ჰალილმა "შალკეში" გატარებულ პირველ სეზონში შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოავლინა. ეს იმის ბრალიცაა, რომ ხშირად ტრავმირებული იყო. სამაგიეროდ, "დუისბურგთან" ისე ითამაშა, რომ თუ ასე გააგრძელებს, სულ მალე კურანის იდეალური მეწყვილე იქნება. მაგრამ ნახეთ, ჰალილი ისევ დაშავდა.

**- პეტერ ლოვენკრანდსი?**

- პეტერი თავისი სისწრაფით ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია, მაგრამ ის უფრო გარემარბია, ვიდრე ცენტრფორვარდი.

**- თქვენ გყავთ სიორენ ლარსენიც, რომელიც ბოლო დროს ძალიან უკმაყოფილოა - მიუხედავად იმისა, რომ "კარლსრუესთან" ვაგებდით, მოედანზე მაინც არ შემიყვანაო. ლარსენს ძალიან იშვიათად ენდობით...**

- ლარსენმა განაცხადში ყოფნა ნამდვილად დაიმსახურა, მაგრამ მოედანზე შესვლა - არა! მას მერე, რაც "კარლსრუემ" ანგარიში გახსნა, სიორენზე ერთი წამითაც არ მიფიქრია. მას დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა სათამაშო პრაქტიკა და ასეთი ფეხბურთელი თამაშს ვერ გადაარჩენს. აი, ჩვენ რომ გაგვეხსნა ანგარიში, მაშინ მის შეყვანაზე სერიოზულად ვიფიქრებდი.

**- მესუთ იოზილმა განაცხადა, თუ "შალკეში" უფრო ხშირად არ მათამაშებენ, ზაფხულში გუნდის გამოცვლაზე ვიფიქრებო.**

- დიახ და ამ განცხადების შემდეგ, მასთან საათნახევრიანი საუბარი მქონდა. გასულ სეზონში მან 19 მატჩში მიიღო მონაწილეობა, იმ დროს ვათამაშებდი, როცა ჩვენი ჩემპიონობის ბედი წყდებოდა. მიმდინარე სეზონის პირველ ტურშიც ვათამაშე, მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებელი შეკრება სრულად არ გაუვლია.

**- რაში მდგომარეობს იოზილის პრობლემა?**

- მესუთს არაერთხელ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ გადამწყვეტი გოლით ან პასით თავი გამოეჩინა, მაგრამ ამ მხრივ ივან რაკიტიჩმა აჯობა და შესაბამისად, სწორედ ამ უკანასკნელს ვათამაშებ.

**- ფაქტია ისიც, რომ ამ სიტყვების შემდეგ იოზილი ისევ გამოჩნდა მოედანზე...**

- დიახ. იოზილი მხოლოდ 18 წლისაა და შეცდომა, რომელიც ზემოთ ხსენებული განცხადების გაკეთებით დაუშვა, ვაპატიე. იმისათვის, რომ მესუთს ეთამაშა, თავდაცვისას უფრო ძლიერი ზლატან ბაირამოვიჩი გავწირე. ჰო, ასე რომ არ მექნა, შესაძლოა, მატჩი 0:0 დასრულებულიყო, მაგრამ ვაღიარებ, რომ იოზილის იმედი მქონდა, რაც შეცდომა გამოდგა.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი



ბელტონ რივერსი



იოვან სტეფანოვი



ანვარ ფერგიუსონი

# ახლა ცხრამეტიანებში

იტალიის "მონტეპასკიში" მოასპარეზე **ნიკა მეტრეველმა** 17-წლამდელთა ჩემპიონატის შემდეგ 19-წლამდელთა პირველობაზეც მოსინჯა ძალა. სიენელები პირველ ტურში "კოსტონეს" სტუმრობდნენ და კუდით ქვა ასროლინეს - 89:49 დაამარცხეს.

გამარჯვებულთა რიგებში 30 ქულა კურნომ ჩააგდო, ხოლო ვიცე-სნაიპერობა მეტრეველმა იკისრა. მის ანგარიშზე 13 ქულაა.

"მონტეპასკის" 19-წლამდელები ხვალ მეორე ტურის მატჩში "ფირენცეს" უმასპინძლებენ.

# ფაჩულიას მეგობარი ბოისასთან

გუშინ "სპარტაკ-პრიმორიეს" ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა ინფორმაცია გუნდში **ჯოზეფ ბლერის** ჩარიცხვის შესახებ. 208 სმ სიმაღლის, 33 წლის ამერიკელი აქამდე "ჩიკაგო ბულზთან" ერთად ვარჯიშობდა, თუმცა NBA-ს გუნდთან კონტრაქტი ვერ გააფორმა და ევროპაში დაბრუნება გადაწყვიტა.

ბლერი სხვადასხვა დროს თამაშობდა "პო ორტეზში" (საფრანგეთი), "სკავოლინიში" (იტალია), პაოკ-ში (საბერძნეთი), "არმანიში" (იტალია) და "ულქერში" (თურქეთი). სწორედ ამ თურქულ გუნდში თამაშობდა იგი **ზაზა ფაჩულიას** გვერდით. სხვათა შორის, ზაზას ევროლიგაზე თავის გამოჩენის შანსი ბლერის ტრავმის შემდეგ მიეცა, ხოლო ამ ტურნირზე ერთ მატჩში გაკეთებულმა ორმაგმა დუბლმა ფაჩულიას NBA -სკენ გაუხსნა გზა.

მართალია, ჯოზეფ ბლერი **ვოვა ბოისას** სიმაღლისაა, მაგრამ იგი ვოვას უშუალო კონკურენტი არ გახლავთ. ჯოზეფი ნომინალური ცენტრია, ხოლო ბოისა "პრიმორიეში" მსუბუქ ფორვარდადაც თამაშობს და მძიმე თავდამსხმელადაც.

## ჩოგბურთი

# დევიძე მორჩა, ტატიშვილი იწყებს

ამერიკულ ლოურენსვილში (ჯორჯიის შტატი) ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო 50-ათასიანი საპრიზო ფონდით. ძირითად ბადეში 17 წლის **ანა ტატიშვილია** (280), რომელიც პირველ წრეში ამერიკელ **ნიკოლ ლაიმბახს** (682) შეხვდება. 22 წლის ლაიმბახი ტურნირზე "უაილდ ქარდით" დაუშვეს. საკვალიფიკაციო ტურნირში კიდევ ერთი ქართველი მონაწილეობდა, 21 წლის **სალომე დევიძე** (548). დევიძე პირველივე საკვალიფიკაციო წრეში ამერიკელ **ემლი ვაინჰოლდთან** (593) დაძაბულ ორთაბრძოლაში დამარცხდა - 6:7 (7), 7:5, 5:7. ტურნირის წყვილთა თანრიგში ქართველები არ მონაწილეობენ.

ფრანგულ სან რაფაელში ასევე 50-ათასიანი ტურნირი იწყება, **მაკა ჩახნაშვილი** (162) "უაილდ ქარდით" მიწვეულ ფრანგ **ფლორენს ჰარინგს** (308) შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## აზოტი

# ბაჰამის კუნძულებიდან მეტალურგთა ქალაქში

## აზოტს ანვარ ფურგიუსონი დაემატა

რუსთავის "აზოტი" ევროთასის წინ საბოლოოდ დაკომპლექტდა - გუნდის ხელმძღვანელობამ მესამე ლეგიონერიც დაიმატა. იგი 213 სმ სიმაღლის **ანვარ ფერგიუსონია**, ბაჰამის კუნძულებზე 1981 წელს დაბადებული შავკანიანი ცენტრი.

იგი "ჰიუსტონის" კოლეჯში დაოსტატდა და 2004 წლის შემდეგ NBA-ში დამკვიდრებაც სცადა: "საკრამენტო კინგზმა" ანვარი წინასასეზონო ვარჯიშებზე მიიწვია, მაგრამ კონტრაქტი არ გაუფორმებია. მას მერე ანვარ ფერგიუსონი NBDL-ის (განვითარების ლიგა) "ფლორიდის" ღირსებას იცავს და თამაშს ნელ-ნელა აუმჯობესებს. გასულ სეზონში იგი საშუალოდ 14 ქულასა და 7.5 მოხსნას აგროვებდა. მართალია, ურიგო სტატისტიკა არც მოხსნებში აქვს და არც ქულებში, მაგრამ ანვარი მაინც დაფარებების ოსტატია. იგი 2004 წელს ბლოკ-შოტების საშუალო მაჩვენებლით კოლეჯთა ლიგის პირველობას მომავალ NBA-ელ **ემეკა ოკაფორთან** იყოფდა - ორივეს 4.1 დაფარება ჰქონდა. ოღონდ ემეკას 37 მატჩში, ფერგიუსონს - 27-ში.

"აზოტის" მესამე უცხოელის შესახებ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ "ჰიუსტონში" 53-ე ნომრით თამაშობდა, ხოლო "საკრამენტოში" №33 იყო. ამ ლოგიკით, მან რუსთავში 13-ნომრიანი მაისურა უნდა მოითხოვოს. მაგრამ ეს მაისურა ხომ კაპიტან **რამაზ გოგობერიშვილს** აცვია.

...თუმცა მთავარი არა ზურგზე დაწერილი რიცხვი, არამედ ოქმში დაფიქსირებული რიცხვებია. "აზოტის" მწვრთნელ **დავით უსტიაშვილს** ეიმედება, რომ ბაჰამელი ქვემოქართლელებს ევროთასზე სათანადოდ დაეხმარება: *"ანვარ ფერგიუსონის მატჩის ვიდეოფირის ხილვის საშუალება არ მქონდა, მაგრამ სტატისტიკის მიხედვით უნდა ითქვას, რომ ძლიერი კალათბურთელია. იგი დაცვაში კარგი თამაშით გამოირჩევა, რაც "აზოტს" ნამდვილად სჭირდება. ვფიქრობ, ანვარი გუნდის წინა ხაზს საგრძნობლად გააძლიერებს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ერთია ნორმალური შემადგენლობის შეკრება და მეორე - სათანადოდ შეთამაშება. სერბი იოვან სტეფანოვი საქართველოში 4 ოქტომბერს ჩამოვიდა, დუდუ დადიანის მემორიალიც ითამაშა და თანაგუნდელებს მეტ-ნაკლებად უკვე შეეწყო. ბელტონ რივერსი და ანვარ ფერგიუსონი კი ამერიკიდან 19 ოქტომბერს ჩამოდიან. ამიტომ მათი გუნდთან შეთამაშება იოლი არ იქნება. თუმცა ერთად ჩემპიონატის 3 თამაშის ჩატარებას მოვასწრებთ და ვეცდებით, რომ 30 ოქტომბრამდე "აზოტი" ერთ მუშტად შევკრათ, რათა ძლიერ მეტოქეს ღირსეულად დავუხვდეთ."*

30 ოქტომბერს, 19 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში ევროთასის მატჩში "აზოტი" ჰოლანდიურ "ამსტერდამს" უმასპინძლებს. განმეორებითი შეხვედრა 6 ნოემბერს გაიმართება და ამ წყვილში გამარჯვებული მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე ბელგიურ "მონსს" დაუპირისპირდება. მესამე ნაბიჯი კი ჯგუფური ტურნირია - 16 კლუბი ოთხგუნდიან ქვეჯგუფებად გაიყოფა.

ზემოთ ვთქვით, "აზოტი" საბოლოოდ დაკომპლექტდა-თქო. მკითხველს, ალბათ დააინტერესებს ის შემადგენლობა, რომლითაც რუსთაველები ევროთასებზე ითამაშებენ:

უკანა ხაზი: **ლაშა გამყრელიძე, ბელტონ რივერსი, გეგი ლიპარტელიანი, გოგა ცეკვავა, ანატოლი ბოისა, მიხეილ ჭოჭუა, ბესიკ ლეჟავა.**

ფორვარდები: **ზვიად ბაბიაშვილი, რეზო დიდია, იოვან სტეფანოვი, რამაზ გოგობერიშვილი.**

ცენტრები: **ანვარ ფერგიუსონი, იური დანელიანი, აკაკი დვალიშვილი.**

ინტერნეტსაიტ ევრობასკეტზე საინტერესო გამოკითხვაა: გადალახავს თუ არა "აზოტი" "ამსტერდამის" ბარიერს. გამოკითხულთა 76 პროცენტს რუსთაველების ეიმედება, ხოლო - 24 პროცენტს მიაჩნია, რომ მომდევნო ეტაპზე ჰოლანდიელები გავლენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# მატრიცა ამსტერდამში

რუსთაველთა მეტოქემ ჰოლანდიის ჩემპიონატში მესამე მატჩი გამართა და მეორე გამარჯვება მოიპოვა - ნიიმეგენის "მატრიცა" 96:68 დაამარცხა. დედაქალაქელებმა მოწინააღმდეგეს ყველა კომპონენტში აჯობეს, თამაშიდან ტყორცნების 69.2 პროცენტი გამოიყენეს ("მატრიცამ" - 36.1 პროცენტი) და ბურთი 48-ჯერ მოხსნეს ("მეტოქემ" 29-ჯერ)...

ისევე როგორც წინა შეხვედრებში "ამსტერდამის" თამაშმა სამ კალათბურთელზე გადაიარა. **ტედი გიბსონმა** 21 ქულა ჩააგდო, **პეტერ ვან ჰასაენმა** - 22 ქულა, ხოლო **ჯერონ რობერტსმა** - 19.

**ამსტერდამი-მატრიცა 96:68**

20:23, 24:10, 24:22, 28:13

ამსტერდამი: **გიბსონი** (21 ქ, 5 მ, 2 პ), ვესელსი (15 ქ, 9 მ), რობერტსი (19 ქ, 6 მ), ფლავსი (3 ქ), ვეიტი (4 ქ, 3 პ), ჰასანენი (22 ქ, 12 მ, 6 პ), ვან ლოონი (2 ქ), ტრენტი (3 ქ, 5 პ), კრაბენდამი (4 ქ, 7 მ).

## სპორტის ეპიდემია




სპორტის აკადემიის ანარეკლი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში

# აქცია ეკონომიკის სამინისტროსთან

სპორტის აკადემიასთან დაკავშირებული პრობლემების მოუგვარებლობამ, ამჟამად უკვე ყოფილი ამ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, გუშინ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან მიიყვანა. აქციის მონაწილეების გამოსვლებში ახალი არაფერი ყოფილა. ისინი მოითხოვდნენ აკადემიის სტატუსის აღდგენას და ნორმალური სასწავლო პროცესისთვის პირობების შექმნას, რაც, დაპირების მიუხედავად, შეთავაზებულ "ქარიშხალაში" არ აღმოჩნდა. *"ვიდრე გამოინახება გამოსავალი, მოვითხოვთ, დროებით მაინც, სასწავლო პროცესი გავაგრძელოთ სპორტის აკადემიაში"*, - მიმართეს სამინისტროს შეკრებილებმა.

ამასთან, სამინისტროში შეიგზავნა სტუდენტთა წერილი. *"ჩვენ ფული გვაქვს გადახდილი სპორტის აკადემიაში სწავლისთვის. თქვენ კი შენობიდან გამოგვაძევეთ და არ გვაძლევთ სწავლის საშუალებას. თუ დღევანდელ მოთხოვნებსაც ყურადღების მიღმა დატოვებთ, ჩვენ იძულებული ვიქნებით, საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართოთ ჩვენი კანონიერი უფლებების აღდგენისთვის. ჩვენ გვინდა სწავლა, შეგვიშვით ჩვენი სპორტის აკადემიის შენობაში"*, - წერენ სტუდენტები.

გუშინ, საღამოს, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტიდან რამდენიმე პროფესორს დაურეკეს და აცნობეს, რომ ლექციებისთვის აუდიტორიები გამოიყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ყოფილ პედაგოგიურ ინსტიტუტში.

## თარიღი

**ლავრენტი კაციაშვილი.** დაიბადა 17.10.1926, ქვემო გომი, კასპი. სამბო, ქართული ჭიდაობა. სსრკ სამგზის ჩემპიონი სამბოში (1955, 59, 61), საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სოფლად ქართული ჭიდაობის პოპულარიზაცია-განვითარებაში. აღზრდილი ჰყავს არაერთი ცნობილი ფალავანი.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი



სალომე მელია

მსოფლიო ჩემპიონატი. U 20

## სალომე მელიას ბრინჯაო

ერევანში, 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა. ტურნირში 13 ქართველი მონაწილეობდა, თუმცა წარმატებას მხოლოდ ქალთა შორის დიდოსტატმა **სალომე მელიამ** (2364) მიაღწია, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 20 წლის ქართველმა მოჭადრაკემ 13 შესაძლებლიდან 9,5 ქულა დააგროვა და მხოლოდ რუს **ვერა ნებოლშინასა** და პოლონელ **იოლანტა ზავადსკას** ჩამორჩა (ამ უკანასკნელს - მხოლოდ უარესი კოეფიციენტით). მელიამ ბოლოსწინა ტურში ზავადსკას მოუგო თეთრებით, ბოლო ტურში კი შავებით ინდოელ **ჰარიკა დრონავალს** აჯობა. სხვა ქართველები ათეულშიც ვერ შევიდნენ.

ბიჭებში ბოლო ორი ტურის წინ პოდიუმზე ასვლის შესაძლებლობა ჰქონდა საერთაშორისო ოსტატ **დავით ჯოჯუას**, მაგრამ მან შანსი გაანიავა. ჯოჯუამ ბოლოსწინა ტურში მომავალ მსოფლიო ჩემპიონ **აჰმედ ადლისთან** წააგო, ბოლოში კი ის **ფიდელ კორალესს** დაუზავდა. ამის გამო დავითი რვა ქულით მეათე ადგილს დასჯერდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გოგონები: 1. **ვერა ნებოლშინა** (რუსეთი) - 10 ქულა, 2. **იოლანტა ზავადსკა** (პოლონეთი) - 9,5, 3. **სალომე მელია** - 9,5; .. 12. **სოფიკო გურამიშვილი** - 8, 16. **ბელა ხოტენაშვილი** - 7,5, 19. **მადონა ბოკუჩავა** - 7,5, 48. **ელისაბედ ზარქუა** - 5,5.

ჭაბუკები: 1. **აჰმედ ადლი** (ეგვიპტე) - 10, 2. **ივან პოპოვი** (რუსეთი) -9,5, 3. **ვანკი ჰაო** (ჩინეთი) - 9.

.. 10. **დავით ჯოჯუა** - 8, 33. **დავით ბერიძე** - 7, 38. **თორნიკე სანიკიძე** - 6,5, 39. **გიორგი მარგველაშვილი** - 6,5, 41. **ლევან ბრეგაძე** - 6,5, 46. **გაიოზ ნიგალიძე** - 6,5, 69. **ზურაბ ჯავახაძე** - 5, 72. **ალექსი ტერ-კარაპეტიანი** - 5

ძიუდო

## მინსკში, ევროპის გუნდურზე

ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები 27 ოქტომბერს, მინსკში გასამართი ევროპის გუნდური პირველობისთვის საგანგებო მზადებას გუშინ შეუდგა. **შოთა ხაბარელმა** შეკრების მოწყობა საბოლოოდ გლდანში, ყოფილი ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის ახალგარემონტებულ ბაზაზე გადაწყვიტა და იქ 36 შეგირდი იახლა. მინსკში ჩვენი ნაკრების ღირსებას დაიცავენ **ნესტორ ხერგიანი** და **ბეთქილ შუკვანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** და **მინდია ხომიზური** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** და **გრიგოლ შინჯიკაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (+100).

ამასობაში, ერთი მონაწილით შეიცვალა თავად ტურნირში მონაწილეთა ვინაობა - უნგრეთის ნაცვლად პოლონეთი იჭიდავებს. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მსგავს ტურნირებში ჭიდაობას მონაწილენი ხშირად არიდებენ თავს. ამდენად, შეჯიბრებაში ბელარუსის, უკრაინის, რუსეთის, საქართველოს, საფრანგეთისა და პოლონეთის გუნდები გამოვლენ. ისინი ორ ჯგუფად გაიყოფიან და გამარჯვებულები ფინალში იჭიდავებენ, მეორეზე გასულები - ბრინჯაოსთვის. ბუნებრივია, საჩემპიონო ბრძოლაში ჩვენი უმთავრესი კონკურენტები ფრანგები და რუსები იქნებიან, სხვებმა კი, მასპინძელთა ჩათვლით, დიდი საფრთხე ვერ უნდა შეგვიქმნან. თუმცა ბელარუსებს საშინაო კედლები ამთავითვე დიდ უპირატესობას კი ანიჭებს.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ ევროპის პირველობაზე შარშან ჩვენმა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. ბელგრადში ჩატარებულ იმ ტურნირში ჩვენები მეორე შემადგენლობით მონაწილეობდნენ და თავდაპირველად შეჯიბრებაში სწორედ უნგრელთა უარის ნაცვლად ჩართულ ბელარუსებს 4:3 მოუგეს, მერე ფრანგებთან 1:5 წააგეს (ერთი შეხვედრა ფრედ დამთავრდა) და ბრინჯაოსთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს, იქ კი ებრაელებს 4:2 მოუგეს (ერთი შეხვედრა აქაც ფრედ დასრულდა). ჩვენები ევროპის ჩემპიონის ტიტულს ბოლოს 2004 წელს ფლობდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

ჩელენჯ ტროფი. მეტოქეები

## აბდულაევმა, ფავორიტები ხართო

**მოახლოებულ "ჩელენჯ ტროფიზე" საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობასა და შანსებზე უკვე ვილაპარაკეთ. ახლა კი მეტოქეთა ბანაკებსაც გადავხედოთ.**

არაერთხელ გვითქვამს, რომ ფეხბურთის, რაგბის, კალათბურთისა თუ ფრენბურთისაგან განსხვავებით, ხელბურთი ინფორმაციულად ნაკლებოპერატიულია. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე წამყვან სახელბურთო ქვეყანას, ყველგან ჭირს დროული და სათანადო ცნობების მოპოვება იქაური ჩემპიონატებისა თუ ნაკრები გუნდების შესახებ. გულახდილად რომ გითხრათ, აზერბაიჯანზე, მოლდოვასა და სომხეთზეც საკმაოდ გაგვიძნელდა მასალების მოძიება, მაგრამ ცოტა რამ მაინც მოვაგროვეთ.

დავიწყოთ იმით, რომ ჩვენს მსგავსად, არც ჩვენი მეტოქეების ხელბურთის ფედერაციებს აქვთ საკუთარი ვებგვერდები. აზერბაიჯანის ნაკრების შესახებ ცნობების მოძიებაში იქაური სპორტული საიტები მოვიშველიეთ. "აზერისპორტმა" გამოაქვეყნა აზერბაიჯანის ნაკრების თავკაც **ხიმკეტ აბდულაევის** კომენტარი თბილისური "ჩელენჯ ტროფის" შესახებ.

*- ტურნირი საქართველოში იმართება, თანაც ქართველებს მუდამ საკმაოდ ძლიერი ეროვნული ნაკრები ჰყავთ. აქედან გამომდინარე, ფავორიტები მასპინძლები არიან. ასევე საკმაოდ კარგი გუნდია მოლდოვა, რომელსაც ხშირად ვეთამაშებით ხოლმე და ხან ჩვენ ვამარცხებთ, ხანაც ისინი გვიგებენ. რაც შეეხება სომხეთს, მას 2001 წლის შემდეგ, მხოლოდ ერთი კლუბი გამოჰყავს საერთაშორისო ტურნირებზე, მათი ნაკრების ძალაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.*- ამბობს აბდულაევი.

რაც შეეხება აზერბაიჯანულ კლუბებს, ისინი საერთაშორისო არენაზე ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტენ, მაგრამ ხშირად თამაშობენ ევროთასებსა თუ სხვადასხვა ტურნირზე, ადგილობრივი ჩემპიონატი და პირობებიც ჩვენზე უკეთესი აქვთ და გუნდის ძირითადი ბირთვი სწორედ აზერბაიჯანის ჩემპიონატში მოთამაშე ხელბურთელებითაა დაკომპლექტებული.

ზუსტი ინფორმაცია არ გვაქვს, თუ რამდენი ლეგიონერი ჰყავთ აზერბაიჯანელებს, მაგრამ თუკი იქაურ მედიას დავეყრდნობით, ნაკრების გამოკვეთილი ლიდერია თურქული "ბეშიქთაშის" წევრი **ვალერი პარშკოვი**. იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანული მედია მხოლოდ პარშკოვზე წერს, ან არ ჰყავთ სხვა ლეგიონერები, ანდა ჩვენს კოლეგებსაც უჭირთ ლეგიონერებზე ინფორმაციების მოპოვება.

რაც შეეხება პარშკოვს, მისი "ბეშიქთაში" წლეულს ჩემპიონთა ლიგას საკვალიფიკაციო რაუნდიდან გამოეთიშა და იქიდან პირდაპირ ევროპის ხელბურთის ფედერაციის მეორე ეტაპზე ჩაერთო. იქ კი თურქებმა დაძაბულ ორრაუნდიან მატჩში, ბელარუსის "ვიქტორია" დაამარცხეს. პარშკოვმა ორ მატჩში 14 გოლი (პირველში 8, მეორეში - 6) შეაგდო...

იანვარში, აზერბაიჯანის ნაკრებს არ უთამაშია ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე. სამაგიეროდ, რუსეთის თასზე გამოვიდა და გვარიანად შერცხვა - ჯგუფში სამივე მატჩი წააგო რუსულ კლუბებთან - "როსტოვთან" (27:31), ლადასთან (23:32) და აგუ-სთან (26:29).



აზერბაიჯანის ნაკრების ლიდერი ვალერი პარშკოვი

სომხეთის ნაკრები რომ გამოკვეთილი აუტსაიდერია, ეს აბდულაევის ნათქვამიდანაც ნათლად ჩანს. მართალია, აზერბაიჯანელებსა და სომხებს მიზეზი აქვთ, მტრობდნენ ერთმანეთს, მაგრამ აქ სიძულვილი არაფერ შუაშია - აბდულაევმა სრული სიმართლე თქვა. სომხებს საკმაოდ სუსტი ნაკრები ჰყავთ, რომელიც, ფაქტობრივად, არსად თამაშობს ხოლმე და ჯგუფის გამოკვეთილი აუტსაიდერი იქნება.

გადავიდეთ მოლდოვაზე, რომელიც "ჩელენჯ ტროფის" მოქმედი ჩემპიონია. 2005 წელს, ირლანდიაში გამართული "ჩელენჯ ტროფი" ძველებური სისტემით ჩატარდა. იქ ექვსი გუნდი ჯერ ერთმანეთს ეთამაშებოდა, მერე კი პირველ-მეორე ადგილოსნები ჩემპიონის ბედს არკვევდნენ. მოლდოვამ ჯგუფში მოუგო ყველა მეტოქეს და მათ შორის აზერბაიჯანსაც (26:19), რომელიც მეორე ადგილზე გავიდა და ფინალის მეორე საგზური მოიპოვა. საჩემპიონო ჯახში კი მოლდოველებს გაცილებით გაუჭირდათ, პირველი ტაიმი სამბურთიანი სხვაობითაც წააგეს, მაგრამ გამარჯვება მაინც მათ დარჩათ - 27:27.

იანვარში, მოლდოვამ ითამაშა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, სადაც საქართველოს ნაკრებივით მოეცარა ხელი. თუმცა, ჩვენგან განსხვავებით, ისინი საერთოდ უქულოდ დარჩნენ - ჯგუფში ყველა მატჩი წააგეს ბელორუსთან, სლოვაკეთსა და კვიპროსთან.

ამრიგად, საქართველოს ნაკრების კონკურენტები იქნებიან აზერბაიჯანი და მოლდოვა. თუმცა თუკი გვეყოლება ოპტიმალური შემადგენლობა, საეჭვოა, რომ ვინმეს გავატანოთ თბილისიდან ფინალის საგზური.

როგორც იცით, "ჩელენჯ ტროფის" ფინალი გაიმართება 2008 წლის იანვარში, ნორვეგიაში, სადაც იმ დროისათვის ტარდება ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი. ჩვენი ჯგუფის პირველადგილოსანი, საჩემპიონო მატჩში ეთამაშება ლუქსემბურგის ჯგუფის გამარჯვებულს. ლუქსემბურგის ჯგუფში კი მასპინძლების გარდა, არიან ფარერები, ინგლისი, ირლანდია, მალტა და შოტლანდია. შესაძლოა, ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ფავორიტებად ითვლებიან ლუქსემბურგი და ფარერები. ამ ჯგუფის მატჩები გაიმართება 24-28 ოქტომბერს.

**კობა ხატისაშვილი**



ვლადიმერ რუსია



რეზო ჭანტურია

## რუსიას უნგრეთი, ჭანტურიას კი შვედეთი

ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე, მესამე ეტაპის წილისყრა გაიმართა. ყველაზე მეტად გვაინტერესებდა ევროარენას შემორჩენილი ორად ორი "ქართული" კლუბის მეტოქეთა ვინაობის გაგება.

მერვედფინალში გასასვლელად **რეზო ჭანტურიას** მაკედონიური "მეტალურგის" მეტოქე იქნება შვედეთის "სავოჰოფი". პირველი მატჩი გაიმართება მაკედონიაში, 17 ან 18 ნოემბერს, ხოლო საპასუხო შვედეთში - 24 ან 25 ნოემბერს. ძლიერი მეტოქე ერგო **ვლადიმერ რუსიას** "დინამოსაც" - რუმინელები 18 და 24 ნოემბერს, ჯერ გასვლაზე, შემდეგ კი ბუქარესტში ეთამაშებიან უნგრულ "დუნაფერს".

BTA Silk Road Bank
ქვერციტი QUARTZITE
LOYAL CAPITAL group
ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი, ჭავჭავაძის 49,
საქართველოს რაგბის კავშირს

**ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო მეგობრებო!**

აი, მოვიდა 2007 წლის რაგბის მსოფლიო თასს ფინალი, მინდა მოგმართოთ და მოგილოცოთ თქვენი შესანიშნავი ასპარეზობა.

თქვენმა ნაკრებმა ასახელა თქვენი რაგბი, თქვენი ქვეყანა და ევროპული რაგბი.

ვარ ძალიან ამაყი თქვენი მოქცევით მოედანზე და მის გარეთ.

თქვენ ხართ მაგალითი ყველა ქვეყნისათვის, რომლებიც, იმედი მაქვს, შეეცდებიან ნიმუში აილონ თქვენგან და მოიქცნენ თქვენნაირად. დიდი მადლობა იმ სარაგბო მომენტებისთვის, რომლებიც თქვენ შემოგვთავაზეთ და განსაკუთრებით კი იმისთვის, რომ დღესასწაული გრძელდება და ყველაფერი წინ არის.

გულთბილი მოკითხვა ყველას,
ჟან-კლოდ ბაკე
FIRA AER, პრეზიდენტი

# ლაპორტის ბოლო მატჩი

**ფინალური** ოთხეულიდან ერთი გუნდის შემადგენლობა უკვე ცნობილია. ბერნარ ლაპორტმა დაასახელა გუნდი თავისი უკანასკნელი თამაშის, **ბრინჯაოს ფინალისთვის, რომლის შემდეგაც ყოფილი მწვრთნელი საფრანგეთის სპორტის მინისტრი ხდება. თამაში ბოლო იქნება კაპიტან რაფაელ იბანესისთვისაც. მის გარდა ნაკრებს ალბათ დაემშვიდობება სერჟ ბეტსენიც.**

**საფრანგეთი არგენტინასთან**

15. კლემან პუატრენო 14. ორელიან რუჟერი 13. დავიდ სკრელა 12. დამიენ ტრაი 11. ქრისტოფ დომინისი 10. ფრედერიკ მიშალაკი 9. ჟან-ბატისტ ელისალდი; 1. ჟან-ბატისტ პუ 2. რაფაელ იბანესი (კაპ) 3. პიერ დევილიე 4. ლიონელ ნალე 5. ჟერომ თიონი 6. იანიკ ნიონგა 7. ტიერი დუზოტუარი 8. იმანოლ არინორდოკი / 16. სებასტიან ბრუნო 17. ნიკოლა მასი 18. სებასტიან შაბალი 19. რემი მარტენი; 20. პიერ მინიონი 21. ლიონელ ბოსი 22. ვენსან კლერი

ინგლისი და სამხრეთი აფრიკა კი ფინალისთვის ემზადებიან. ტრავმირებული **ჯოშ ლუსის** ადგილის დასაკავებლად **ბრაიან ეშტონს** ორი კანდიდატი ჰყავს - ან **მარკ კუეტო**, რომელიც ტრავმის შემდეგ მოკეთდა ანაც **მეთიუ ტეიტი** - ვინც საფრანგეთთან ნახევარფინალი ფრთაზე ჩაამთავრა, 13 ნომრად კი ლუსის.შემცვლელი **დან ჰიპკისი** დადგა. ყოველი შემთხვევისთვის, ინგლისიდან გამოძახებულია **ნიკ აბენდენონიც**.

"ქურციკთა" 20 წლის შუამარბი **ფრანსუა შტაინი** ამბობს, რომ გუნდს ჯერ არავითარი სპეციალური გეგმა არ დაუმუშავებია **ჯონი ვილკინსონის** წინაალმდეგ. - *ჯონი, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მოთამაშეა, მაგრამ ინგლისს კიდევ 14 ძალიან საშიში კაცი ჰყავს, განსაკუთრებით - მორკინალები. ჩვენ, რა თქმა უნდა დავიწყებული გვაქვს, რომ ჯგუფურ ეტაპზე 36:0 დავამარცხეთ მეტოქე - ინგლისი მას შემდეგ ასი დონით უკეთესი გუნდია!*

შტაინს კვერს უკრავს **ედი ჯოუნზი**, ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელი 2003 წელს, რომელიც ახლა "ქურციკთა" სპეციალური მრჩეველია: - *ჯონი აღარაა ის მოთამაშე, როგორც 2003 წელს იყო. ცხადია, მას ერთხელაც შეუძლია გუნდს მსოფლიო თასი მოაპოვებინოს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ თუ შაბათს ინგლისის შერკინებას გავანეიტრალებთ, გავიმარჯვებთ კიდეც!*

სამხრეთი აფრიკა მეორედ თამაშობს ფინალს. პირველად, 1995 წელს, იოჰანესბურგში, ლამის მთავარი მოქმედი პირი იყო მაშინდელი პრეზიდენტი, ყოფილი პოლიტპატიმარი **ნელსონ მანდელა**. "მადიბას" "ქურციკთა" მაშინდელი კაპიტნის, **ფრანსუა პინარის** 6 ნომერი კვართი ეცვა და გამარჯვების შემდეგ მანვე დააჯილდოვა ჩემპიონები.

ამ სექტემბერს მანდელა პარიზში იყო თავისი ფონდისთვის შემოწირულობების შესაგროვებლად და ნაკრებიც მოინახულა. ახლანდელმა კაპიტანმა, **ჯონ სმითმაც** აჩუქა ყოფილ პრეზიდენტს თავისი კვართი და ფინალზე დაპატიჟა (როგორც ჩანს, დარწმუნებული ყოფილა, რომ მისი გუნდი ფინალში გავიდოდა). მაგრამ "მადიბა" პარიზში ვერ ჩავა - მისმა სპოუკსმენმა გუშინ განაცხადა, რომ 89 წლის მოხუცისთვის ძალიან ძნელი იქნება თვითმფრინავით შორი მგზავრობა. სამაგიეროდ, "სტად დე ფრანსზე" იქნება ამჟამინდელი პრეზიდენტი **თაბო მბეკი**.

**ნიკოლოზ აბაშიძე**



ლოურენს დალალიო და ინგლისის ნაკრები პარიზის დისნეილენდში

ლეგიონერები

# ქართული ნამატი ფრანგულ კლუბებში



გიორგი ჩხაიძე (მარჯვნივ) ვილერბანთან მატჩში

**საფრანგეთის** სარაგბო ჩემპიონატის გათამაშება, ელიტურ პირველ და მეორე დივიზიონებში, მსოფლიო თასის დასრულებისთანავე დაიწყება. წლეულს, პირველ დივიზიონში, ჩვენი მორაგბეები სარეკორდოდ ბევრ კლუბში ითამაშებენ - თოთხმეტიდან რვა კლუბში. ესენია: "ბიარიცი", "ბრივი", "ბაიონი", "კლერმონი", "კასტრი", "მონპელიე", "ოში" და "დაქსი". ასევე სარეკორდოა მორაგბეთა რაოდენობაც. ელიტაში 13 ქართველი იასპარეზებს, აქედან სამი ახალგაზრდული გუნდების ჩემპიონატში გამოვა.

პირველ დივიზიონში წლეულს დებიუტი ექნებათ პირველხაზელებს **გიორგი ჟღენტსა** და **დავით ქუბრიაშვილს**. პირველი საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, "ბიარიცის" ღირსებას დაიცავს, მეორე კი "მონპელიეში" **მამუკა გორგოძესთან** ერთად ითამაშებს. ელიტაში დაბრუნდა კიდევ ერთი ბურჯი, **მამუკა მაგრაქველიძე** - მან თავის ყოფილ გუნდ "ოშთან" გააფორმა ხელშეკრულება.

ასევე რვა გუნდში არიან განაწილებული ჩვენები მეორე დივიზიონში - "აჟენი", "ტულონი", მონ დე მარსანი", "ორიიაკი", "ნარბონი", "გრენობლი", "პო" და "ტარბი". ამ გუნდებიდან ქართველ მორაგბეებს მხოლოდ ორში "მონ დე მარსანსა" და "ტარბში" არ უთამაშიათ არასდროს. ყველაზე გამოსარჩევი აქ **მალხაზ ურჯუკაშვილის** ფედერალ 2-ის "კანიდან" "ორიიაკში" გადაბარგება. სულ მეორე დივიზიონში 10 ქართველი ითამაშებს.

უკვე პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა ფედერალურ დივიზიონებში. ფედერალ 1-ის A ჯგუფში ხუთი "ქართული" გუნდი ასპარეზობს. პირველ ტურში **დიმა ხოჭოლავას** "სერჟი პონტუაზმა" შინ დაამარცხა "პუატიე" 20:15. ხოჭოლავამ თავიდან ბოლომდე ითამაშა. **სოსო ნიკოლაენკოს** "რუანმა" კი ასევე საკუთარ მოედანზე მოუგო **სანდრო ესაკიასა** და **ოთარ ელოშვილის** "სენ ნაზერს". ნიკოლაენკო თამაშში 40-ე წუთიდან ჩაერთო, ესაკია კი 47-ედან. ელოშვილი განაცხადში არ იყო.

სტუმრად გაიმარჯვა "ვანთან" **დავით გასვიანისა** და **შალვა სუთიაშვილის** "ბობინიმ" 13:12. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. ასევე არ უთამაშია გასვლით მატჩში "ტურთან" ორლეანელ **ირაკლი აბუსერიძეს**. ჩვენებურის გუნდმა 23:25 წააგო.

ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდია B ჯგუფში. **რატი ურუშაძის** "ლონსმა" სტუმრად დაამარცხა **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** "დომონი". პარიზელთა გუნდში სამივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო. ნემსაძე მე-20 წუთზე გაასინბინეს, თუმცა შეხვედრაში მჭედლიშვილთან ერთად თავიდან ბოლომდე ითამაშა. მარგველაშვილი 39-ე წუთზე შეცვალეს. ურუშაძე განაცხადში არ იყო.

**ელიზბარ ყუფარაძისა** და **ზვიად მაისურაძის** "ვილერბანმა" შინ დაამარცხა **გიორგი ჩხაიძის, ვიქტორ დიდებულიძისა** და **დავით დადუნაშვილის** "მასი" 18:6. ყუფარაძე 49-ე წუთზე შეცვალეს, ჩხაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, დადუნაშვილი და დიდებულიძე განაცხადში არ იყვნენ, მაისურაძე ჯერ ისევ საქართველოშია. სტუმრად დამარცხდა "დიჟონთან" **პალიკო ჯიმშელაძის** "შამბერი" 14:6. ჯიმშელაძე ტრავმირებულია.

C ჯგუფში, ერთადერთმა "ქართულიმა" გუნდმა, **დიმა პავლოვის** "ნიცამა" სტუმრად წააგო "ლა სეინთან" 6:18. პავლოვი განაცხადში არ იყო. ასევე ერთი მორაგბე გვყავს D ჯგუფშიც. **ირაკლი გუნდიშვილის** "მიიომ" სეზონის პირველი შეხვედრა სტუმრად გამართა "შატორენართან" და ფრეს დასჯერდა 13:13.

F ჯგუფის "პერიგოში" დაასრულა თავისი სარაგბო კარიერა, საქართველოს ნაკრების მეორეხაზელმა **ვანო ნადირაძემ**. **თედო ზიბზიბაძის** ამარა დარჩენილმა პერიგოელებმა კი საკუთარ მოედანზე დაამარცხეს "მირანდი" 27:3. ზიბზიბაძე 78-ე წუთზე შეცვალეს.

ფედერალ 2-ის გათამაშებაში **დავით ბოლღაშვილის** "ლილმა", **რეზო გიგაურისა** და **ლევან დათუნაშვილის** "მონლუსონმა" თავიანთი პირველი შეხვედრები ფრედ დაასრულეს. **ბადრი ხეხელაშვილის** "კონიაკმა" შინ დაამარცხა "სალე" 13:6.

ალსანიშნავია, რომ ფედერალ 1-ში ამ სეზონიდან ქულათა დარიცხვის სამხრეთული, პრემიალური სისტემა შემოიღეს. 6 ჯგუფიდან, მომდევნო, მეორე ჯგუფურ ეტაპზე ოთხი საუკეთესო გუნდი გადის, რომლებიც ასევე ექვს ოთხგუნდა ჯგუფად განაწილდებიან. ფლეიოფში ორ-ორი საუკეთესო და ოთხი უკეთესი შედეგის მესამეადგილოსანი გავა. ზედა, მეორე დივიზიონში ორი ფინალისტი ალზევდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

| საფრანგეთი |
| --- |
| **პირველი დივიზიონი** |
| **ოში** |
| მამუკა მაგრაქველიძე |
| **ბაიონი** |
| ავთანდილ კოპალიანი |
| **ბრივი** |
| დავით ხინჩაგაშვილი |
| **ბიარიცი** |
| გიორგი ჟღენტი |
| **კასტრი** |
| აქვსენტი გიორგაძე |
| **კლერმონი** |
| დავით ზირაქაშვილი |
| გოდერძი შველიძე |
| სიმონ მაისურაძე (ახ) |
| ირაკლი ჭყონია (ახ) |
| დიმიტრი ბასილაია (ახ) |
| **დაქსი** |
| ირაკლი გიორგაძე |
| **მონპელიე** |
| მამუკა გორგოძე |
| დავით ქუბრიაშვილი |
| **მეორე დივიზიონი** |
| **აჟენი** |
| ანტონ ფეიქრიშვილი |
| გურამ კავთიძე (ახ) |
| დავით ჩიჩუა (ახ) |
| **ორიიაკი** |
| მალხაზ ურჯუკაშვილი |
| **გრენობლი** |
| ლევან ლვაზერიძე |
| **მონ დე მარსანი** |
| ირაკლი მაჩხანელი |
| **პო** |
| მერაბ კვირიკაშვილი |
| **ტულონი** |
| გია ლაბაძე |
| **ტარბი** |
| იგორ ბარბაქაძე |
| **ნარბონი** |
| გიორგი კუთარაშვილი |
| **ფედერალ 1** |
| **სერჟი პონტუაზი** |
| დიმიტრი ხოჭოლავა |
| **რუანი** |
| სოსო ნიკოლაენკო |
| **ბობინი** |
| შალვა სუთიაშვილი |
| დავით გასვიანი |
| **სენ ნაზერი** |
| სანდრო ესაკია |
| ოთარ ელოშვილი |
| **ორლეანი** |
| ირაკლი აბუსერიძე |
| **დომონი** |
| ზურაბ მჭედლიშვილი |
| ალექსანდრე მარგველაშვილი |
| გიორგი ნემსაძე |
| **შამბერი** |
| პალიკო ჯიმშელაძე |
| **ლონსი** |
| რატი ურუშაძე |
| **მასი** |
| გიორგი ჩხაიძე |
| ვიქტორ დიდებულიძე |
| დავით დადუნაშვილი |
| **ვილერბანი** |
| ელიზბარ ყუფარაძე |
| ზვიად მაისურაძე |
| **ნიცა** |
| დიმა პავლოვი |
| **მიო** |
| ირაკლი გუნდიშვილი |
| **კაორი** |
| ლევან მელიქიძე |
| **პერიგო** |
| თედო ზიბზიბაძე |
| **ფედერალ 2** |
| **ლილი** |
| დავით ბოლღაშვილი |
| **მონლუსონი** |
| ლევან დათუნაშვილი |
| რეზო გიგაური |
| **კონიაკი** |
| ბადრი ხეხელაშვილი |
| **ფედერალ 3** |
| **კანი** |
| ბესიკ ხამაშურიძე |
| რეზო ბელქანია |
| ალექსანდრე მჭედლიშვილი |
| **რუმინეთი** |
| **ფარული** |
| ბიძინა სამხარაძე |
| ლაშა თავართქილაძე |
| კახა უჩავა |
| გიორგი ხოსიტაშვილი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

## ვალუევი და ლიახოვიჩი პრეტენდენტობისთვის იბრძოლებენ

WBA-ს საჩემპიონო ბრძოლების კომიტეტმა დაადგინა, რომ მომავალ წელს გაიმართება ბრძოლა მსოფლიო ექსჩემპიონებს, რუს **ნიკოლაი ვალუევსა** და ბელარუსელ **სერგეი ლიახოვიჩს** შორის. ეს მოკრივეები WBA-ს რეიტინგში პირველ და მეორე ადგილებს იკავებენ და მათმა ორთაბრძოლამ უნდა გამოავლინოს ის მოკრივე, რომელიც ამ ვერსიით მსოფლიო ჩემპიონს, **რუსლან ჩაგაევს** შეხვდება.

WBA-ს ინფორმაციით, ვალუევი და ლიახოვიჩი ერთმანეთის პირისპირ 2008 წლის 14 აპრილს წარდგებიან. თუმცა ვალუევის მენეჯერი **ბორის დიმიტროვი** აცხადებს, რომ ბრძოლის ჩატარების სავარაუდო თარიღი იანვარი ან თებერვალი იქნება. *"ჩვენ უკვე ვიცოდით WBA-ს გადაწყვეტილების შესახებ. ჯერჯერობით ირკვევა, თუ როდის გაიმართება ეს ბრძოლა, მაგრამ რაც მთავარია, არსებობს პრინციპული შეთანხმება, რომ დაპირისპირება აუცილებლად შედგება, სავარაუდოდ, იანვარში ან თებერვალში. თუ ბრძოლა ევროპაში გაიმართება, ვალუევი გერმანიაში გაივლის შეკრებას, თუ ამერიკაში, მაშინ ოკეანის გაღმა ბრძოლამდე ორი თვით ადრე გავემგზავრებით"*, - ამბობს მენეჯერი.

მძლეოსნობა

## ნომინანტები ცნობილია

მძლეოსნობის წლევანდელი სეზონი დასრულდა და სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციამ, 2007 წლის საუკეთესო მამაკაცი და ქალი მძლეოსნის ტიტულის მაძიებლები დაასახელა. პრეტენდენტების სია ასე გამოიყურება.

მამაკაცები: **კენენისა ბეკელე** (ეთიოპია, 5000 და 10 000 მ), **ტაისონ გეი** (აშშ, 100 და 200 მ), **ჰაილე გებრსელასიე** (ეთიოპია, მარათონი), **რიის ჰოფა** (აშშ, ბირთვის კვრა), **ბერნანრდ ლაგატი** (აშშ, 1500 და 5000 მ), **ტერო პიტკამიაკი** (ფინეთი, შუბის ტყორცნა), **ასაფა პაუელი** (იამაიკა, 100 და 200 მ), **ირვინგ სალადინო** (პანამა, სიგრძეზე ხტომა), **ზერსენაი ტადესე** (ერითრეა, მარათონი), **ჯერემი უორინერი** (აშშ, 400 მ), **ლიუ სიანი** (ჩინეთი, 110 მ თარჯრბენი).

ქალები: **მესერეტ დეფარი** (ეთიოპია, 5000 და 10 000 მ), **ელისონ ფელიქსი** (აშშ, 100, 200 და 400 მ), **მარიამ იუსუფ ჯამალი** (ბრუნეი, 1500 მ), **ჯანეტ ჯეპკოსგეი** (კენია, 800 მ), **ლორნა კიპლაგატი** (ჰოლანდია, მარათონი), **კაროლინა კლუფტი** (შვედეთი, შვიდჭიდი), **სანია რიჩარდსი** (აშშ, 400 მ), **ვალერი ვილი** (ახალი ზელანდია, ბირთვის კვრა), **ბლანკა ვლასიჩი** (ხორვატია, სიმაღლეზე ხტომა), **ელენა ისინბაევა** (რუსეთი, ჭოკით ხტომა), **ტატიანა ლებედევა** (რუსეთი, სიგრძეზე ხტომა).

## მძლეოსნობა ფეხბურთზე პოპულარულია

საინტერესო კვლევა ჩაატარა მოძრაობამ "სპორტი ყველასთვის". მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩატარდა გამოკითხვა, რომელმაც სპორტის 20 ყველაზე პოპულარული სახეობა გამოავლინა. აღმოჩნდა, რომ მძლეოსნობას უფრო მეტი მიმდევარი ჰყავს, ვიდრე ფეხბურთს. სწორედ ეს ორი სახეობა გავიდა პირველ და მეორე ადგილებზე.

სრულად ამ საინტერესო რეიტინგმა ასეთი სახე მიიღო:

1. მძლეოსნობა - 9,6%; 2. ფეხბურთი - 8,4%; 3. ცურვა - 8,1%; 4. იოგა - 7,4%; 5. ველოსპორტი - 6,4%; 6. კალათბურთი - 5,7%; 7. ფრენბურთი - 5,4%; 8. აერობიკა - 5,3%; 9. ჩოგბურთი - 4,9%; 10. ბოდიბილდინგი - 4,7%; 11. გოლფი - 4,5%; 12. სპორტული ცეკვები - 3,8%; 13. თხილამურები (სირბილი) - 3,4%; 14. ორთაბრძოლები - 3,4%; 15. მაგიდის ჩოგბურთი - 3,1%; 16. ორიენტირება - 3,0%; 17. სპორტის ეროვნული სახეობები - 2,7%; 18. მეკლდეურობა - 2,6%; 19. როლერსპორტი - 2,0%; 20. ექსტრემალური სპორტი - 1,1%; დანარჩენი სახეობები - 4,5%.

## ოტი მერვე ოლიმპიადას უმიზნებს

ლეგენდარული იამაიკელი მძლეოსანი, ამჟამად სლოვენიის სახელით მოასპარეზე **მერლინ ოტი** კარიერაში თავის მერვე ოლიმპიადაზე გამოსვლას აპირებს. მძლეოსნობის ცოცხალ ლეგენდად აღიარებულ ოტის, ოლიმპიადებზე ცხრა მედალი აქვს მოპოვებული, მაგრამ აქედან არცერთი ოქროსი.

*"მერლინი თითქმის მთლიანად გამოტოვებს ზამთრის სეზონს, რათა ენერგია დაზოგოს. ის კვლავინდებურად გეგმავს პეკინში გამოსვლას*, - აცხადებს ოტის მწვრთნელი და მენეჯერი **სტეფანო ტილი**. - *პირადად მე მიმაჩნია, რომ თუ ოტი ისევე იასპარეზებს პეკინში, როგორც წელს ოსაკაში, სადაც პირველივე წრეში გამოეთიშა 100 მეტრზე მორბენალთა შეჯიბრს, ჩინეთში გამგზავრებას აზრი არ ექნება. მაგრამ მერლინმა თავის ცხოვრებასთან და კარიერასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოს. მოხარული ვიქნები, თუ ის პეკინში წარმატებით გამოსვლას შეძლებს"*.

## ლიუ სიანმა ორი ოლიმპიადა დაგეგმა

110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი, ჩინელი **ლიუ სიანი** 2012 წლამდე აპირებს აქტიურ სპორტში დარჩენას.

როგორც მსოფლიო რეკორდსმენის მწვრთნელი **სუნ ჰაიპინი** აცხადებს, მისი შეგირდი არა მარტო პეკინის, არამედ ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლასაც გეგმავს, რის შემდეგაც, დაასრულებს კარიერას. 2012 წლისთვის, ლიუ სიანი 29 წლის იქნება.

## პარიზი კონტინენტის პირველობას უმასპინძლებს

მძლეოსნობის ევროპის ფედერაციამ დარბაზებისთვის კონტინენტის 2011 წლის ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქი დაასახელა. ფედერაციის საბჭომ ეს პატივი საფრანგეთის დედაქალაქ პარიზს არგუნა. გარდა ამისა გაირკვა, რომ ორი წლის შემდეგ (2013 წელს), ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი შვედეთის ქალაქი გიოტებორგი იქნება.

აღსანიშნავია, პარიზი ერთხელ უკვე მასპინძლობდა ანალოგიურ ტურნირს - ეს 1994 წელს მოხდა.

ცურვა

## ჰეკეტი ჩინოვნიკი გახდება?

ცნობილი ავსტრალიელი მოცურავე **გრანტ ჰეკეტი** სპორტული ფუნქციონერის ამპლუაში აპირებს ძალების მოსინჯვას. ავსტრალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ჰეკეტის კანდიდატურა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენთა კომისიის ოთხიდან ერთ-ერთ ვაკანტურ ადგილზე წარადგინა.

მოცურავის განცხადებით, ეს მისთვის დიდი პატივია, ვინაიდან ყოველთვის სურდა უფრო ახლო ყოფილიყო ოლიმპიურ მოძრაობასთან.

არჩევნები მომავალი წლის აგვისტოში, პეკინის ოლიმპიადის დროს გაიმართება და გამარჯვებულები კომისიაში 8 წელი იმუშავებენ. სპორტსმენთა კომისია - ეს არის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც ყოფილი და მოქმედი ათლეტებისგან შედგება და სოკ-ის სხდომებზე ყველა ოლიმპიელის ინტერესებს გამოხატავს.

ველოსპორტი

ტურ დე ფრანსი

## პერეირო ტურის ჩემპიონია

15 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც შარშანდელი ტურ დე ფრანსი დასრულდა, რბოლის ჩემპიონი კი საბოლოოდ ახლაღა გამოვლინდა - ველომარათონის ორგანიზატორებმა რბოლის ჩემპიონად ესპანელი **ოსკარ პერეირო** გამოაცხადეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც საბოლოოდ დამტკიცდა, რომ შარშანდელი რბოლის დროს, მისმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **ფლოიდ ლენდისმა** აკრძალული ჰორმონი ტესტოსტერონი გამოიყენა.

*"ამ ისტორიამ ყველა ძალიან დაღალა. ხანდახან მეუფლებოდა განცდა, რომ ამ საქმეს ბოლო არასოდეს ექნებოდა. ხანდახან იმასაც ვფიქრობდი, რომ ვიღაცას ჩემთვის ნერვების დაწყვეტა სურდა. მაგრამ რეალურად, ტურის ორგანიზატორები ლენდისის საქმის დასრულებას ელოდენ. ჩემთვის ეს გამორჩეული მოვლენაა. ახლა არ ვაპირებ იმაზე ფიქრს, თუ რით დამთავრდება ლენდისის აპელაცია"*, - განაცხადა პერეირომ.



ოსკარ პერეირო

ლენდისმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ თავის ორწლიან დისკვალიფიკაციას და მისთვის ტურის ჩემპიონობის ჩამორთმევას სპორტის საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლოში გაასაჩივრებს. მას იმედი არ აქვს, რომ ამით რაიმეს შეცვლას შეძლებს, თუმცა სურს, რომ კიდევ ერთხელ სცადოს ბედი.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი ტურის დროს, პერეიროს ყვითელი მაისური ხუთ ეტაპზე ეცვა, თუმცა შემდეგ მას ის ყოფილმა თანაგუნდელმა ლენდისმა ჩამოართვა. პერეირომ რბოლა მეორე ადგილზე დაასრულა და რამდენადაც ჩემპიონის შედეგები გაუქმდა, ჩემპიონად ესპანელი გამოცხადდა.

*"რა თქმა უნდა, ვწუხვარ იმის გამო, რაც ფლოიდს შეემთხვა. ის რბოლიდან მას შემდეგ მოხსნეს, რაც ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ ამით სიამოვნების საშუალება მალევე მოუსპეს. მაგრამ მეორე მხრივ, სპორტსმენი ვალდებულია, ის წესები დაიცვას, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა"*, - ამბობს პერეირო.

ტურ დე ფრანსის დირექტორმა **კრისტიან პრიუდომმა** განაცხადა, რომ პერეიროს ჩემპიონად გამოცხადებას თავადაც მოუთმენლად ელოდა და ბედნიერია, რომ ბოლოსდაბოლოს, ამის საშუალება მიეცა. *"როგორც იქნა, ჩემპიონს ვეღირსეთ. ამ მომენტს დიდხანს ელოდნენ არამხოლოდ პერეირო, მისი ახლობლები და გუნდი, არამედ ჩვენც. ბოლოსდაბოლოს, ეს გაჭიანურებული ისტორია დასრულდა. ახლა თავისუფლად შეგვიძლია, პერეიროს გვარი ტურის ჩემპიონთა სიაში შევიტანოთ"*, - განაცხადა პრიუდომმა.

პერეირო მეექვსე ესპანელი ველომრბოლია, ვინც ფრანგული ტურის მოგება შეძლო. ოსკარამდე ტურის ყვითელი მაისური ესპანელთაგან მოპოვებული აქვთ **ფედერიკო ბაამონტესს**, **ლუის ოკანას**, **პედრო დელგადოს**, **მიგელ ინდურაინსა** და **ალბერო კონტადორს**, ვინც ჩემპიონი წლევანდელ რბოლაში გახდა.

პერეიროს ჩემპიონად გამოცხადებას გამოეხმაურა ესპანეთის სპორტის მინისტრი **ხაიმე ლისავეცკი**, ვინც განაცხადა, რომ ლენდისის დისკვალიფიკაცია მორიგი გამარჯვებაა დოპინგთან ბრძოლაში. *"ჩვენ უნდა შევძლოთ სპორტისგან მათი ჩამოშორება, ვინც ბინძურ თამაშსაა მიჩვეული და ასე ცდილობს გამარჯვების მოპოვებას"*, - განაცხადა მინისტრმა.

ჯირო დ'იტალია

## დი ლუკა სამი თვით დასაჯეს

იტალიის ოლიმპიური კომიტეტის სადისციპლინო კომისიამ სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა ჯირო დ'იტალიის იტალიელ ჩემპიონ **დანილო დი ლუკას**. საქმის მოსმენის შემდეგ დადასტურდა, რომ ველომრბოლს მჭიდრო ურთიერთობა აქვს სკანდალურ ექიმ **კარლო სანტუჩონესთან**. ეს უკანასკნელი ცნობილია, როგორც სპორტსმენებისთვის აკრძალული დოპინგპრეპარატების მიმწოდებელი.

სამთვიანი დისკვალიფიკაცია კი იმის მომასწავებელია, რომ 31 წლის ველომრბოლი, ვინც პრო ტურის სერიას ლიდერობს და სანტუჩონესთან ყოველგვარ ურთიერთობას უარყოფს, მონაწილეობას ვერ მიიღებს ამ სერიის დარჩენილ ერთადერთ რბოლაში, ლომბარდიის ჯიროზე, რომელიც შაბათს ჩატარდება.

აღნიშნული საქმის გამო, დი ლუკას მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლებაც არ მიეცა. იტალიის ოლიმპიური კომიტეტის დოპინგსაწინააღმდეგო კომისიის შეფი **ეტორე ტორი** ჯიროს ჩემპიონის ოთხი თვით დასჯას მოითხოვდა, მაგრამ სასჯელი სამი თვით განისაზღვრა. ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, რომ ჯიროს ჩემპიონს არავინ აბრალებს დოპინგის გამოყენებას.

შესაძლოა, დი ლუკამ თავისი დისკვალიფიკაცია სპორტის საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლოში გასაჩივროს. თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დისკვალიფიკაცია არაა ხანგრძლივი, შესაძლოა, ჯიროს ჩემპიონმა აპელაციისგან თავის შეკავება ამჯობინოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ის ვერ შეძლებს ლომბარდიის ტურზე ასპარეზობას.

ამგვარად, ავსტრალიელ **კეიდელ ევანსს** პრო ტურის ჩემპიონობის შანსი უჩნდება. ამისათვის ოზ ველომრბოლს ლომბარდიში მოწინავე ადგილის დაკავება მართებს. და თუ დი ლუკას ვერ გადაასწრებს, მაშინ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი მეტად საჩოთირო პოზიციაში აღმოჩნდება - მას დისკვალიფიცირებული ველომრბოლის დაჯილდოება მოუწევს.

ცნობისათვის, ამჟამად დი ლუკა ევანსს პრო ტურის ცხრილში 15 ქულით უსწრებს. პრო ტურის სერიის კლასიკური რბოლის მოგებისთვის, ველომრბოლს 50 ქულა ეძლევა. იმისათვის, რომ სერიის ლიდერს გადაასწროს, ევანსმა ლომბარდიული რბოლა მინიმუმ მეექვსე ადგილზე უნდა დაასრულოს, რისთვისაც 20 ქულას მიიღებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ავსტრალიელი ველომრბოლისთვის ეს სეზონი მეტად წარმატებულია - მან მეორე ადგილზე დაასრულა ფრანგული ტური და დოფინ ლიბერეს რბოლა, ესპანეთის ტურზე (ვუელტაზე) კი მეოთხე ადგილი დაიკავა.

ავტოსპორტი

ფორმულა 1

## ფერარიმ მასა დაიტოვა




ფელიპე მასა

ფორმულა ერთის კონსტრუქტორთა პირველობის ჩემპიონი "ფერარის" ხელმძღვანელობამ, ორი წლით გაუგრძელა კონტრაქტი ბრაზილიელ **ფელიპე მასას**, ვინც იტალიურ გუნდში 2010 წლის ბოლომდე დარჩება. ამგვარად, წერტილი დაესვა გავრცელებულ ჭორებს იმის შესახებ, რომელთა თანახმადაც, 2009 წელს სკუდერიაში ბრაზილიელის ადგილი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ესპანელ **ფერნანდო ალონსოს** უნდა დაეკავებინა.

უნდა ითქვას, რომ "ფერარის" მასასთან კონტრაქტი 2001 წლიდან აქვს, მაგრამ შარშანდლამდე ბრაზილიელი პილოტი მარანელოელთა პარტნიორ გუნდ "ზაუბერში" გამოდიოდა, რომლის ბოლიდებიც იტალიური გუნდის ძრავებითა და გადაცემათა კოლოფებით მარაგდებოდა. შარშანდელ სეზონში, მასა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის, გერმანელი **მიხაელ შუმახერის** პარტნიორი იყო, ამ სეზონში კი მისი თანაგუნდელი ფინელი **კიმი რაიკონენია**, ვინც შარშან "მაკლარენის" ბოლიდით ასპარეზობდა.

სხვათა შორის, ამ უკანასკნელს "ფერარისთან" 2009 წლის ბოლომდე აქვს კონტრაქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მარანელოელთა კარი ალონსოსთვის 2009 წელსაც დახურული იქნება.

26 წლის მასას ვინც წარმოშობით სან პაულუდანაა, მიმდინარე სეზონში სამი ეტაპი აქვს მოგებული, მაგრამ ბოლო რბოლის წინ, ჩემპიონობისთვის მებრძოლთა შორის აღარ ფიგურირებს. უნდა ითქვას, რომ მისი მენეჯერია "ფერარის" შეფის **ჟან ტოდტის** შვილი **ნიკოლა ტოდტი**.

"ფერარის" ბოლიდით მასას სულ 34 რბოლაში აქვს მიღებული მონაწილეობა, რომელთაგან 16 კვარცხლბეკზე დაასრულა, მათგან 5 კი მოიგო. გარდა ამისა, რვა რბოლა პოულ პოზიციიდან დაიწყო და ამდენჯერვე, რბოლის უსწრაფესი წრე დააფიქსირა.

რაც შეეხება იტალიური გუნდის კონსტრუქტორთა პირველობაზე გამარჯვებას, ეს უფრო იმის შედეგია, რომ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ პირველობიდან მოხსნა ბრიტანული "მაკლარენი", რომელიც სოლიდური უპირატესობით ლიდერობდა. "ფერარისთვის" ეს კონსტრუქტორთა პირველობაზე მოპოვებული მე-15 გამარჯვებაა.

NBA. სეზონის წინ

# დანკანი თუ გარნეტი?

**ვაგრძელებთ NBA-ს წინასასეზონო პოზიციური რეიტინგების გამოქვეყნებას. გამთამაშებლებისა და მსროლელების შემდეგ, დღევანდელ რეიტინგში მძიმე ფორვარდებზე ვისაუბრებთ. კომპანია ძალიან სოლიდურია და პირველი ათი მოთამაშიდან, სეზონის ბოლოს MVP-ის ტიტულზე პრეტენზიას ბარე 6-7 კაცი წარადგენს.**



ტიმ დანკანი

## 1. ტიმ დანკანი
**(სან ანტონიო)**

"სან ანტონიოს" ოთხივე ჩემპიონობა ამ კაცს უკავშირდება და ნეტავ ყველა მწვრთნელს ასეთი დამჯერი და გუნდური სულისკვეთებით აღსავსე მოთამაშე ჰყავდეს. **ტიმ დანკანი** არამარტო დღევანდელობის, არამედ ყველა დროის საუკეთესო მძიმე ფორვარდია და ეს უამრავმა გამოკითხვამ დაამტკიცა, მათ შორის იმ გამოკითხვამაც, რომელიც უშუალოდ მოთამაშეებში ჩატარდა.

"სპურსში" ყველაფერი ამ კაცის ირგვლივაა აწყობილი და დანკანიც იდეალურად ანაწილებს თავის ენერგიას მთელ რეგულარულსა და ფლეი ოფზე.

ტიმი წელსაც მოსალოდნელზე ცოტას დაყოფს მოედანზე, მერე კი **გრეგ პოპოვიჩი** მას მაქსიმალურად დატვირთავს ფლეი ოფში. დანკანი ამ რეიტინგის სხვა წევრებზე უარესად ასრულებს საჯარიმოებს, თუმცა დანარჩენ კომპონენტებში, პირველ რიგში კი გუნდურ თამაშსა და დაცვაში, საუკეთესოდ რჩება.

წესით, ტიმი წელსაც მოუყრის თავს მისთვის ნორმად ქცეულ 20 ქულას, 11 მოხსნას, 3-4 შედეგიან გადაცემასა და 2 დაფარებაზე მეტს. მთავარი კი, მისთვის და მთელი "სპურსისთვის" აპრილის მეორე კვირიდან დაიწყება.

## 2. კევინ გარნეტი
**(ბოსტონი)**

ამ კაცმა "მინესოტაში" მაქსიმუმი რაც გააკეთა, თავისი გუნდის კონფერენციის ფინალში გაყვანა იყო (2004 წელს), მანამდე და მას მერე, "მგლები" პირველივე წრეში ასრულებდნენ თამაშს. **კევინ გარნეტი** ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია, რომელიც 21 ქულას, 12-13 მოხსნასა და 4 შედეგიან გადაცემას აგროვებს. "ბოსტონში" კევინი ისეთივე უპირობო ლიდერი ვერ იქნება, როგორც "მინესოტაში", მაგრამ მისი შედეგიანობა ბევრითაც არ დაიკლებს.

კევინს ბურთის გაყოფა **რეი ალენთან** და **პოლ პირსთან** მოუწევს, მაგრამ ამ ტრიოსთვის და საერთოდ, მთელი "სელტიქსისთვის" მთავარი მაინც ჩემპიონობა, ან თუნდაც ნებისმიერი საფლეიოფო წარმატება იქნება. "ბოსტონის" ახალი ვარსკვლავი, გამოცდილებითა და ნიჭით აღმოსავლეთში თითქმის ყველას წალეკავს, მაგრამ მთავარი მაინც აპრილიდან დაიწყება.

## 3. დირკ ნოვიცკი
**(დალასი)**

გერმანელი ვარსკვლავი **კობის** მერე, უძლიერესი და ყველაზე რთულად ასაყვანი შემტევია, თუმცა დაცვასაც რომ მეტი ყურადღება მიაქციოს, "დალასის" საჩემპიონო ამბიციები–უფრო რეალური იქნება. **ნოვიცკის** დღემდე მოსვენებას არ აძლევს შარშანდელი ფლეი ოფის პირველ წრეში "გოლდენ სტეიტთან" განცდილი მარცხი და დამდეგ სეზონში გერმანელი ბევრად მოტივირებული იქნება. "დალასმა" იქნებ ველარ მოიგოს რეგულარული, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ეივერი ჯონსონი** ნოვიცკისგან და სხვებისგან, პირველ რიგში, საფლეიოფო წარმატებასა და შარშანდელი კოშმარის გაბათილებას მოითხოვს. ნოვიცკისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ერთ მატჩში საშუალოდ 26 ქულის, 9 მოხსნის, 3 შედეგიანი გადაცემისა და 1 დაფარების დაგროვება.

## 4. ზაკ რენდოლფი
**(ნიუ იორკი)**

საინტერესოა, როგორ მოერგება ახალ გუნდს ყოვლად საძაგელი პიროვნება, ალვირახსნილი ბიჭი, რომელიც "პორტლენდში" თამაშისას, საშუალო ორმაგი დუბლის კეთების გარდა, თანაგუნდელების ცემით (**რუბენ პატერსონი** და **დარიუს მაილზი** შემოელახა), ღამის კლუბებში იარაღის ტრიალითა (ორჯერ დაიჭირეს) და ვარჯიშებზე დაგვიანებებით იყო დაკავებული.

"ნიქსში" **ზაკ რენდოლფს ედი კარისთან** ერთად ძალიან სახიფათო დუეტის შექმნა შეუძლია, მაგრამ გააჩნია, რა როლი ექნება "ნიუ იორკის" შეტევაში საკუთარ თავზე შეყვარებულ **სტეფონ მარბერის.** თუ მარბერი გუნდურ გამთამაშებლად იქცა, მაშინ **აიზია ტომასის** გუნდი კონფერენციის ლიდერებში იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მორიგი ფიასკო, იმედგაცრუება და სირცხვილი ელის.

## 5. ლამარ ოდომი
**(ლეიკერსი)**

"ლეიკერსში" ყველაფერი **კობი ბრაიანტის** ირგვლივ ტრიალებს, ამ კაცის მერე კი, ყველაზე მეტს მოედანზე ლამარ ოდომი აკეთებს. ამ ფორვარდს თითქმის ყველა მატჩში შეუძლია სამმაგი დუბლისთვის ხელის წაკვრა და დაცვაშიც მაგრად დგას, თუმცა ხშირად იღებს ტრავმას და ამ მხრივ, საიმედო არ არის.

შარშანდელ რეგულარულში მან საშუალოდ 4.8 შედეგიანი გადაცემა მოიმკო (კარიერის რეკორდი), ოღონდ ჯერ არავინ იცის, სად დაიწყებს რეგულარულს ლამარი. თუ ბოსები კობისთვის რომელიმე ვარსკვლავის დამატებაზე თანხმობას განაცხადებენ, გაცვლის ერთ-ერთი კანდიდატი სწორედ ოდომია.

## 6. რაშიდ უოლასი
**(დეტროიტი)**

ბოლო სეზონში, "დეტროიტის" ვარსკვლავი ფორვარდი ნაკლებად პროდუქტიული იყო შეტევაში. **რაშიდ უოლასი** ბევრს ჯარიმდება და თამაშიდანაც ბევრ მოუმზადებელ სროლას ასრულებს, რაც მის პროცენტულ მაჩვენებლებზე მოქმედებს. მიუხედავად ამისა, უოლასი დღესაც ერთადერთია ლიგაში, ვინც ერთი ერთზე უძლიერესად ეთამაშება დანკანსა და გარნეტს. დამდეგ სეზონში "დეტროიტს" არ ეყოლება **კრის უებერი,** რის გამოც მძიმე ფორვარდად ხან რაშიდს და ხან **ანტონიო მაკდაიესს** მოუწევთ თამაში. შიდი ორივე პოზიციაზე მაგრად იდგება დაცვაში და თუ შეტევაშიც იყოჩაღებს, "პისტონზი," ალბათ, სუპერფინალშიც გავა.

## 7. შონ მერიონი
**(ფინიქსი)**

"ფინიქსის" ერთ-ერთი ლიდერი და გუნდის ერთადერთი კარგი დამცველი, დღესაც უკმაყოფილოა მისი იგნორირებით და იმითაც, რომ არიზონელთა თითქმის ყველა პიარ-აქციაზე მხოლოდ **სტივ ნეში და ამარე სტაუდმაიერი** დადიან. **მერიონი** სხვაგან წასვლას ითხოვს, მაგრამ "სანზის" ბოსებს ამის გაგონებაც კი არ სურთ. შონი თითქმის ყველა კომპონენტში სასარგებლოა, ხოლო დაცვაში კი, გამთამაშებლის გარდა, ოპონენტის ნებისმიერი ამპლუის კალათბურთელის განეიტრალება შეუძლია. შონი ნომინალურად 20-ქულიანი, 10-მოხსნიანი და 2.5-დაფარებიანი კაცია, მაგრამ ვეჭვობთ, რომ წელს მან ამ მაჩვენებლებს მიუკაკუნოს. მაღალ მოთამაშეებში, სტაუდმაიერი ერთ-ერთი უსუსტესი დამცველია. ასე რომ, მერიონი დღესაც ძალიან საჭირო კაცია.

## 8. ანტუან ჯეიმისონი
**(ვაშინგტონი)**

2002-03 წლების რეგულარულში **ანტუან ჯეიმისონმა** "დალასის" რიგებში, თამაშიდან სროლების ნახევარზე მეტი გამოიყენა და რეგულარულის საუკეთესო შემცვლელიც გახდა. მერე ეს კაცი "უიზარდსში" ყველაზე ძვირადღირებული წევრი გახდა, შედეგიანობა 20 ქულას დაუბრუნდა, მაგრამ ზუსტი სროლების პროცენტულმა მაჩვენებელმა იკლო. ანტუანი ძალიან სუსტი, ზარმაცი დამცველია, რომელიც მთელ ენერგიას თავდასხმას უთმობს. 8-9 მოხსნაც პრობლემა არ უნდა იყოს, სხვა მხრივ კი, ვერც ჯეიმისონი შეიცვლება და ვერც "ვაშინგტონის" ავანტიურული თამაში, სადაც ყველა მოთამაშე მხოლოდ და მხოლოდ ქულების მოხვეჭაზე ზრუნავს.

## 9. დევიდ უესტი
**(ნიუ ორლეანი)**

ბოლო სამი რეგულარულიდან ორში, **დევიდ უესტი** ტრავმირებული იყო, თუმცა როდესაც ჯანზეა, საკმაოდ პროდუქტიულია შეტევაში და დაცვასაც ნორმალურად თამაშობს. მთავარი პრობლემა მისი ჯანმრთელობაა, რის გამოც, შარშან მისმა გუნდმა ძალიან იზარალა. უესტის, **პეჟა სტოიაკოვიჩისა** და კიდევ რამდენიმე მოთამაშის ტრავმებმა, "ჰორნეტსი" საფლეიოფო რვა გუნდის მიღმა დატოვა. დევიდი ძალიან კარგად ასრულებს საჯარიმოებს (80 პროცენტი და მეტი) და სწრაფ თამაშშიც სასარგებლო ახალგაზრდაა. მისი და **კრის პოლის** დუეტი, "ნიუ ორლეანს" კონფერენციის რჩეულთა შორის მოახვედრებს.

## 10. დრიუ გუდენი
**(კლივლენდი)**

უნიჭიერესი, მაგრამ არასტაბილური **დრიუ გუდენი ლებრონ ჯეიმსის** მერე, "კავალიერსის" საუკეთესო მოთამაშეა, თუმცა უკვე მერამდენე სეზონია, იგი გაცვლის მთავარ ობიექტად რჩება. გუდენს ძალიან კარგი საშუალო სროლა აქვს, მაგრამ მისი სიმაღლის კაცისთვის არადამახასიათებელ სისწრაფეს ვერ იყენებს. "სპურსთან" სუპერფინალში, როდესაც ლებრონი ყველანაირად მოშლილი იყო, ვერც მან და ვერც **ლარი ჰიუზმა** ბოძებული სივრცე ვერ გამოიყენეს და სერიაც ძალიან სწრაფად დასრულდა. გუდენის სტატისტიკა წელსაც 13-14 ქულისა და 8-9 მოხსნის ფარგლებში იქნება და თუ "კლივლენდს" ნორმალური ფლეიმეიქერი ეყოლება, იქნებ საშუალო ორმაგი დუბლიც რეალური გახდეს.

**ზურაბ თალაკვაძე**



### 17 ოქტომბერი. ოთხშაბათი

**იმედი**

21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საქართველო-შოტლანდია (LIVE).

**რუსთავი 2**

23:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-ლიტვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ამხანაგური მატჩი. 1986 წელი. სსრკ-ინგლისი.
14:05 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-გერმანია.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
17:35 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. იტალია-საქართველო.
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 სეზონის საუკეთესო მატჩები. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-აიაქსი.
23:30 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ჩრ. ირლანდია.
01:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
08:23 ფეხბურთი. Barca TV.
08:31 სპორტდოსიე. თხილამურები.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:13 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-დეპორტივო.
10:59 ფეხბურთი. Barca TV.
11:08 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლიონი-რეინჯერსი.
12:49 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. იაპონიის ლია. ფინალი. ტოკიო.
15:36 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:03 ბადმინტონი. მსოფლიო ჩემპიონატი.
16:58 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-მილანი.
18:43 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ინგლისი (LIVE).
21:10 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩეხეთი.
22:06 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:17 სპორტკლუბი.
22:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ჩრ. ირლანდია (LIVE).
00:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:45 სპორტის სამყარო.
01:16 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:31 სპორტდოსიე. თხილამურები.
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
03:24 ფეხბურთი. Barca TV.
03:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ნიუ ჯერსი (LIVE).
06:07 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
06:34 სპორტის სამყარო.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
10:45 მულტისპორტი.
11:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-გერმანია.
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
14:30 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. V დღე. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. III დღე. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
17:45 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. V დღე. აბერდინი. შოტლანდია.
18:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ინგლისი (LIVE).
21:00 მულტისპორტი.
21:05 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. ოსლო. ნორვეგია.
22:05 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:10 მულტისპორტი.
22:15 გოლფი. US PGA-ის ტური. ლას ვეგასი (აშშ).
23:15 გოლფი. HSBC World Matchplay. ბრიტანეთი.
23:45 გოლფ-კლუბი.
23:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
23:55 მულტისპორტი.
00:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. V დღე. აბერდინი. შოტლანდია.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
02:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. V დღე. აბერდინი. შოტლანდია.

**EUROSPORT-2**

10:00 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
13:00 დართსი. მსოფლიო თასი. ფინალი. ჰოლანდია.
14:00 ახალი ამბები.
16:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-ჰოლანდია.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
19:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
19:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბუდეიოვიცე (ჩეხეთი)-კუნეო (იტალია) (LIVE).
21:30 ახალი ამბები.
22:15 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფრიდრიხშაფენი (გერმანია)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) (LIVE).
00:15 მულტისპორტი.
00:45 ახალი ამბები.
01:15 ექსტრემალური სპორტი.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2009. UNDER 21**

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-იტალია | 2:2 |
| ჩერნოგორია-პორტუგალია | 1:2 |
| ირლანდია-ინგლისი | 0:3 |
| პოლონეთი-რუსეთი | 0:1 |
| მაკედონია-ნორვეგია | 1:1 |
| ესტონეთი-შვეიცარია | 0:4 |
| სლოვენია-დანია | 1:3 |
| ისლანდია-ავსტრია | 1:1 |
| სლოვაკეთი-კვიპროსი | 4:1 |
| გერმანია-მოლდოვა | 3:0 |
| რუმინეთი-საფრანგეთი | 0:0 |
| უნგრეთი-ბელარუსი | 0:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ბელგია (U21)-შვედეთი (U21) | 1:3 |
| ხორვატია-სლოვაკეთი | 3:0 |

**ინგლისი. კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ჰალიფაქსი-გრეისი | 0:0 |

**შვედეთი. II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| იორგრიტე-ნორჩოპინგი | 0:5 |

**ჩეხეთის თასი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ბოლესლავი | 2:1 |

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| სევერსტალი-სპარტაკი | 2:2 ო.ტ. 3:2 |
| აკ ბარსი-სიბირი | 6:1 |
| ლოკომოტივი-ავანგარდი | 2:1 |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (ნ) | 4:3 |
| სკა-ამური | 3:1 |
| ტორპედო-მედ | 2:4 |
| ხიმიკი-ვიტიაზი | 3:3 პენ. 0:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ტაპარა-პიუკ | 1:2 |
| ჰპკ-პელიკანსი | 2:4 |
| ესეტი-კიეკო | 1:5 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პარდუბიცე-ზლინი | 1:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-ფრიბურგი | 3:3 ო.ტ. 3:4 |
| ბაზელი-ბერნი | 0:1 |
| დავოსი-კლოტენი | 2:1 |
| ჟენევა-ლუგანო | 3:3 პენ. 4:3 |
| ლანგნაუ-ციურიხი | 2:0 |
| ცუგი-რაპერსვილი | 2:2 ო.ტ. 2:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრიუნასი-ტიმრე | 4:0 |
| მოდო-ჰვ 71 | 3:4 |
| სიოდერტალიე-აიკ | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მადრიდი**

| | |
|---|---|
| ალმაგრო-სანტორო | 6:4, 6:4 |
| ვავრინკა-კიფერი | 5:7, 3:6 |
| კარლოვიჩი-საფინი | 6:3, 6:4 |
| მატიო-ფიში | 6:3, 2:6, 7:5 |
| ჰაასი-მონაკო | 4:6, 5:7 |
| ფედერერი-ჯინეპრი | 7:6, 6:4 |
| ნალბანდიანი-კლემანი | 5:7, 6:2, 6:4 |
| ფერერო-ფალა | 6:4, 7:5 |
| ტურსუნოვი-კალერი | 6:3, 6:7, 4:6 |

**WTA. ციურიხი**

| | |
|---|---|
| ბარტოლი-პენგი | 6:7, 6:0, 6:1 |
| ზვონარევა-კნაპი | 5:7, 6:2, 6:2 |
| ბამერი-კ. ბონდარენკო | 6:2, 6:2 |
| მორესმო-დანიილიდუ | 6:4, 4:6, 6:3 |
| პეერი-ა. რადვანსკა | 4:6, 3:6 |
| ს. უილიამსი-შნიდერი | 0:6, 0:6 |

**კალათბურთი**

## საკრამენტოს აბდულ-რაჰიმი უბრუნდება

"საკრამენტო კინგზის" ფორვარდი **შარიფ აბდულ-რაჰიმი** უახლოეს დღეებში განაახლებს ვარჯიშს. ვეტერანმა კალათბურთელმა ამ ზაფხულს მარჯვენა მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ამის გამო წინასასეზონო მზადების დიდი ნაწილი გააცდა.

აბდულ-რაჰიმი ვარაუდობს, რომ სეზონის სტარტისთვის მწყობრში იქნება და თავდაპირველად, მოედანზე საშუალოდ 15 წუთის გატარებას შეძლებს.

თავდამსხმელი NBA-ში 11 სეზონია თამაშობს. გასულ წელს, შარიფმა საშუალოდ 9.9 ქულითა და 5.0 მოხსნით დაასრულა რეგულარული ჩემპიონატი.

## ნეტსმა კიდი დაკარგა

ერთ-ერთი ბოლო საკონტროლო შეხვედრის დროს, ზურგის ტრავმა მიიღო "ნიუ ჯერსი ნეტსის" გამთამაშებელმა **ჯეისონ კიდმა**. ამის გამო, NBA-ის ვარსკვლავს უკვე ორი დღეა არ უვარჯიშია და ერთი საწვრთნელი შეხვედრაც ("შარლოტ ბობკეტსთან") გამოტოვა.

ექიმები კიდის დაბრუნების ზუსტ თარიღს ვერ ასახელებენ.

## ჟალგირისმა მეომრებთან წააგო

გუშინ, ევროპული და ამერიკელი კალათბურთის მორიგი დაპირისპირება შედგა. ამჯერად, NBA-ის კლუბთან ძალები ლიტვის ჩემპიონმა, კაუნასის "ჟალგირისმა" მოსინჯა.

ლეგენდარული გუნდის მეტოქე "გოლდენ სტეიტ უორიორზი" იყო, რომელმაც ძალიან იოლად დაამარცხა "ჟალგირისი" - 107:88 (29:16, 24:23, 34:17, 20:32).

გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე შედეგიანი **სტივენ ჯექსონი** გახლდათ - 20 ქულა.

## კარმელო ენტონი დაღლილობას უჩივის

"დენვერ ნაგეტსის" ლიდერმა **კარმელო ენტონიმ** ჟურნალისტებთან საუბარში დაიჩივლა, რომ შარშანდელი მომქანცველი სეზონის შემდეგ, ჯერაც ვერ მოასწრო ფიზიკური კონდიციების აღდგენა. ამერიკის ნაკრების ფორვარდი ამბობს, რომ საჩვენებელ მატჩებში დაღლილობას გრძნობს.

"ნაგეტსის" მთავარი მწვრთნელის **ჯორჯ კარლის** აზრით, ეს დროებითი მოვლენაა და ენტონი მალე ჩადგება ფორმაში. თუ საჭირო გახდა, კლუბის ხელმძღვანელობა კალათბურთელს დამატებით დასვენების დღეებს გამოუყოფს.

**ჰოკეი**

## პროფკავშირს ადვოკატი უთავკაცებს

როგორც ჩანს, უპატრონოდ დარჩენილ პროფესიონალ ჰოკეისტთა პროფკავშირს ახალი თავმჯდომარე გამოუჩნდება. სავარაუდოდ, ამ ორგანიზაციის ახალი შეფი ბოსტონელი ადვოკატი **პოლ კელი** იქნება, რომელიც აქამდე ოლქის პროკურორის თანაშემწედ მუშაობდა და ადრეც ჰქონია შეხება ჰოკეისტთა ასოციაციასთან. ეს მაშინ მოხდა, როცა მაქინაციებსა და გაფლანგვაში ეჭვმიტანილი პროფკავშირის ყოფილი პრეზიდენტის, **ალან ინგლსონის** საქმე განიხილებოდა.

გარდა ამისა, კელი ცნობილი ჰოკეისტის, **მარტი მაკსორლის** ადვოკატი იყო. ამ მოთამაშის წინააღმდეგ საქმე მას შემდეგ აღიძრა, რაც მაკსორლიმ ერთ-ერთი მატჩის დროს, თავში ყვანჯი ჩაარტყა **დონალდ ბრაშირს**.

## ბერტუცი ერთი კვირა ვერ ითამაშებს

"ანაჰაიმ დაქსმა" რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ტური ფორვარდ **ტოდ ბერტუცის** გარეშე ჩაატარა. ვეტერანი ჰოკეისტი ტრავმირებულთა სიაში შეიყვანეს და მინიმუმ ერთი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

ბერტუციმ "მინესოტასთან" მატჩში (0:2) დაიზიანა ფეხი და ნაადრევად დატოვა ყინული.

## იოკინენი ფლორიდის რეკორდს მიუახლოვდა

"ფლორიდის" ფორვარდს **ოლი იოკინენს** ერთი ქულა სჭირდება იმისთვის, რომ კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს. "ტამპა ბეისთან" მატჩში დაგროვილი სამი ქულის (1 გოლი+2 პასი) შემდეგ, ფინელი ფორვარდის კარიერულმა მონაგარმა 354 ქულა შეადგინა. ასეთივე მაჩვენებელი აქვს "პანტერების" ყოფილ კაპიტანს, **სკოტ მელანბის** და ცოტა ხნით, იოკინენი მასთან ერთად რეკორდის თანამფლობელი იქნება.

## ტორონტოს ლიდერი ვარჯიშს იწყებს

უახლოეს ხანში, "ტორონტო მეიპლ ლივზს" დაუბრუნდება 24 წლის ფორვარდი **კაილ უელვუდი**. მომავალ კვირას ეს ჰოკეისტი ვარჯიშს განაახლებს. სექტემბერში თავდამსხმელმა გრიჟის ოპერაცია გაიკეთა.

სხვათა შორის, გასულ სეზონში უელვუდს ტრავმაც აწუხებდა, რის გამოც ზედიზედ 33 მატჩი გამოტოვა და "ტორონტოს" რეგულარულის ბოლოს დაუბრუნდა. 48 შეხვედრაში კაილმა 12 შაიბა გაიტანა და 30 შედეგიანი პასი გააკეთა.

## რობიტაილი რუსეთს გაექცა

იაროსლავლის "ლოკომოტივიდან" გაქცეული კანადელი ფორვარდი **რენდი რობიტაილი** "ოტავასთან" ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. სავარაუდოდ, ჰოკეისტი "სენატორების" რიგებში 600 ათას დოლარს მიიღებს.

თუმცა ხელშეკრულება მხოლოდ მაშინ გაფორმდება, როცა რობიტაილი რუსულ კლუბთან კონტრაქტს გაწყვეტს.

**ჩოგბურთი**

## ინდოეთი დააფასეს

შერეულ წყვილებში მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის - ჰოფმანის თასის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ გაისად, ტურნირის ერთ-ერთი მონაწილე ინდოეთის ნაკრები იქნება. ამ გუნდმა ეს პატივი იმით დაიმსახურა, რომ გასულ წელს, ჰოფმანის თასზე ნახევარფინალს მიაღწია.

ახალ სეზონში ჰოფმანის თასი 29 დეკემბერს, ახალი ზელანდიის ქალაქ პერტში დაიწყება. მასში რვა გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ინდოეთის გარდა, ჯერჯერობით კიდევ სამი მონაწილეა ცნობილი: სერბეთი, ჩეხეთი და საფრანგეთი.




სამუელ პალსონის გოლი ჰაშეკის კარში

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ტორონტო 5:4 (ო)**

0:1, 0:1, 4:2, 1:0

**გოლები:** 0:1 გემეჩი-2 (პოლი-1, სტაიანი-4), 0:2 ანტროპოვი-5 (კილგერი-1, პოლი-2), 1:2 მეირი-2 (დ. რუა-2, პეი-4), 2:2 პომინვილი-3 (კონოლი-5, ჰეხტი-2), 2:3 კილგერი-1 (ანტროპოვი-4, პოლი-3), 3:3 ვანეკი-2 (სტეფორდი-2, დ. რუა-3), 4:3 კილგერი-2 (ტაკერი-3), 4:4 ჰეხტი-2 (კონოლი-6, პომინვილი-2), 5:4 კოტალიკი-2.

**ვანკუვერი-სან ხოსე 2:4**

0:0, 1:1, 1:3

**გოლები:** 1:0 პიატი-2 (ისბისტერი-1, ნესლუნდი-4), 1:1 ბერნიე-1 (მარლო-2, ნაბოკოვი-1), 1:2 პაველსკი-1 (რივე-5, ჯ. ტორნტონი-3), 1:3 ჯ. ტორნტონი-3 (ქლოუ-1, ჩიჩუ-1), 1:4 ჩიჩუ-1 (ჯ. ტორნტონი-4, ერჰოფი-4), 2:4 ჰ. სედინი-2 (დ. სედინი-5, კესლერი-2).

**ანაჰაიმი-დეტროიტი 6:3**

2:1, 1:2, 3:0

**გოლები:** 1:0 ჰასკინსი-1 (კუნიტცი-2, გეტცლაფი-3), 1:1 დრეიპერი-5 (კლირი-2, ჰაშეკი-1), 2:1 კუნიტცი-4 (პრონგერი-4, გეტცლაფი-4), 3:1 ე. მაკდონალდი-1 (დიპენტა-2, გეტცლაფი-5), 3:2 ზეტერბერგი-5 (ელისი-1, ლებდა-2), 3:3 რაფალსკი-2 (დაციუკი-7, ჰოლმსტრიომი-3), 4:3 პალსონი-1 (რ. ნიდერმაიერი-2, პრონგერი-5), 5:3 პერი-4 (პრონგერი-6, ბოშემენი-5), 6:3 ო'დონელი-1.

**ტურის მოვლენები**

- ბაფალოელმა **ალეშ კოტალიკმა** ოვერტაიმის დასრულებამდე 3 წამით ადრე გაიტანა გამარჯვების გოლი.
- "ბაფალომ" ამ სეზონში პირველად შეძლო ორშაიბიანი ჩამორჩენის გაბათილება. ამ გუნდმა შარშან, ანალოგიური შედეგი ცხრაჯერ დააფიქსირა.
- "სეიბრზმა" ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო.
- "ტორონტოს" ფორვარდმა **ნიკ ანტროპოვმა** ზედიზედ მესამე შეხვედრაში გაიტანა გოლი.
- "ბაფალომ" ბოლო ხუთ დაპირისპირებაში მეოთხედ დაამარცხა "ტორონტო".

■ ■ ■

- "სან ხოსეს" ფორვარდებმა **ჯო პაველსკიმ, ჯო ტორნტონმა** და **ჯონათან ჩიჩუმ** მესამე პერიოდში, 3 წუთის ინტერვალში სამი შაიბა გაიტანეს და 4:1 დააწინაურეს "ზვიგენები".

■ ■ ■

- ანაჰაიმელმა **სამუელ პალსონმა** გადამწყვეტი გოლი რიცხობრივი უმცირესობისას გაიტანა. მსგავს სიტუაციაში, მან კარიერაში მეცხრედ გამოიჩინა თავი.
- "დეტროიტის" ვეტერანმა ფორვარდმა **კრის დრეიპერმა** კარიერის რეკორდი დაამყარა - ზედიზედ ხუთ მატჩში შეძლო გოლის გატანა. ამ სეზონში დრეიპერმა, **ზეტერბერგმა** და **ჰოლმსტრიომმა** ჯამში 15 შაიბა შეაგდეს.
- "დაქსის" მცველმა **კრის პრონგერმა** კარიერაში მე-400 შედეგიანი პასი მიითვალა.
- "დეტროიტი" ერთ-ერთია ლიგის იმ შვიდი კლუბიდან, რომელიც ახალ სეზონში დებიუტანტის გარეშე თამაშობს.

**კვირის სამი ვარსკვლავი**

ტრადიციულად, კვირის დასასრულს ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული შვიდი დღის სამი საუკეთესო ჰოკეისტი გამოავლინა.

პირველი ვარსკვლავი გახდა "კაროლინა ჰარიკეინზის" მეკარე **კემ უორდი**, რომელმაც გასულ კვირას თავის გუნდს სამჯერ მოაგებინა, თავად კი, საშუალოდ მატჩში 1.67 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 93.9 პროცენტს იგერიებდა.

მეორე და მესამე ვარსკვლავები "ბაფალოს" მცველი **ბრაიან კემპბელი** და "დეტროიტის" ფორვარდი ჰენრიკ ზეტერბერგი გახდნენ.

კემპბელმა ორ მატჩში 7 ქულა (1+6) დააგროვა. ეს მცველი განსაკუთრებით შედეგიანი "ვაშინგტონთან" შეხვედრაში (7:3) იყო - მან ოთხი საგოლე პასი შეასრულა.

რაც შეეხება ზეტერბერგს, შვედმა ოთხ თამაშში სამი გოლი და ოთხი პასი მიითვალა და სათავეში ჩაუდგა ბომბარდირთა დავას.

**აღმოსავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოტავა* | 7 | 6 | 1 | 0 | 12 |
| 2. კაროლინა* | 6 | 4 | 1 | 1 | 9 |
| 3. ფილადელფია* | 4 | 3 | 1 | 0 | 6 |
| 4. ტამპა ბეი | 4 | 3 | 1 | 0 | 6 |
| 5. ბაფალო | 5 | 3 | 2 | 0 | 6 |
| 6. ბოსტონი | 5 | 3 | 2 | 0 | 6 |
| 7. ვაშინგტონი | 5 | 3 | 2 | 0 | 6 |
| 8. აილენდერსი | 6 | 3 | 3 | 0 | 6 |
| 9. ტორონტო | 7 | 2 | 3 | 2 | 6 |
| 10. მონრეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 5 |
| 11. პიტსბურგი | 4 | 2 | 2 | 0 | 4 |
| 12. რეინჯერსი | 5 | 2 | 3 | 0 | 4 |
| 13. ფლორიდა | 5 | 2 | 3 | 0 | 4 |
| 14. ნიუ ჯერსი | 5 | 2 | 3 | 0 | 4 |
| 15. ატლანტა | 5 | 0 | 5 | 0 | 0 |

**დასავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მინესოტა* | 5 | 5 | 0 | 0 | 10 |
| 2. დეტროიტი* | 6 | 4 | 1 | 1 | 9 |
| 3. დალასი* | 6 | 2 | 2 | 2 | 6 |
| 4. სტ. ლუისი | 4 | 3 | 1 | 0 | 6 |
| 5. კოლორადო | 5 | 3 | 2 | 0 | 6 |
| 6. ჩიკაგო | 5 | 3 | 2 | 0 | 6 |
| 7. ვანკუვერი | 5 | 3 | 2 | 0 | 6 |
| 8. კალგარი | 5 | 2 | 2 | 1 | 5 |
| 9. სან ხოსე | 5 | 2 | 2 | 1 | 5 |
| 10. ანაჰაიმი | 7 | 2 | 4 | 1 | 5 |
| 11. კოლამბუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 4 |
| 12. ნეშვილი | 5 | 2 | 3 | 0 | 4 |
| 13. ფინიქსი | 5 | 2 | 3 | 0 | 4 |
| 14. ედმონტონი | 6 | 2 | 4 | 0 | 4 |
| 15. ლოს ანჯელესი | 6 | 1 | 5 | 0 | 2 |

*შენიშვნა: * - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| ზეტერბერგი (დეტ) | 13 (5+8) |
| სპეცა (ოტა) | 11 (0+11) |
| ჰიტლი (ოტა) | 10 (6+4) |
| შჩასტნი (კოლორ) | 10 (5+5) |
| სუნდინი (ტორ) | 10 (3+7) |
| ანტროპოვი (ტორ) | 9 (5+4) |
| ალფრედსონი (ოტა) | 9 (5+4) |
| ბ. კემპბელი (ბაფ) | 9 (1+8) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| ჰიტლი (ოტა) | 6 |
| კამალერი (ლ-ანჯ) | 6 |
| ანტროპოვი (ტორ) | 5 |
| ალფრედსონი (ოტა) | 5 |
| ე. სტაალი (კარ) | 5 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 5 |
| პროსპალი (ტ-ბეი) | 5 |
| ჰოლმსტრიომი (დეტ) | 5 |
| ლენგკოუ (კალ) | 5 |
| შჩასტნი (კოლორ) | 5 |
| ჰაგმანი (დალ) | 5 |
| დრეიპერი (დეტ) | 5 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| სპეცა (ოტა) | 11 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 8 |
| ბ. კემპბელი (ბაფ) | 8 |
| დაციუკი (დეტ) | 7 |
| სუნდინი (ტორ) | 7 |
| ჯ. უილიამსი (კარ) | 7 |

რეკლამა-განცხადებების გამოქვეყნებაზე ნებისმიერი შეკვეთების მიღება რეგიონებიდან შესაძლებელია რედაქციასთან სატელეფონო შეთანხმებით.
საკონტაქტო ტელეფონებია: 46 32 62; 899 55 48 97. "ლელოს" საბანკო რეკვიზიტებია: შპს "გაზეთი ლელო", "ვითიბი ბანკი ჯორჯია", ცენტრალური ფილიალი. ანგარიშის ნომერი: 016467589; საიდენტიფიკაციო კოდი: 203826075; ბანკის კოდი: 220101666; მფო 520289.

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ ბოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10[ა],
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა